# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 18 ოქტომბერი 1997 №129 (494) ფასი 50 თეთრი



ამ ფოტოზე პოლონეთთან იმ იმოგების სიხარულია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მესამეზე გასასვლელად ვერ გვეყო მაგრამ, საევროპოდ მესამე კალათში მოგვახვედრა

ბადრი ქეთილაძის ფოტო

## დინამო ბრაგას აბარგდა

### ჩვენი კორესპონდენტი — ვერა

გუშინ დილით თბილის-ამსტერდამის რეისით გაემგზავრა ჩვენი ჩემპიონი „დინამო“, რომელიც გუშინ საღამოსვე პორტუში უნდა ჩაფრენილიყო და იქიდან 60 კილომეტრით დაშორებულ ბრაგას უნდა მიახლებოდა.

ცხადია, ოთხშაბათის „სარბიელში“ „ბრაგა“ — „დინამოს“ შეხვედრის ანგარიშს ელით, მაგრამ ამჯერად უნდა გაგაწბილოთ. „ბრაგას“ პრეს-ატაშემ, დოქტორმა ფერნანდო ოლივეირამ ჩვენი კორესპონდენტისთვის აკრედიტაცია კი გამოგვიყო, მაგრამ გერმანიის საელჩოში წარსადგენი ოფიციალური დასტური ცოცხალი თავით არა და არ გვაღირსა. საელჩო თავის წესს ხომ არ გადავიდოდა და „სარბიელის“ მკითხველები ურეპორტაჟოდ დასტოვა. ამის მიუხედავად, სამშაბათის მატჩზე ინფორმაციას, რა თქმა უნდა, უფრო შეკვეცილს მაინც მოგაწვდით.

## წელს უფავორიტოდ...

ხვალ იწყება საქართველოს VII ჩემპიონატი კალათბურთში. გუნდებს შეჯიბრების დაწყებამდე შარშანდელი ვალები ჰქონდათ გასასტუმრებელი. ეს პრობლემა ასე თუ ისე გადაწყდა (მხოლოდ „დინამოს“ საკითხია მოუგვარებელი) და პირველი თამაშებისთვის მზადებაც დაიწყო. ჩემპიონატის მონაწილე 13 გუნდი ორ ჯგუფადაა დაყოფილი. პირველში იასპარეზებენ: შარშანდელი ჩემპიონი „ვითა“, სდასუ, „შევარდენი“, „დინამო 2“, „კოლხა“ და სტუ. მეორეში: „დინამო 1“, რუსთავის „აზოტი“, ასკ, „მაკაბი-ინტერი“, „ქუთაისი“, „მერანი XXI“ და თსუ. გუნდები პირველ ეტაპზე ორ წრედ ითამაშებენ, ქულები საერთო ჩათვლაში შევა. შემდეგ რვა უძლიერესი ასპარეზობას ფლეი-ოფში გააგრძელებს. (დანარჩენები 2 წრედ მე-9 მე-13 ადგილს გაითამაშებენ). პირველ ადგილზე გასული მე-8-ს შეხვდება, მე-2 — მე-7-ს, მე-3 — მე-6-ს, მე-4 — მე-5-ს (აქ გუნდები ორ მოგებამდე ითამაშებენ), ნახევარფინალები 3 გამარჯვებამდე იქნება, ფინალი კი ოთხ მოგებამდე. მე-3 ადგილის მოსაპოვებლად გუნდს სამი გამარჯვება სჭირდება. როგორც კალათბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ეს იქნება გარდამავალი ჩემპიონატი ძლიერი უმაღლესი ლიგის შესაქმნელად. წელს ლიგას 3 გუნდი დატოვებს, 10 უძლიერესი კი შემდეგ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგას შექმნის. ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდების საფუძველზე შეიქმნება მეორე ლიგა.

გუნდებს განაცხადში 16-16 კალათბურთელის შეტანა შეუძლიათ. გუნდიდან გუნდში გადასვლა ნებადართულია პირველი წრის დამთავრების შემდეგ. წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით კალათბურთის ფედერაციამ შეიტანა პუნქტი, რომლის თანახმადაც თუ გუნდი დაიშლება, მის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ, სხვაგან ითამაშონ, მაგრამ თითოეულმა გუნდმა ორ მოთამაშეზე მეტი არ უნდა აიყვანოს.

როგორც ჩანს, წლევანდელ ჩემპიონატში, პირველად, გამოკვეთილი ფავორიტი არ იქნება. შემადგენლობებს თუ გადავხედავთ, დაახლოებით 3-4 გუნდი იბრძოლებს პირველობისთვის. ისეთი არა, როგორც წინა წლებში (ამდენი მოთამაშის წასვლა ხუმრობა ხომ არაა, მაგრამ მაინც ძლიერი იქნება „ვითა“.) იქ მხოლოდ სამი ვეტერანი დარჩა: კობეშავიძე, კოკოლიშვილი და ორმოცაძე. გუნდში გადავიდნენ: სდასუდან — აბრამიძე, დავითულიანი და ჩუბინიძე, თბილისის „დინამოდან“ — მაჭარაძე, ჩვენი 18 წლამდე ნაკრების წამყვანი კალათბურთელები — გაგნიძე და ლოსაბერიძე, აგრეთვე გოდერძი კორძაძე, რომელიც ბოლოს „მაკაბიში“ თამაშობდა.

მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა თბილისის „დინამომ“. გარდა მაჭარაძისა, წავიდნენ — ჟღენტი, ოთიურიძე და ცხვედიანი. თუმცა, „დინამოს“ ისეთი ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს (ხოშტარია, მაისურაძე, ვაშაკიძე), კვლავ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

რუსთავის „აზოტი“ კი მართლაც გაძლიერდა. საქართველოს გასული წლის ბრინჯაოს პრიზიორის ისედაც ძლიერ შემადგენლობას კიდევ უფრო გააძლიერებს ორი მოთამაშე — საბერძნეთიდან დაბრუნებული რამაზ გოგობერიშვილი და რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილი, რომელიც შარშან ჩემპიონის ღირსებას იცავდა.

დერიუგინის სდასუ-მ წამყვანი მოთამაშეები დაკარგა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია. გუნდში მოვიდნენ — ჩვენი უპირველესი სნაიპერი გია სანაძე, ნიკო ჩერქეზიშვილი, რომელიც შარშან თითქოს გამოეთხოვა დიდ სპორტს, საქართველოს ნაკრების წევრები რეზო ჩხეიძე და დავით თორთლაძე, დინამოელი ვასილ ოთიურიძე და „შევარდენის“ წამყვანი მოთამაშე გიორგი ჩხეიძე.

ალბათ, ეს ოთხი გუნდი იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის. თუმცა, სიურპრიზებიც მოსალოდნელია. განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდისგან, სადაც ცხვედიანი, ჟღენტი და წოწელია გადავიდნენ.

ასე რომ, წლევანდელი ჩემპიონატის დონე რა თქმა უნდა, დაბალი იქნება წინა წელთან შედარებით (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ჩემპიონატს ვახტანგ ნაცვლიშვილი და ლევან ქარაბაკი მოაკლდნენ), მაგრამ სამაგიეროდ დაძაბული თამაშები იმატებს. კალათბურთის მოყვარულთ ბევრი საინტერესო შეხვედრა ელით. ხვალ კი პირველობა საზეიმოდ გაიხსნება.

**ძოტე მგალობლიშვილი**

## ფედერაცია დეპარტამენტს ზემოთ გაურბის

ჩვენი სპორტის მამებმა ქართული ფეხბურთის მამებს რომ შეუფუცხუნეს, ამან, ეტყობა, შედეგი გამოიღო — მას შემდეგ საქართველოს ნაკრებს ერთი გოლი რაა, ისიც აღარ გაუშვია, თავად კი სამ თამაშში შვიდი ქულა აიღო და შედეგიც მოიმკო:

ფიფას რეიტინგში ერთბაშად 20 საფეხურით აღზევდა და რაც მთავარია, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრაზე მესამე კალათსაც შესწვდა. შეგახსენებთ, რომ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის წილისყრისას მთლად მეხუთე კალათაში ვიყავით, მერე კი, ახალგასრულებული მსოფლიოს შესარჩევის წილისყრისას — მეოთხეში. თუ ასე გაგრძელდა...

მოკლედ — გოლი არ გაუშვა, თორემ ყრილობას ჩაგატარებინებო — ხანდახან რომ გაიმეოროს სპორტის დეპარტამენტმა, ჭხრისმოკლებული სულაც არ ყოფილა.

სერიოზულად კი ზემოთთქმულის შესახებ

იხილეთ მეორე გვერდზე

## შევარდენი — ინგოლშტადტი: გამარჯვებული ოთხთა ფინალში



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ხვალ თბილისის „შევარდენი“ ძიუდოში ევროპის საკლუბო თასის მეოთხედფინალს იჭიდავებს. 15 საათზე სპორტის სასახლეში, როცა ბალავაძის ტურნირზე შესვენება იქნება, ტატამი დაიგება და ჩვენებურები გერმანიის „ინგოლშტადტს“ დაეჭიდებიან. აქ გამარჯვებული „ოთხთა ფინალში“ გავა, სადაც სანახევარფინალო მეტოქე უკვე გამოვლენილია — ევროპის თასის შარშანდელი მფლობელი გერმანიისავე „აბენსბერგი“. ევროპის ძიუდოს კავშირის დებულების მიხედვით, „ოფხთა ფინალს“ წინა წლის გამარჯვებული მასპინძლობს, ამ შემთხვევაში — ქალაქი აბენსბერგი.

ჩვენებს აბენსბერგში ამავე სახელწოდების კლუბთან ჭიდაობა უკვე კი აქვთ გულში ამოჭრილი, მაგრამ იქამდე „ინგოლშტადტი“ უნდა ვძლიოთ. გერმანული კლუბი დღეს საღამოს, ფრანკფურტიდან ჩამოფრინდება და „შევარდენისავე“ კუთვნილ სასტუმროში დაბინავდება. ინგოლშტადტელებმა მხოლოდ ის გვაცნობეს, ათი კაცი ჩომოვდივართო, კონკრეტულად ვინ — არ დაუსახელებიათ. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, რომ ამ კლუბის მთლიანი განაცხადი შემოგთავაზოთ, ისიც — წონითი კატეგორიების გარეშე.

რაიკ არნოლდი (დაბ. 1964), იოჟეფ ჩაკი (1966, უნგრეთი), კარსტენ ლეიპოლდტი (1972), მანფრედ შულცე (1973), უდო კველმალცი (1967), ალექსანდერ ჰამი (1969), ბორის პაველცი (1970), ედუარდ გრამში (1964), პეერ შმიდტი (1971), მარტინ სტარკი (1978), მარეკ ვრობელი (1972, პოლონეთი), მარტინ ფეილერშახერი (1976), კონრად ფეილერშახერი (1976), ჰელმუტ მაღერი (1976), ტონი ლეტნერი (1978), რომან შინდლერი (1979), ბენიამინ ფაუსერი (1978), კრისტოფ კურცინა (1961), დანიელ ებერჰარდი (1977), აქსელ ეგენფალნერი (1972, ავსტრია), ოლივერ ბარტნიცკი (1972).

გუნდში ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის არსებობა უკვე თავისთავად მეტყველებს მის სიძლიერეზე. ამგვარი კი უდო კველმალცია (ატლანტა 1996-ის ჩემპიონი, ბარსელონა-91 და ტოკიო-95-ის მსოფლიოს ჩემპიონი). ამ კაცმა პარიზშიც იჭიდავა მსოფლიოს ჩემპიონატზე 71 კგ-ში, მაგრამ უმედლოდ დარჩა. უეჭველია, თბილისშიც ამ წონაში გამოვა. ძლიერი მოჭიდავეა უნგრელი იოჟეფ ჩაკიც (65 კგ). მას არაერთი საერთაშორისო ტიტული აქვს მოხვეჭილი. დანარჩენებზე კი ბევრს ვერაფერს გეტყვით, თუმცა ერთი-ორი გვარი ყურმოკრით გვაქვს გაგებული.

„შევარდენი“ კი ამჟამად შეკრებაზეა თავისსავე სასტუმროში და ხვალინდელ შეხვედრაზე, სავარაუდოდ, იგივე შემადგენლობით გავა, როგორითაც ფრანგული „ბულონის“ წინააღმდეგ: ნესტორ ხერგიანი (60), გიორგი ვაზაგაშვილი (65), ზაზა გულიაშვილი (71), დავით ნადარაია (78), სოსო ლიპარტელიანი (86), გია გუგავა (95), რამაზ ჩოჩიშვილი (მძიმე).

**მერაბ რატიშვილი**

## ბალავაძის ტურნირში კურტანიძეც იჭიდავებს



დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ვახტანგ ბალავაძის სახელობის 35-ე საერთაშორისო ტურნირი იწყება. მსოფლიოს 7 ქვეყნის ფალავნები ორ დღეს 8 წონაში შეეცილებიან ერთმანეთს ჩემპიონობასა და პრიზიორობას. ასპარეზობა 11 საათზე დაიწყება და საღამოს 17 საათამდე გასტანს. ხვალ, კვირას, ასევე 11 საათზე გააგრძელებენ ფალავნები შეჯიბრებას, 16 საათიდან კი ქომაგებს ტურნირის უმთავრესი — ფინალური ორთაბრძოლები ელით.

ადრე გაუწყე[illegible] საქართველოს ნაკრების ლიდერი ელდარ კურტანიძე გერმანიის კლუბში ასპარეზობს და ბალავაძის ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებსო. გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში მისულს ახალი ამბავი დაგვიხვდა: კურტანიძე დროებით გაუთავისუფლებიათ გერმანული კლუბის თავკაცებს და იგი თბილისურ ტურნირზე იჭიდავებს.

**ფუხელ**

ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. აზიის A ჯგუფის შესარჩევი მატჩები. ირანი — ჩინეთი 4:1 (მანსურიანი 3, მოდირრუსტა 44, ბაგერი 64, დაეი 68; ი იუნი 86); ქუვეითი — საუდეთი 2:1 (აბდულ-აზიზი 48, აბდულ-რაჰმანი 67; მუსადი 31). რუსეთის ჩემპიონატი. როტორი — შინიკი 1:0. საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური. ნანტი — ლიონი 3:2, ლანსი — მონაკო 1:0, ოსერი — ბასტია 2:0, ლე ავრი — რენი 1:1, მონპელიე — შატორუ 1:0, სტრასბური — კანი 2:0, ტულუზი — პსჟ 0:2. გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XI ტური. ბოხუმი — კიოლნი 2:1, ვერდერი — ჰამბურგი 0:0.

უკრაინის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო გუნდის, დონეცკის „შახტიორის“ მთავარ მწვრთნელთან ვალერი იარემჩენკოსთან ინტერვიუ ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის იმითაც არის საინტერესო, რომ მასში საუბარია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრის მიხეილ ფოცხვერიას შესახებ.

# ფოცხვერიაზე უკეთესებიც მყავს

**— მრავალთა მტკიცებით, დონეცკის „შახტიორი“, ამჟამად, უკრაინის მეორე კლუბია. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ცუდი, მაგრამ ასე გრძელდება წლების განმავლობაში. არ მოგბეზრდათ მეორე პოზიციაზე ყოფნა?**

— ეს საკმაოდ რთული საკითხია და ორი სიტყვით პასუხის გაცემა გამიჭირდება. დავიწყებ იმით, რომ „შახტიორის“ ხელაღებით მეორე გუნდად შერაცხვა არ არის სწორი. უბრალოდ, ამ ეტაპზე ჩვენ კარგად ვთამაშობთ და ამას სატურნირო ცხრილი თუ თასების თასზე ჩვენი გამოსვლაც ადასტურებს. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ სხვა ძლიერი უკრაინული კლუბებიც: „დნეპრი“, „ჩერნომორეცი“ და სხვანი. საკმარისია ერთი წაფორხილება და უმალ დაკარგავ ბრძოლით მოპოვებულ პოზიციას. გარდა ამისა, ყველასათვის ცნობილია, რომ კიევის „დინამო“ წლების განმავლობაში უკრაინული ფეხბურთის ფლაგმანი იყო. იმისთვის რომ იგი ვინმემ შეცვალოს, წლებია საჭირო. ხალხის ცნობიერებაში რაღაც უნდა შეიცვალოს — „დინამოს“ სახელი ხომ უკრაინულ ფეხბურთთან ასოცირდება. ალბათ არც იმის დავიწყება ივარგებს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში დონეცკის „შახტიორი“ არ განეკუთვნებოდა უძლიერეს უკრაინულ გუნდთა რიცხვს. „დინამოს“ შესახებ უკვე ვთქვით, პერიოდულად გაიბრწყინებდნენ ხოლმე დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ვოროშილოვგრადის „ზარია“ და სხვები. უკრაინის ეროვნული ჩემპიონატის ჩამოყალიბების შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა. ეს გზა „შახტიორისთვის“ სულაც არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ ბევრი შრომისა და მსხვერპლის ფასად საქმე ნელ-ნელა წინ წავიდა. თუმცა, სამწუხაროდ, ამ პროცესებს კლუბის პრეზიდენტიც კი შეეწირა.

**— ამ სეზონში რა მიზანს ისახავთ?**

— ჩემპიონობისთვის ბრძოლა, აკი ვთქვი, გაგვიჭირდება. ვერცხლის მედლების მოპოვება კი სრულიად რეალურია. თასების თასზე მერვედფინალში ასპარეზობის უფლება მოვიპოვეთ, აქ კი მეტად ძლიერი მეტოქე იტალიის „ვიჩენცა“ შეგვხვდა. არ მინდა ვთქვა, რომ უიმედო სიტუაციაში ვართ, მაგრამ დიდი ბრძოლა კი მოგველის.

**— თქვენი აზრით, რომელ რგოლში მოიკოჭლებს „შახტიორი“?**

— ჩვენ ძლიერ გუნდს ვაყალიბებთ. ამისთვის კი საჭიროა ყველა რგოლი თანაბრად ძლიერად იყოს დაკომპლექტებული. მიმაჩნია რომ ამჟამად შედარებით სუსტია დაცვა. ნახევარდაცვა და განსაკუთრებით თავდასხმა კი უკეთ გამოიყურება.

**— თავდასხმაზე მინდოდა მეკითხა. თქვენ იშვიათად აყენებთ ძირითად შემადგენლობაში ისეთ ძლიერ თავდამსხმელს, როგორიც მიხეილ ფოცხვერიაა რა არის ამის მიზეზი?**

— მიზეზი ძალიან უბრალოა. მე გუნდში უკეთესი ფორვარდი მყავს. მიშა ჯერ მეტად ახალგაზრდაა. ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მას ძალიან კარგი მომავალი აქვს. მაგრამ ჯერჯერობით უპირატესობას მაინც სხვას ვანიჭებ.

**— მაგრამ როცა გაგიჭირდათ, „ბოავიშტასთან“, ფოცხვერია დაუყოვნებლივ გამოიყვანეთ მინდორზე.**

— მერედა რა არის აქ უჩვეულო? უბრალოდ, ჩვენ საუკეთესო თავდამსხმელს ატელკინს ამ კონკრეტულ შეხვედრაში თამაში არ წაუვიდა. ასეთი რამ ხშირად ხდება. თავის დროზე ბლოხინიც კი შეუცვლიათ.

და საერთოდ, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორად მიმაჩნია. მე მწვრთნელი ვარ და, ვინ იქნება მინდორზე, მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტია. ვფიქრობ, ჩვენი თამაშისა და შედეგების გამო საპრეტენზიო ჯერ არაფერია.

**საინფორმაციო ბიურო „გეა“**

## იუჰანსონი ისევ დაგვხედავს

ფიფა-უეფადან გამოგზავნილ ჩინოსანთა სტუმრობა ჩვენი ფეხბურთის ფედერაციისთვის არახალ, უფრო მეტიც, თითქმის ყოველთვიურ ამბად იქცა, მაგრამ ახლა თავად უეფას დიდებულთა კრებული დაგვდებს პატივს: 28 ოქტომბერს უეფას დელეგაციას სამდღიანი ვიზიტით თვით პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ჩამოუძღვება. სტუმრები სხვადასხვა საკითხების გასარკვევ-სასწავლებლად ჩამოდიან და, როგორც შევიტყვეთ, მეტად ნაყოფიერ შემეცნებით სამუშაოს ჩაატარებენ. პრეზიდენტს გვერდს ერიხ ეპლე, ენრი უოლკერი და იოჟეფ ვენგლოში დაუმშვენებენ. სამივე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ცნობილი სპეციალისტია. გარდა საფეხბურთო საკითხებისა, იუჰანსონს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაც დაუგეგმავს. თქმა არ უნდა, ისინი ქართული ფეხბურთის აღორძინებაზე იმსჯელებენ.

## ყველაფერი გადადებულია

ადრეც გაუწყეთ, ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის საქმის გაცნობისთვის ვაკის რაიონის სასამართლომ დამატებითი დრო ითხოვაო, ამიტომ 7 ოქტომბერს დანიშნული გარჩევა გაურკვეველი დროით გადაიდო. ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, დანამდვილებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ არავითარი სასამართლო პროცესი არ შედგება. ალბათ, ორივე მხარემ ეს პრინციპი არჩია — შენც გაჩუმდი და მეც თევზივით დავდუმდებიო. აყალმაყალს მორიგება სჯობს.

ფედერაციას კიდევ ერთი საქმე გადაუტანეს. 25 ოქტომბერს პარლამენტში ფეხბურთის ამჟამინდელ მდგომარეობაზე უნდა ეთათბირათ, მაგრამ ეს შეხვედრა 5 ნოემბრისთვის დანიშნულა. ისე, ყველა საქმე მოიცდის, მაგრამ ფეხბურთი უსწრაფესად ვითარდება და ვინძლო ქართველები ფერხულს არ ჩამოვრჩეთ.

## 9 ტური

### მოვლენა

**მაღაროელი 1:0 მორკინალი**

ზოგისთვის იმერელ დებიუტანტთაგან ამერელ ახალბედათა ძლევა იქნებ მოულოდნელობა უფრო იყო. ნაწილობრივ ასეცაა, მაგრამ ძლევაცაა და ძლევაც. „მაღაროელმა“ მეორე მოგებაც მინიმალური ანგარიშით შეძლო. არა, აქ ანგარიშს დიდი მნიშვნელობა არც ექნებოდა, რომ არა ერთი მიზეზი — მაშინაც „ბათუმმა“ ერთადერთი გოლი თავის კარში გაიტანა და ახლაც „მორკინალს“ ავტოგოლმა წააგებინა. ეს შემთხვევითობაა. ჭიათურაში მოთამაშე „მაღაროელიც“ არაა ხელწამოსაკრავი მეტოქე, მაგრამ არც ისეთი მრისხანეა, მოწინააღმდეგე აიძულოს, თავის კარში გაიტანოს. და მაინც, ამ ტურის უმთავრესი მოვლენა მწორედ ეს შემთხვევითობაა, რადგან მისი წყალობით ზოგადად უფრო სუსტმა „მაღაროელმა“ 9 ტურში ერთადერთხელ წაგებულ „მორკინალს“ აჯობა.

### მოულოდნელობა

**კოლხეთი 0:2 დილა**

საოცარი გუნდია „დილა“: მას შეუძლია, მიწყობილად შინ „ტორპედოს“ დაუზავდეს, სტუმრად „ოდიშთან“ და სახლში „ბათუმთან“ გვარიანად წააგოს. ამით მასზე აზრს ვერ შეიქმნით, სუსტ გუნდად ვერ მონათლავთ, რადგან ადგება და ამის შემდეგ ფოთში „კოლხეთს“ 2:0-ს მოუგებს. თუ ასეა, მოულოდნელი რაღაა? რა და „კოლხეთის“ შინაური მარცხი. ფოთელები ბოლო დროს არც ისე ურიგოდ თამაშობენ, შინაურ წაგებებს ნაჩვევნი რომ იყვნენ. ამ ტურშიც მეტოქეს მთელი თამაშის განმავლობაში უტევდნენ, თუმცა, სტუმართა ორად-ორი იერიშიდან ორივე გოლით დასრულდა.

### სკანდალი

**ოდიში 1:0 მერანი**

89 წუთს თბილისელები ოდიშარებს უძალიანდებოდნენ და მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე გაუშვეს ენდელაძისგან გოლი. სტუმრებმა ჩათვალეს, რომ ბურთი თამაშგარედან გავიდა და მათ დაწყნარებას 5 წუთი დასჭირდა. თამაში რომ მორჩა, ახლა მასპინძელმა ქომაგებმა გამოიღეს ხელი და ერთი ამბავი ყოფილა. ამათი დაშოშმინება კი უცხოეთიდან თამაშის ღამეს ჩამოსულ კლუბის პრეზიდენტს, ვახტანგ ნანავას უნდა ეკისრა.

### გმირი და ანტიგმირი

**ამ ტურს არ ჰქონია**

# ალათასა, ბალათასა...

## საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრაზე მესამე კალათში იქნება

11 ოქტომბრის შესარჩევი მატჩების შემდეგ საბოლოო სახე მიიღო ცხრილმა, რომლის მიხედვითაც ზუსტად სამ თვეში ბრიუსელში მომავალი, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების წილისყრა ჩატარდება. ბევრი რამ ბოლო დღეს გადაწყდა — მაგალითად, ბულგარეთმა „ლუჟნიკის“ ჭაობში დაკარგა პირველ კალათში თითქმის გარანტირებული ადგილი, თუმცა ბულგარეთის ამბავს თავი ვანებოთ და ჩვენსას მივხედოთ.

როგორც გაირკვა, გასულ შაბათს პოლონეთის დამარცხებით ქართველთა ნაკრებს, რევანშის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე გაუკეთებია: კოეფიციენტი გაიუმჯობესა და მომავალ წილისყრაზე მესამე კალათში დაიჯავშნა ადგილი. რაც შეეხება თავად კოეფიციენტს, მისი გამოთვლის წესი ასეთია: წინა ევროპის ჩემპიონატისა და ახლახან დასრულებულ შესარჩევ ტურნირებში გუნდების მიერ დაგროვილი ქულები იყოფა მატჩების რაოდენობაზე, მერე კი ორი კოეფიციენტის ჯამი ორზე იყოფა. ამრიგად, საქართველოს ნაკრების მონაგარია 1,375 ქულა, რაც, თუ არ ჩავთვლით 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ბელგიასა და ჰოლანდიას, 27-ე შედეგია.

მართალია, წილისყრის ეს ფორმულა ჯერ კიდევ უეფას აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს, მაგრამ ეს ფორმალური მხარეა. მთავარი კი ისაა, რომ ჩვენი ნაკრები ყოველ შესარჩევ ეტაპზე უკეთეს კალათში ხვდება. თუმცა არა, ბოდიში — მთავარი ღირსეული თამაში და შედეგია, თორემ კალათს რა ჭკუა აქვს. რაც შეეხება შესარჩევი ტურნირის ჩატარების სისტემას, იგი ახლახან დასრულებულის ანალოგიური იქნება — ფინალში 9 ჯგუფის გამარჯვებული, საუკეთესო მეორეადგილოსანი და ფლეი-ოფის 4 მოგებული, სულ 14 გუნდი, გავა.

| | ევრო 96-ის შესარჩევი | | | საფრანგეთი 98-ის შესარჩევი | | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქ | თ | კოეფ. | ქ | თ | კოეფ. | |
| **კალათი A** | | | | | | | |
| გერმანია | 25 | 10 | 2,500 | 22 | 10 | 2,200 | 2,350 |
| ესპანეთი | 26 | 10 | 2,600 | 26 | 10 | 2,600 | 2,600 |
| რუმინეთი | 21 | 10 | 2,100 | 28 | 10 | 2,800 | 2,450 |
| ინგლისი | — | — | — | 19 | 8 | 2,375 | 2,375 |
| რუსეთი | 26 | 10 | 2,600 | 17 | 8 | 2,125 | 2,363 |
| შოტლანდია | 23 | 10 | 2,300 | 23 | 10 | 2,300 | 2,300 |
| იუგოსლავია | — | — | — | 23 | 10 | 2,300 | 2,300 |
| იტალია | 23 | 10 | 2,300 | 18 | 8 | 2,250 | 2,275 |
| ნორვეგია | 20 | 10 | 2,000 | 20 | 8 | 2,500 | 2,250 |
| **კალათი B** | | | | | | | |
| ბულგარეთი | 22 | 10 | 2,200 | 18 | 8 | 2,250 | 2,225 |
| დანია | 21 | 10 | 2,100 | 17 | 8 | 2,125 | 2,113 |
| პორტუგალია | 23 | 10 | 2,300 | 19 | 10 | 1,900 | 2,100 |
| ხორვატია | 23 | 10 | 2,300 | 15 | 8 | 1,875 | 2,088 |
| ავსტრია | 16 | 10 | 1,600 | 25 | 10 | 2,500 | 2,050 |
| საფრანგეთი | 20 | 10 | 2,000 | — | — | — | 2,000 |
| ჩეხეთი | 21 | 10 | 2,100 | 16 | 10 | 1,600 | 1,850 |
| თურქეთი | 15 | 8 | 1,875 | 14 | 8 | 1,750 | 1,813 |
| საბერძნეთი | 18 | 10 | 1,800 | 14 | 8 | 1,750 | 1,775 |
| **კალათი C** | | | | | | | |
| ირლანდია | 17 | 10 | 1,700 | 18 | 10 | 1,800 | 1,750 |
| შვეიცარია | 17 | 8 | 2,125 | 10 | 8 | 1,250 | 1,688 |
| უკრაინა | 13 | 10 | 1,300 | 20 | 10 | 2,000 | 1,650 |
| ლიტვა | 16 | 10 | 1,600 | 17 | 10 | 1,700 | 1,650 |
| შვედეთი | 9 | 8 | 1,125 | 21 | 10 | 2,100 | 1,613 |
| სლოვაკეთი | 14 | 10 | 1,400 | 16 | 10 | 1,600 | 1,500 |
| ფინეთი | 15 | 10 | 1,500 | 11 | 8 | 1,375 | 1,438 |
| ისრაელი | 12 | 10 | 1,200 | 13 | 8 | 1,625 | 1,413 |
| საქართველო | 15 | 10 | 1,500 | 10 | 8 | 1,250 | 1,375 |
| **კალათი D** | | | | | | | |
| პოლონეთი | 13 | 10 | 1,300 | 10 | 8 | 1,250 | 1,275 |
| უნგრეთი | 8 | 8 | 1,000 | 12 | 8 | 1,500 | 1,250 |
| ჩრდ. ირლანდია | 17 | 10 | 1,700 | 7 | 10 | 0,700 | 1,200 |
| ბოსნია | — | — | — | 9 | 8 | 1,125 | 1,125 |
| ლატვია | 12 | 10 | 1,200 | 10 | 10 | 1,000 | 1,100 |
| მაკედონია | 7 | 10 | 0,700 | 13 | 10 | 1,300 | 1,000 |
| კვიპროსი | 7 | 10 | 0,700 | 10 | 8 | 1,250 | 0,975 |
| უელსი | 8 | 10 | 0,800 | 7 | 8 | 0,875 | 0,838 |
| ისლანდია | 5 | 8 | 0,625 | 9 | 10 | 0,900 | 0,763 |
| **კალათი E** | | | | | | | |
| ბელარუსი | 11 | 10 | 1,100 | 4 | 10 | 0,400 | 0,750 |
| სომხეთი | 5 | 10 | 0,500 | 8 | 10 | 0,800 | 0,650 |
| სლოვენია | 11 | 10 | 1,100 | 1 | 8 | 0,125 | 0,613 |
| ფარერები | 6 | 10 | 0,600 | 6 | 10 | 0,600 | 0,600 |
| ალბანეთი | 8 | 10 | 0,800 | 4 | 10 | 0,400 | 0,600 |
| ლუქსემბურგი | 10 | 10 | 1,000 | 0 | 8 | 0,000 | 0,500 |
| მოლდოვა | 9 | 10 | 0,900 | 0 | 8 | 0,000 | 0,450 |
| აზერბაიჯანი | 1 | 10 | 0,100 | 3 | 8 | 0,375 | 0,238 |
| ესტონეთი | 0 | 10 | 0,000 | 4 | 10 | 0,400 | 0,200 |
| **კალათი F** | | | | | | | |
| მალტა | 2 | 10 | 0,200 | 0 | 10 | 0,000 | 0,100 |
| ლიხტენშტაინი | 1 | 10 | 0,100 | 0 | 8 | 0,000 | 0,050 |
| სან მარინო | 0 | 10 | 0,000 | 0 | 8 | 0,000 | 0,000 |
| ანდორა | — | — | — | — | — | — | — |

ამასობაში შემოდგომის გოლგაუშვებელმა სერიამ და სამი თამაშის წარმატებით ჩატარებამ საქართველოს ნაკრები ერთბაშად ოცი ადგილით ზემოთ ასწია ფიფას რეიტინგშიც, რომლის ბოლო ვარიანტიც მსოფლიოს ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ სამი დღის წინ გამოაქვეყნა.

ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა 94-ე ადგილიდან 74-ეზე გადაინაცვლა. ასეთი ალმასვლა გასულ თვეში არცერთ ევროპულ გუნდს არ ჰქონია, თუმცა ჩვენი კონტინენტის გუნდების მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 50 ქვეყნიდან საქართველო 33-ეა, რაც საამაყო ნამდვილად არ გახლავთ.

რაც შეეხება უძლიერეს ნაკრებთა პირველ სამეულს, აქ ისევ ბრაზილიელები ლიდერობენ, მეორე ადგილის პატრონი კი შეიცვალა — ესპანეთმა მეექვსედან ისეთი ისკუპა, თვით გერმანიას გაუსწრო.




# „დათო ხო არი დღეს?“

დავით ყიფიანს გასული კვირის ბოლოს უთქვამს, ნაკრებში ქუდს ვიხურავო. მართალია, იმის შემდეგ, ჩამიჩუმი არ ისმის და არც გაზეთები ახმაურებულან და არც ნაკრების მესაჭეხაც აღარ დაუმატებია რამე. მაგრამ იმ პარასკევს ნასროლი სიტყვა სიტყვადვე რჩება და მეც ამად ვგულისხმობ, რომ ნაკრების თავკაცის სავარძელი ცარიელდება.

ყიფიანის ნათქვამი, ნაკრებში ბოლო თამაში მაქვსო, არა მხოლოდ მოულოდნელობად, არამედ უცნაურადაც ჩავთვალე. თავიდანვე წამხდარი შესარჩევი ციკლი ნაკრებმა წარმატებული სამმატჩა სერიით დაასრულა და გოლიც არ გაუშვია. ასეთ დროს და თავისი ნებით მწვრთნელები და გამორჩევით ქართველი მწვრთნელები არ მიდიან.

საქართველოს ნაკრებს კი ჯერჯერობით ვინც კი მწვრთნელად ჰყოლიათ, ყველა ასე წასულა, ქუდის დახურვით.

ყიფიანის ფეხბურთიდან წასვლაც მოულოდნელი და უცნაური იყო.

სადღაც გაქრა მაღალი, გონიერი ფეხბურთელი, „დინამოს“ ლიდერი და ინტელექტი. ახლაც მახსოვს „ვესტ ჰემ“-„დინამოს“ აპტონპარკულ პროგრამაში ამოკითხული წინადადება: „ის რომ დასავლეთის რომელიმე კლუბში თამაშობდეს, სუპერვარსკვლავი იქნებოდა“. ანდა, „კიკერის“ პირველი გვერდი: „ყველაფერი ყიფიანის გარშემო ბრუნავს“.

მაშინ საქმეში ტრავმა იყო ჩარეული. ყიფიანმა მოიშუშა და სანაკრებო ტურნეზეც იყო ზამთარში, ოცდაორ კაცში კი მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა. გაზაფხულზე საუცხოოდ თამაშობდა, მაგრამ მწვრთნელთა მოსკოვურ-კიევურ-თბილისურმა ტრიუმვირატმა ანდრეი ბალი და სერგეი როდიონოვი არჩია ყიფიანს, რომლის სპორტულ ფორმასაც ეჭვით უმზერდა.

ესპანეთში ყიფიანი ვერ მოხვდა.

შემოდგომაზე კი გაცილება იყო დანიშნული — გამოსათხოვარი მატჩი, რომელიც ბრეჟნევის სიკვდილის გამო არ შედგა. ყიფიანი ასე წავიდა. მახსოვს, ტელევიზორში გამოვიდა და თქვა, ჩემი წასვლის ერთადერთი მიზეზი ტრავმააო.

მაშინ ოცდათერთმეტი წლისა იყო. ახლა რომ ინსია, სწორედ იმ ახაკის. იური როსტმა უზარმაზარი წერილი დაბეჭდა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ — „ყიფიანი მიდის“.

ის წავიდა, მოულოდნელად და უცნაურად. წავიდა და ჩვენი გუნდიც სადღაც წავიდა, გაქრა. ჩვენ კვლავ ტრიბუნებზე ვიყავით, მაგრამ ათნომრიანი მაისური სხვას ეცვა. აღარ ისმოდა პოპულარული შეკითხვა: „დათო ხო არი დღეს?“

და აი, წინა პარასკევის ამბავი.

კვლავ მოულოდნელი და უცნაური.

რა თქმა უნდა, ერთია ყიფიანი-ფეხბურთელი და მეორე, ყიფიანი-მწვრთნელი. ეს ორი ძალიან განსხვავებული პროფესიაა. მაგრამ ყიფიანი ერთია.

არ ვიცი და ვერ ვიგებ, ცარიელდება თუ არა მესაჭის სავარძელი. ქართული ფეხბურთის ხლართებში თავგაყოფილი ბევრი მინახავს, იქედან თავდაღწეული — არავინ.

არც ის ვიცი, რატომ დავწერე ეს სვეტი. აქ არ არის პოზიცია. უბრალოდ, საქართველო-პოლონეთის მატჩის დროს მოედნის კიდეზე მდგომ მწვრთნელს ვუყურებდი და ვოცნებობდი, შინდისფერი სამოსი სცმოდა და მოედანზე ყოფილიყო.

მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი — როცა მოედანზე ვხედავდი. ვგრძნობდი, რომ რაღაც სახეირო უნდა მომხდარიყო. მე მისი იმედი მქონდა. ის დღესაც ჩემი საყვარელი ქართველი ფეხბურთელია, ფაქტიურად მის ცქერაში გავზდი გულშემატკივარი.

ალბათ, ამიტომ მინდოდა, რომ მოედანზე ყოფილიყო — მაშინაც, როცა მინდორს გამოეთხოვა და ახლაც.

## გერმანია

X ტური

**დუისბურგი 0:1 ჰანზა**

0:1 ნოიფილი (23)

**კაიზერი 3:1 არმინია**

1:0 რიშე (18), 2:0 კადლეცი (31), 2:1 კუნცი (39), 3:1 რიშე (67)

**ბაიერნი 3:3 შტუტგარტი**

1:0 იანკერი (13), 1:1 იაკინი (14), 2:1 ჰამანი (60), 2:2 ბერთოლდი (62), 2:3 აკპობორი (75), 3:3 კუფური (84)

**გლადბახი 5:1 მიუნხენი**

1:0 პოხშტეტერი (7), 1:1 ვინკლერი (35), 2:1 პოხშტეტერი (35 პ), 3:1 ლუპესკუ (61 პ), 4:1 პეტერსონი (78), 5:1 პასლაკი (79)

სამშაბათს „კიოლნმა“ „შალკეს“ უმასპინძლა. მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ. მათგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ ვილმოტსი, გუსენსი და ტონი. მასპინძლებმა კი ხეირიანი ვერაფერი შექმნეს, ყველაზე სახიფათო დარტყმა ექსდორტმუნდელმა ტრეტჩოკმა გააზერხა, მაგრამ „შალკეს“ მეკარემ ბურთი კუთხურზე გადააგდო. სტუმრებს არაერთი მომენტი ჰქონდათ. ისინი აშკარად სჯობდნენ მეტოქეს კლასით და ეს ორი გოლით გამოხატეს.

„შალკეს“ მეორე გოლის წინ ფრიად საინტერესო ამბავი მოხდა: „კიოლნის“ მწვრთნელმა მოთამაშის შეცვლა განიზრახა. მან მარსელ ფენშს თამაშში სასწრაფოდ ჩართვა სთხოვა, მაგრამ გაირკვა, რომ ფენეშს მაისური გასახდელში დარჩენოდა. სანამ სულ სხვ... ფეხბურთელი მაისურის მოტანას ...ურებოდა, „შალკემ“ მეორე გოლი შეაგდო.

— ასეთი ქცევა, არაპროფესიულია და მას დაჯარიმება მოჰყვება — განაცხადა „კიოლნის“ სპორტულმა დირექტორმა კარლ-ჰაინც რუელმა.

ბრემენის „ვერდერი“ ბოლო ტურებში წარმატებით ასპარეზობს. იმას, რომ გუნდი კარგად თამაშობს, ყველა ახალი მწვრთნელის — ზიდკას დამსახურებად თვლის და არცთუ უსაფუძვლოდ. ამჯერად ბრემენელები დებიუტანტ „ვოლფსბურგს“ ეწვივნენ და დაძაბული თამაში წააგეს 0:1. „ვოლფსბურგი“ ნამდვილად იყო გამარჯვების ღირსი, მის რიგებში გამოირჩეოდნენ მაისნერი და რეინა. რაც შეეხება გოლის ავტორს კრეგერს, მას სპეციალისტები დიდ ხანია აქებენ.

ბუნდესლიგის მეორე დებიუტანტმა ბერლინის „ჰერტამ“ „ბოხუმი“ მიიღო. თამაში ლაღი, გახსნილი იყო, შეტევით ორივე გუნდი უტევდა, თავს კი ცუდად იცავდა. ანგარიში „ჰერტამ“ გახსნა, მერე კი მასპინძელმა კარლმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ბოხუმელთა ლიდერის დარიუშ ვოშის გოლს მატჩის ბოლოს ვან ბურიკმა თაურით უპასუხა და „ჰერტამ“ ქულა გადაარჩინა — 2:2.

„ჰამბურგმა“ „კარლსრუეს“ უმასპინძლა. 32-ე წუთზე სტუმრებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს და ვუკმა გახსნა ანგარიში. ტაიმის ბოლოს დემბინსკიმ გაათანაბრა. მეორე ნახევარში „კარლსრუე“ სულ უფრო ხშირად ცდებოდა საკუთარ კართან, „ჰამბურგმაც“ არ დააყოვნა და გრავესენმა და იებოამ ორი უპასუხო გოლი გაიტანეს — 3:1.

დღის ცენტრალური მატჩი დორტმუნდში გაიმართა „ბორუსიასა“ და ლევერკუზენის „ბაიერს“ შორის. წინა ტურებში ტრავმების გამო ორივე გუნდმა მოისაკლისა ფეხბურთელები. „ბაიერში“ ამ მატჩში გამოჩნდა ლევერკუზენელთა მთავარი ბომბარდირი კირსტენი. „ბორუსია“ კი ძირითად ფეხბურთელთა გარეშე გამოვიდა მოედანზე, განსაკუთრებით დაცვაში დაზარალდნენ დორტმუნდელები — არ იყვნენ ზამერი, კოლერი, ფაიერზინგერი და წინა ტურში გაძევებული მიოლერი. „ბორუსიას“ სასტარტო შემადგენლობაში იყო ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებმაც პირველად მოირგეს გუნდის მაისური — კნოჰე და ზაუერლანდი. მატჩი დაძაბულად დაიწყო. მასპინძლები მეტად ღელავდნენ — მათი შემადგენლობა და სატურნირო მდგომარეობა ამის საფუძველს იძლეოდა. მათ ვერაფრით დაალაგეს თამაში. სტუმრები უფრო აგრესიულები ჩანდნენ, პირველი დარტყმაც მათ განახორციელეს — „ბაიერის“ ბომბარდირის კირსტენის თაური აცდა კლოსის კარს. დორტმუნდელებმა ნელ-ნელა გამოასწორეს მოედნის ცენტრში თამაში, მეტოქის კარის სიახლოვესაც გააქტიურდნენ, მომენტებიც ჰქონდათ რაინჰარტს, ფრიონდსა და ჰერლიხს, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მეორე ტაიმიც ასეთივე სცენარით წარიმართა. „ბორუსიამ“ ხეირიანი ვერაფერი შექმნა მეტოქის კართან, სტუმრებმა კი კონტრშეტევაზე ააგეს თამაში. ერთ-ერთი მათი შეტევისას დაინიშნა საჯარიმო, რომელიც ჩინებულად დაარტყა ბაინლიხმა — 0:1. დარჩენილ 20 წუთშიც ვერაფერი მოახერხეს დორტმუნდელებმა და მორიგი მარცხი იწვნიეს.

ბუნდესლიგის მუდმივი აუტსაიდერების, ამ სეზონში აღზევებული „დუისბურგისა“ და „ჰანზას“ მატჩი სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა. ერთადერთი გოლი ნოივილმა გაიტანა. როსტოკელებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ ამ სეზონში მოპოვებული წარმატება შემთხვევითი არ არის. განსაკუთრებით კარგად თამაშობს გუნდი სტუმრად.

ოთხშაბათის ცენტრალური მატჩი გაიმართა მიუნხენში: ჩემპიონმა „ბაიერნმა“ თასის მფლობელ „შტუტგარტთან“ ითამაშა. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია — მას 60 000 მაყურებელი დაესწრო. უკვე მე-4 წუთზე ხელით თამაშისთვის გააძევეს „ბაიერნის“ მცველი ბაბელი, ამან ვერ დააბნია მიუნხენელები და მე-13 წუთზე იანკერმა გახსნა ანგარიში. ერთ წუთში შტუტგარტელმა იაკინმა გაქვითა. მეორე ნახევრის მე-60 წუთზე კვლავ „ბაიერნი“ დაწინაურდა, მაგრამ სულ მალე ექს-ბაიერნელმა ბერთოლდმა უპასუხა ჰამანის გოლს. 68-ე წუთზე მისივე პასით აკპობორიმ კვლავ წინ გაიყვანა სტუმრები. „ბაიერნმა“ გააფთრებით იბრძოლა მატჩის გადასარჩენად და კუფურმა შეძლო კიდეც ეს. 3:3 — ასე დასრულდა ეს პრინციპული თამაში.

გათამაშების ლიდერ „კაიზერსლაუტერნს“ რიშეს ორი და კადლეცის გოლების წყალობით ერთი პრობლემა არ ჰქონია „არმინიასთან“ შეხვედრაში.

გერმანული ფეხბურთის ყოფილმა გრანდმა, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ შინ გაანადგურა „მიუნხენ 1860“ — 5:1.

მეათე ტურის შემდეგ ბუნდესლიგაში სიტუაცია ბევრად არ შეცვლილა. „კაიზერსლაუტერნი“ კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს, თუმცა გუნდის მწვრთნელი ოტო რეჰაგელი მაინც ფრთხილობს — ლიდერები კი ვართ, მაგრამ წინ მთელი სეზონია და ძალზე ძნელი თამაშები გველისო, განაცხადა მან „არმინიასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ.

მეტად დაძაბული სიტუაციაა დორტმუნდში. გუნდის პრეზიდენტმა ნიბაუმმა ლევერკუზენთან წაგებული მატჩის შემდეგ თქვა, რომ ყველა ნერვებაშლილია და კრიზისიდან გამოსვლა არ იქნება ადვილი საქმე. თავად გუნდის მწვრთნელი სკალა იმედიანადაა: „ფეხბურთელები მოინდომებენ, მეც ამაყი კაცი ვარ და მჯერა, ყველაფერს ბრძოლით გამოვასწორებთ, დავიჭერთ იმ ადგილს, რაც „ბორუსიას“ ეკადრება“. მას გულშემატკივრებიც ამხნევებენ და ყველა მოთმინებით ელის გუნდის აღმასვლას.

„ბაიერნის“ თავკაცი ტრაპატონი კმაყოფილიც კი იყო „შტუტგარტთან“ თამაშის შემდეგ: „თითქმის მთელი მატჩი ათი კაცით ვითამაშეთ და ასეთ ძლიერ გუნდთან ფრე არ არის ურიგო შედეგი“.

**გია გილიგაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტ. | 10 | 8 | 1 | 1 | 23:11 | 25 |
| ბაიერნი | 10 | 6 | 3 | 1 | 24:12 | 21 |
| შალკე | 10 | 5 | 3 | 2 | 11:8 | 18 |
| ჰანზა | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 17 |
| დუისბურგი | 10 | 5 | 1 | 4 | 11:12 | 16 |
| შტუტგარტი | 10 | 4 | 3 | 3 | 20:13 | 15 |
| ჰამბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:17 | 15 |
| ლევერკუზენი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:14 | 14 |
| ვერდერი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:16 | 14 |
| ვოლფსბურგი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:16 | 14 |
| მიონხენგლად. | 10 | 3 | 4 | 3 | 17:15 | 13 |
| არმინია | 10 | 4 | 0 | 6 | 13:14 | 12 |
| კარლსრუე | 10 | 3 | 3 | 4 | 18:23 | 12 |
| მიუნხენ 1860 | 10 | 2 | 4 | 4 | 14:20 | 10 |
| კიოლნი | 10 | 3 | 1 | 6 | 13:21 | 10 |
| დორტმუნდი | 10 | 2 | 3 | 5 | 15:15 | 9 |
| ბოხუმი | 10 | 2 | 2 | 6 | 14:21 | 8 |
| ჰერტა | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ოლაფ მარშალი (კაიზერი) | 10 |
| ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი) | 7 |
| ულფ კირსტენი (ლევერკუზენი) | 6 |

**გერმანული** საფეხბურთო კლუბები ინგლისელების მაგალითის გადაღებასა და საფონდო ბირჟაზე საქმიანობის გაჩაღებას აპირებენ, თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ და მხოლოდ იდეაა. როგორც „გოლდმან ზახს კომპანის“ წარმომადგენელმა პაულ ახტლაიტნერმა განაცხადა, ღლეისათვის ხანგრძლივი საქმიანობის წამოსაწყებად სულ ორი ან სამი კლუბია მზად. მისივე თქმით, სახალხო კომპანიების მსგავსად „გაერთიანებული საფონდო კომპანიების“ დარქმევა, ამ ქვეყნის საფეხბურთო კლუბებისთვის არასწორი იქნება.

### გერმანელებს ბირჟაობა სწყურიათ

მოკლედ, საუბარი ჯერ მხოლოდ მიუნხენის „ბაიერნსა“ და ბრემენის „ვერდერზეა“, თუმცა საფეხბურთო ლიგა, რომელსაც აქამდე მსგავსი საქმიანობის წამოწყება თავისი წევრებისთვის აკრძალული ჰქონდა, ახალ კანონებს ამზადებს.

საფონდო ბირჟაზე მოღვაწეობა საფეხბურთო კლუბებისთვის ინგლისში მეტისმეტად წარმატებული აღმოჩნდა და მაინც, თავისებურმა პრობლემებმა ალბიონზეც იჩინა თავი. კერძოდ, თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ აყვავდნენ, ნაკლებად ცნობილი კლუბების აქციათა ფასი დაეცა. ახტლაიტნერის აზრით, გერმანული კლუბებისთვის აქციათა სახალხო გაყიდვა მათ მდიდრებად და ღარიბებად დაყოფას ნიშნავს. გარდა ამისა, მოგების მიზნით საუკეთესო მოთამაშეთა გაყიდვა გაცილებით უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. ბანკირის აზრით, მისი ქვეყნის კლუბებს დღევანდელ სტაბილურ ვითარებაში ზედმეტი ფულის მოხვეჭა არც სჭირდებათ.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის მარკეტინგის, ეკონომიკისა და ფინანსების დირექტორმა ვილფრედ შტრაუბმა კოლეგებს ალტერნატიული გზების გამონახვისკენ მოუწოდა. მისი აზრით, ფეხბურთი ბიზნესს არ უნდა ემსხვერპლოს.

მიუნხენის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა ფრიც შერერმა განაცხადა, რომ მისი კლუბი მზადაა აქციათა გასაყიდად, რაც, მისი თქმით, სტადიონის რეკონსტრუქციისთვის საჭირო კაპიტალს მოიტანს.

„ვერდერის“ მენეჯერის ვილი ლემკეს განცხადებით, ბრემენელებს მზად აქვთ საფონდო ბირჟაზე მოღვაწეობის გეგმა.

იმავე საკითხზე მუშაობენ „შალკე 04“-ის დირექტორატშიც — თქვა მისმა წარმომადგენელმა იურგენ მიოელმანმა.

# მეთერთმეტე ტურის ვნებანი

ბუნდესლიგის ლიდერი, „კაიზერსლაუტერნი“ ლევერკუზენში პრობლემებით დახუნძლული ჩავიდა. კაცი, რომელმაც გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან ელიტარული დივიზიონის ლიდერად აქცია, სეზონის ბოლოს თანამდებობიდან გადადგომაზე ლაპარაკობს.

ალბათ მიხვდით, საუბარია გამოჩენილ მწვრთნელზე, ოტო რეჰაგელზე, რომელმაც ისიც კი თქვა, ჩემპიონატის ჩამთავრებას შეიძლება არც კი დაველოდო და ისე წავიდეო. რეჰაგელი პროტესტს აცხადებს. ის მოითხოვს, რომ იურგენ ფრაიდრიხი კვლავ აირჩიონ კლუბის დირექტორატის წევრად.

საქმე ისაა, რომ ფრაიდრიხს და კლუბის პრეზიდენტს ჰუბერტ კესლერს, რომლებიც რეჰაგელის დიდი მხარდამჭერნი არიან, დირექტორატის ახალგაზრდა წევრთ დიდი დაპირისპირება ხვდათ.

— მე აქ მეგობრებთან, „ატცე“ ფრაიდრიხთან და ჰერბერტ კესლერთან თანამშრომლობისთვის დავრჩი, სხვა ხალხთან მუშაობა კი სრულიად არ მაინტერესებს — განუცხადა „რეჰაგელმა“ „შპორტ ბილდს“.

ალსანიშნავია, რომ რეჰაგელს, რომლის ხელმძღვანელობითაც „კაიზერი“ 10 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა და მიუნხენის „ბაიერნს“ ოთხი ქულით უსწრებს, ბრემენის „ვერდერი“ და რამდენიმე იაპონური კლუბი იწვევს სამუშაოდ.

— სპორტული დირექტორის თანამდებობა საჩემო არ არის. მე მწვრთნელი გახლავართ — თქვა რეჰაგელმა, რომელიც სულაც არაა გამორიცხული, რომ იაპონელთა რომელიმე წინადადებამ მოხიბლოს.

დღეს, ახალ სეზონში ერთადერთხელ დამარცხებული „კაიზერსლაუტერნი“ ვიცე-ჩემპიონთან, ლევერკუზენის „ბაიერთან“ მე-11 ტურის შეხვედრას შვეიცარიელი ნახევარმცველის, ჩირიაკო სფორცას გარეშე ჩაატარებს. „ლევერკუზენი“ კი ამ შეხვედრას გამარჯვების ტალღაზე შეხვდება. მე-10 ტურში, სამშაბათს მან ჩემპიონთა თასის მფლობელი „ბორუსია“ დორტმუნდში 1:0 დაამარცხა.

რეჰაგელს მრავალჯერ უთქვამს. არა მგონია ჩემს გუნდს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შნო ჰქონდესო. ამ საკითხზე სხვა აზრისა ყოფილა „ბაიერნის“ მცველი მარკუს ბაბელი:

— ძალიან შეკრული გუნდი ჰყავთ და მეტად გამართულ ფეხბურთსაც თამაშობენ. 10 ტურის შემდეგ ბუნდესლიგის ლიდერი შემთხვევით ვერ იქნები. მათთან გაჯიბრება იოლი არ იქნება.


SPORT BILD

ოტო რეჰაგელი ვარჯიშის დროსაც ძალიან აქტიურია

„ბაიერნმა“ ზემოხსენებული ბაბელის მეოთხე წუთზევე გაძევების მიუხედავად, ოთხშაბათს „შტუტგარტთან“ 3:3 ითამაშა. დღეს მიუნხენელები სტუმრად თამაშობენ „კარლსრუესთან“. „კარლსრუე“, მისი კაპიტნის თომას ჰესლერის მშვენიერი თამაშის მიუხედავად, 18 გუნდიან პირველობაზე მე-13 ადგილზეა. მისი დაცვა ბუნდესლიგაში ყველაზე სუსტი ჩანს — გაშვებული აქვს 21 გოლი.

— არა, ჩვენი მთავარი პრობლემა დაცვა სულაც არ გახლავთ. ჩვენ ბევრი გოლი ვერ გაგვაქვს — თუარა დაცვის სისუსტე მწვრთნელმა ვინფრედ შეფერმა.

დორტმუნდის მწვრთნელს ნევიო სკალას კი ამ საღამოს „დუისბურგის“ დამარცხება ჰაერივით სჭირდება. ამაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იტალიელი სპეციალისტის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის ბედი. „ბორუსიას“ „დუისბურგთან“ შეხვედრაში არ ეყოლება ლიბერო მათიას ზამერი, რომელსაც მარცხენა მუხლი აქვს დაშავებული.

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

## საფრანგეთი

XII ტური

**მარსელი 2:0 მეცი**

1:0 ბლანი (32), 2:0 რავანელი (57)

**გინგამი 0:1 ბორდო**

0:1 რიკარდინიო (75)



ფაბრიციო რავანელი

ჩემპიონატის ლიდერმა „მეცმა“ სეზონში მხოლოდ მეორედ წააგო, მაგრამ მომავალ ლიდერობას ამით, შესაძლოა, წერტილი დაუსვა. ზღვისპირა მარსელში ჩასულ „მეცს“ „შინ“ პირველად მოთამაშე ფაბრიციო რავანელი დახვდა, რომელმაც ძირითადად გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. შეხვედრას იტალიელთა ნაკრების თავკაცი ჩეზარე მალდინი ესწრებოდა, რომელსაც რავანელი რუსებთან სათამაშოდ შეუგულებია. თავდამსხმელმაც არც თავი დაზოგა, არც მეტოქე და საფრანგეთის ჩემპიონატში ნათამაშევ მეორე მატჩში მეორედ შეაგდო. „მეცი“ მღევრის როლში თავდაპირველად მასპინძელთა კაპიტანმა, ცენტრალურმა მცველმა, მაგრამ ამ სეზონში ჯერჯერობით კლუბის ბომბარდირმა ლორან ბლანმა ჩააგდო. „ველოდრომზე“ შეკრებილმა 25 ათასმა გულშემატკივარმა მალე იტალიელის სიხარულიც იხილა — რავანელი გრავლენს გაექცა, მეკარე ლიონელ ლეტიზუც მოატყუა და შეაგდო. მეორე ნახევარში მართალია ანგარიში არ შეცვლილა, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რადგან მასპინძლებმა, მათ შორის რავანელმაც, ორჯერ ძელები შეარყიეს.

ხუთშაბათსვე გამართულ კიდევ ერთ შეხვედრაში ბორდოელებმა „გინგამის“ ძლევით მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. კლუბის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რიკარდინიომ მასპინძელთა ორი მცველისგან თავის დაღწევის შემდეგ მარჯვედ მოიქნია და თანაგუნდელები გახარა. სხვათა შორის, სტუმრებმა ბოლო ათი წუთი კაცნაკლულებმა ითამაშეს — მცველი ლაზინა დიაბატე მეორე გაფრთხილების გამო არბიტრმა გააძევა. რაც შეეხება „ბორდოს“, მათ ბოლო ექვსი თამაშია, მარცხი არ განუცდიათ, „გინგამთან“ 1:0 მოგებული შეხვედრა კი „მშრალზე“ დამთავრებული ზედიზედ მეხუთე მატჩი იყო.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სტეფან გივარში (ოსერი) | 7 |
| ვიქტორ იკპება (მონაკო) | 7 |
| მარკო სიმონე (პსჟ) | 7 |
| ლილიან ლასლანდი (ბორდო) | 6 |
| ბრუნო როდრიგესი (მეცი) | 6 |
| რაი (პსჟ) | 6 |
| ფლორიან მორისი (პსჟ) | 6 |

## პოლონეთი

X ტური

პოლონია — ზაგლებიე 4:1; სტომილი — ლკს 1:3; რაკოვი — ვისლა 0:1; პეტროხემია — ლეგია 1:2; ამიცა — გკს 1:0; ვიძევი — ოდრა 2:0; რუხი — გურნიკი 0:0; გროცლინი — ლეხი 0:1; პოგონი — ოსტროვიეცი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:5 | 22 |
| ლკს | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 20 |
| ლეხი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:7 | 17 |
| ლეგია | 9 | 4 | 4 | 1 | 18:10 | 16 |
| პოლონია | 10 | 4 | 4 | 2 | 13:9 | 16 |
| ოდრა | 10 | 5 | 0 | 5 | 12:14 | 15 |
| ვისლა | 10 | 4 | 3 | 3 | 10:13 | 15 |
| რუხი | 10 | 3 | 5 | 2 | 17:11 | 14 |
| ამიცა | 10 | 4 | 2 | 4 | 12:9 | 14 |
| გკს | 10 | 3 | 4 | 3 | 15:11 | 13 |
| სტომილი | 10 | 4 | 1 | 5 | 11:14 | 13 |
| პოგონი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | 12 |
| გროცლინი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:9 | 12 |
| გურნიკი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:20 | 12 |
| პეტროხემია | 10 | 3 | 2 | 5 | 8:14 | 11 |
| ზაგლებიე | 10 | 3 | 1 | 6 | 10:17 | 10 |
| ოსტროვიეცი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:15 | 6 |
| რაკოვი | 10 | 1 | 3 | 6 | 5:17 | 6 |

## ესპანეთი

VI ტური

**სპორტინგი 0:2 რეალი**

0:1 მორიენტესი (19), 0:2 რაული (77)

**ესპანიოლი 1:0 კომპოსტელა**

1:0 პოჩეტინო (76)

**სალამანკა 0:2 ოვიედო**

**ატლეტიკო 4:0 მერიდა**

**სელტა 1:2 სოსიედადი**

**დეპორტივო 1:3 ვალიადოლიდი**

**ვალენსია 1:1 ბილბაო**

**ტენერიფე 2:2 რასინგი**

**ბეტისი 3:3 სარაგოსა**

ორი წლის წინ დედაქალაქის „ატლეტიკომ", „რეალისა" და „ბარსელონას" შემდეგ მუდამ მესამე კლუბად რომ ითვლებოდა, ორივე დაჩრდილა და ჩემპიონობას თასიც დაურთო. შარშან ორივეგან ხელი მოეცარა, წელს კი საკმაოდ ძლიერად თამაშობს და არაა გამორიცხული, ქვეყნის რომელიმე ჯილდოს დაეპატრონოს.

ლები იყო. „დეპორტივოს" ხელმძღვანელობამ მარცხი მთავარ მწვრთნელს კარლოს ალბერტო სილვას არ აპატია და გაათავისუფლა. ალბერტო სილვა ლაკორუნიელებს შარშანდელ სეზონში მოევლინათ. მან უელსელი ჯონ ტოშაკი შეცვალა, რომელსაც გულშემატკივრები არ სწყალობდნენ. ახალი მწვრთნელი „დეპორტივოს" კარგად შეეწყო და სეზონი მესამე ადგილზეც დაასრულეს, მაგრამ ამ ჩემპიონატში არაფერი გამოუვიდათ. კლუბის წარუმატებლობები კი მას შემდეგ დაიწყო, რაც რივალდო „ბარსელონას" მიჰყიდეს. ჯერჯერობით ალბერტო სილვას შემცვლელი არ დაუსახელებიათ.

რივალდოს „ბარსელონა" მომავალ ტურში „კომპოსტელას" ეთამაშება. 26 მილიონ 600 ათას დოლარად შეძენილმა რივალდომ შარშან სწორედ „კომპოსტელას" გაუტანა ის გოლი, რომელმაც სტადიონზე შეკრებილი უკლებლივ ყველა მაყურებელი ფეხზე წამოაყენა და უთვალავი ტელემაყურებელი აღაფრთოვანა.

ეს ესპანეთის საუკეთესო გუნდებს შეეხებოდა, მაგრამ სწორედ იმ დღეებში, როცა „პრიმერა დივიზიონში" 20 გუნდი ერთმანეთს ეცილებოდა სამ ქულას, ერთი ლიგით დაბლა მეტად იშვიათი შემთხვევა მოხდა: ლერიდაში, ადგილობრივებთან თამაშისას, „რაიო ვალეკანოს" ოთხი მოთამაშე გაუძევეს, 86-ე წუთზე კი სტუმართა ერთ-ერთმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო. რადგან ყველა ცვლილება გამოყენებული იყო, „რაიოც" ექვსი კაცით დარჩა. მსაჯმა თამაში შეწყვიტა, ანგარიში კი მასპინძელთა სასარგებლოდ 3:1 იყო. დამარცხებულმა და ერთობ გაბოროტებულმა „რაიოს" თავკაცებმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას შეუთვალეს, თუ უმიზეზოდ და არასწორად გაძევებულებს არ შეიწყალებთ, მომდევნო თამაშს არ ვითამაშებთო.



AP მადრიდიდან

ვიერი „ატლეტიკოში" უპირველესი ბომბარდირია

ამჯერად „ატლეტიკომ" მაჩანჩალა „მერიდა" დაიბრიყვა თავისი პრეზიდენტის ხესუს ხილი ხილის თვალწინ. დედაქალაქელებმა „მერიდას" რაიმე წარმატებაზე ფიქრიც არ დააცალეს. ჟუნინიოს მხარი ბრაზილიელმა ანდრეიმ და ძვირად შეძენილმა კრისტიან ვიერიმ აუბეს და სამივემ მიწასთან გაასწორეს მეტოქე, რითაც ხილიხილს ენითაუწერელი სიხარული მიანიჭეს. „ატლეტიკოს" თამაშის წინ კიკო ნარვაესი და ხორდი ლარდინიც შეემატნენ — ორივეს ტრავმები აწუხებდა, მაგრამ თანაგუნდელებს დროზე შეეშველნენ. დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ გაბადრული ხილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — კიკომ ყველაფერი შეცვალა, ლარდინი შეუდარებელი იყო! — გაიძახოდა იგი. პრეზიდენტმა გამარჯვების სულისჩამდგმელი ჟუნინიოც არ დაივიწყა — კარგა ხანია, ვხვდები, რომ მისი შეძენით დიდი ნაბიჯი გადავდგით. დარწმუნებული ვარ, წარმატებებს მივაღწევთო.

ამასობაში სამეფო გუნდი „რეალი" ხიხონში „სპორტინგს" სჯობნიდა. გერმანელმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა ამჯერადაც ძირითადს გარეთ დატოვა შარშანდელ სეზონში კლუბის უპირველესი ბომბარდირი ხორვატი დავორ შუკერი და მისი ადგილი ახალგაზრდა თავდამსხმელს ფერნანდო მორიენტესს მიანდო. ამანაც მწვრთნელს არ უმტყუნა და თავისიანები მალევე აზარა. მატჩის კულმინაცია კი 77-ე წუთი იყო, როცა რაულმა ჰოლანდიელ კლარენს ზეედორფის ბრწყინვალე ნაზრევს სათანადო დასასრული გამოუძებნა. ამ ახალგაზრდა თავდამსხმელის გოლი მართლაც შესანიშნავი სანახავი გამოდგა. შეხვედრის შემდგომ დავორ შუკერმა განაცხადა, ნელ-ნელა „ბარსელონას" ვუახლოვდებით. ღრმად ვარ დარწმუნებული, ორსამ ტურში გადავასწრებთ კიდეცო. „წელს აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთ. ეს ძალგვიძს და ვიცი, შევძლებთ კიდეც. კატალონელები კი გვისწრებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დავეწევით. დღესდღეობით „რეალი" უფრო კარგი გუნდია, ვიდრე „ბარსელონა". ჩემს ძირითადში თამაშს რაც შეეხება, მართალია, ძალიან მინდა, მაგრამ ახლა მორიენტესმა მაჯობა. ჰაინკესის გადაწყვეტილებაც გასაგებია, ამიტომ არაფერს ვამბობ. ან კი რა უნდა ვთქვა, ვიცი, ჩემი დროც მოვა" — განაცხადა შუკერმა.

ლა კორუნიაში „ვალიადოლიდმა", მთელი ორი კვირა უეფას თასზე მორიგ მეტოქეს რომ ელოდა, ყველას გასაკვირად ადგილობრივი „დეპორტივო" დაამარცხა. აქამდე ვალიადოლიდელებს მოგება არ ჰქონდათ და ეს მათთვის ჩემპიონატში მოპოვებული პირველი ქულები იყო.

რას გადაწყვეტენ ესპანური ფეხბურთის მამები, კვირას გაირკვევა, მანამდე კი „რაიოს" 1:3 წაგება ძალაში დარჩება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 16:4 | 18 |
| რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:1 | 14 |
| ატლეტიკო | 6 | 3 | 2 | 1 | 15:5 | 11 |
| მალიორკა | 6 | 3 | 2 | 1 | 15:8 | 11 |
| სელტა | 6 | 3 | 2 | 1 | 13:8 | 11 |
| ესპანიოლი | 6 | 2 | 4 | 0 | 7:4 | 10 |
| რასინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| სოსიედადი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| ბეტისი | 6 | 2 | 3 | 1 | 11:9 | 9 |
| ოვიედო | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| ტენერიფე | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| სარაგოსა | 6 | 1 | 4 | 1 | 11:11 | 7 |
| ბილბაო | 6 | 1 | 4 | 1 | 5:6 | 7 |
| კომპოსტელა | 6 | 1 | 3 | 2 | 10:10 | 6 |
| დეპორტივო | 6 | 1 | 3 | 2 | 7:7 | 6 |
| ვალენსია | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| სალამანკა | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| ვალიადოლიდი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:17 | 3 |
| მერიდა | 6 | 0 | 2 | 4 | 4:13 | 2 |
| სპორტინგი | 6 | 0 | 0 | 6 | 4:20 | 0 |

### მეორე დივიზიონი

მე-8 ტური. ალბასეტე — ნუმანსია 2:0; ეიბარი — ტოლედო 3:3; ლას პალმასი — ვილიარეალი 0:0; ლეიდა — რაიო 3:1; ორენსე — ერკულესი 2:0; ხაენი — ოსასუნა 1:1; ხერესი — ლევანტე 4:1; ელჩე — ალავესი 0:1; ესტრემადურა — ლეგანესი 0:0; ბადახოსი — ატლეტიკო 1:1; ლოგრონიესი — სევილია 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორენსე | 8 | 5 | 1 | 2 | 11:3 | 16 |
| ესტრემადურა | 8 | 4 | 3 | 1 | 10:4 | 15 |
| ატლეტიკო | 8 | 4 | 3 | 1 | 12:7 | 15 |
| ალავესი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:6 | 14 |
| რაიო | 8 | 3 | 4 | 1 | 13:7 | 13 |
| ალბასეტე | 8 | 3 | 4 | 1 | 10:8 | 13 |
| სევილია | 8 | 3 | 3 | 2 | 13:8 | 12 |
| ვილიარეალი | 8 | 3 | 3 | 2 | 6:9 | 12 |
| ლეგანესი | 8 | 3 | 3 | 2 | 5:9 | 12 |
| ხერესი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:5 | 11 |
| ტოლედო | 8 | 2 | 5 | 1 | 11:12 | 11 |
| ნუმანსია | 8 | 3 | 2 | 3 | 5:9 | 11 |
| ბადახოსი | 8 | 1 | 7 | 0 | 8:3 | 10 |
| ოსასუნა | 8 | 2 | 3 | 3 | 7:7 | 9 |
| ერკულესი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:12 | 8 |
| ლას პალმასი | 8 | 1 | 5 | 2 | 11:13 | 8 |
| ეიბარი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 8 |
| ლეიდა | 8 | 2 | 2 | 4 | 11:16 | 8 |
| ელჩე | 8 | 2 | 1 | 5 | 9:11 | 7 |
| ლევანტე | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | 7 |
| ხაენი | 8 | 0 | 5 | 3 | 5:12 | 5 |
| ლოგრონიესი | 8 | 0 | 5 | 3 | 4:11 | 5 |

## ჰოლანდია

X ტური

**აიაქსი 1:0 ბრედა**

1:0 ვიჩხე (84)

**ვალვაიკი 0:0 ნაიმეგენი**

**როდა 2:2 ეინდჰოვენი**

1:0 ვრედი (38), 1:1 მიოლერი (40), 1:2 ნილისი (52), 2:2 უერი (58 პ)

**გრააფსხაპი 2:2 სპარტა**

0:1 გრუნენდაიკი (8), 1:1 გერიტსენი (42), 2:1 ვისკაალი (47), 2:2 რენფარმი (50)

**უტრეხტი 2:4 ჰერენვენი**

0:1 ელ ხატაბი (15), 1:1 დეშეივერი (27), 1:2 სალიპამოჯიჩი (36), 2:2 ვან მოლი (38), 2:3 ვან ნისტელრუი (47), 2:4 ელ ხატაბი (65)

რაც შოთა და აჩიკო ფეხბურთს თამაშობენ, ალბათ, პირველად მოხდა, ერთმანეთს რომ დაუპირისპირდნენ. ტყუპები „დინამოშიც" ერთად იყვნენ, „ტრაბზონსპორშიც", ჰოლანდიაში კი მათი გზები გაიყო. ხუთშაბათს „აიაქსის" „ამსტერდამ არენაზე" ტყუპები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. შოთას გუნდმა მართლა ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა — მე-10 წუთიდან მასპინძლები მთელი თამაში დომინირებდნენ, მაგრამ ბრედელები დაცვაში ზუსტნი იყვნენ და ჰოლანდიის ყველაზე ტიტულოვან გუნდს გოლის გატანა გაუჯანჯლდა, თუმცა ბოლოს მოსახდენი მაინც მოხდა — რიხარდ ვიჩხემ მარტინ როსერის ჩაწოდებული გოლად აქცია. სხვათა შორის ამ უკანასკნელმა ამ სეზონში ბოლო მატჩი ითამაშა „აიაქსის" შემადგენლობაში. ამ უიქ-ენდიდან იგი ივნისამდე არნემის „ვიტესშია" განათხოვრებული. რაც შეეხება ძმებს, აჩიკოს შოთასთან შედარებით ნაკლები საგოლე მომენტები ჰქონდა, თუმცა, როგორც „როიტერმა" აღნიშნა, აიაქსელ ძმაზე ნაკლებად სულაც არ უთამაშია.

მორტენ ოლსენის ბიჭები იმ ერთი კინკილა გოლის გარდა მეტსაც შეაგდებდნენ, მაგრამ ჯერ ერთი „ბრედას" მეკარე ჯონ კრელსი ვაჟკაცობდა, მეორეც — ბურთი ოთხჯერ ძელს მოხვდა. ამსტერდამელებმა შუა თამაშში ნახევარმცველი ანჯეი რუდი მოისაკლისეს — მეტოქესთან შეტაკებისას ცხვირი გაუტყდა. გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ისასპარეზეს:

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი, ოლისე, ფ. დე ბური, რუდი (გორი 29), ლიტმანენი, რ. ვიჩხე, შ. არველაძე, ბენი (როსერი 79), მუსტრა (დანი 69)

ბრედა: კრელსი, ატმოდიკორო, დე რუვერი, ვან დე ლუი, ფისკინსი, გააზზეკი, შრედერი, მილიჩი (ბრუსელერსი 73), სტიუარტი (რელოფსენი 86), ა. არველაძე, ბუდელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 10 | 10 | 0 | 0 | 38:3 | 30 |
| ეინდჰოვენი | 10 | 6 | 4 | 0 | 30:12 | 22 |
| ფეიენოორდი | 9 | 6 | 2 | 1 | 18:7 | 20 |
| ჰერენვენი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:10 | 20 |
| ტვენტე | 9 | 5 | 3 | 1 | 14:7 | 18 |
| ვიტესი | 9 | 5 | 2 | 2 | 24:17 | 17 |
| სპარტა | 10 | 3 | 4 | 3 | 22:16 | 13 |
| როდა | 9 | 4 | 1 | 4 | 15:14 | 13 |
| გრონინგენი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:14 | 13 |
| გრააფსხაპი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:9 | 12 |
| ნაიმეგენი | 10 | 3 | 1 | 6 | 9:19 | 10 |
| ბრედა | 9 | 2 | 3 | 4 | 8:11 | 9 |
| ტილბურგი | 10 | 2 | 3 | 5 | 15:20 | 9 |
| ვალვაიკი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:18 | 9 |
| უტრეხტი | 10 | 2 | 2 | 6 | 16:28 | 8 |
| სიტარდი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:23 | 8 |
| ვოლენდამი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:32 | 5 |
| მაასტრიხტი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:27 | 4 |



ქართული ფეხბურთის ისტორიის ჰოლანდიური ფურცელი

## შვეიცარიელი ფრანგები შვეიცარიელი გერმანელების წინააღმდეგ

შვეიცარიაზე ამბობენ, მშვიდი ქვეყანაო. ვნახოთ, შაბათს, ასი წლის მეტოქეების, „გრასჰოპერისა" და „სერვეტის" შეხვედრაში გამოჩნდება. ორი უტიტულოვანესი გუნდის ბრძოლა ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს.

„სერვეტი" დიპლომატიური ცენტრის, ჟენევის გუნდია, „გრასჰოპერი" კი — საბანკო ციურიხის. „სერვეტის" ქომაგები ფრანგულად ლაპარაკობენ, რადგან საფრანგეთის საზღვართან ცხოვრობენ, „გრასჰოპერის" ქომაგები — გერმანულად. დღეს ჟენეველები მთელს შვეიცარიას გადაკვეთავენ, რათა ციურიხში ჩავიდნენ და თავის გუნდს მხარი დაუჭირონ. დღევანდელი ბრძოლა ლიდერობისთვის ბრძოლა გახლავთ.

„გრასჰოპერი" „სერვეტზე" სახელმოხვეჭილი კლუბია. ამას ჯილდოების რაოდენობაც ასაბუთებს. 1886 წელს ციურიხის უნივერსიტეტის ინგლისელი სტუდენტების მიერ დაარსებულ გუნდს შვეიცარიის ჩემპიონობა 24-ჯერ აქვს მოპოვებული. პირველად პირველ ჩემპიონატში, 1898 წელს გაიმარჯვა. 17-ჯერ მოიგო „გრასჰოპერმა" ქვეყნის თასი. იგი ერთადერთი შვეიცარიული გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო საშინაო უმაღლესი დივიზიონიდან ერთადერთხელ 1949 წელს გავარდა, სადაც 1951 წელს დაბრუნდა.

„სერვეტის" ისტორია 1890 წელს იღებს სათავეს. იგი 16-ჯერ იყო შვეიცარიის ჩემპიონი, თასის მფლობელი კი 6-ჯერ. 1990-იან წლებში გუნდების ისტორიულად დაძაბულ მეტოქეობას სიმწვავე მოაკლდა. „გრასჰოპერი" ძლიერ გუნდად დარჩა, ოთხჯერ პირველ ადგილზე გავიდა, ორჯერ თასი მოიგო, „სერვეტმა" კი მხოლოდ ერთხელ, 1994 წელს მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. გასულ სეზონში „გრასჰოპერი" უმაღლესი მიზნების მისაღწევად იბრძოდა, ხოლო „სერვეტი" ლიგაში დასარჩენად. „სერვეტს" ფინანსურად ცუდად ჰქონდა საქმე, მაგრამ იანვარში ფრანგულმა ტელეკომპანია „კანალ პლუსმა" უშველა. „პარი სენ ჟერმენის" მფლობელმა იგიც იყიდა.

„გრასჰოპერი" მდიდარია, მისი ბიუჯეტი 7,9 მილიონი დოლარია. ციურიხელ ბიზნესმენთა კლუბად მიჩნეული ფულს გონივრულად ხარჯავს, იყიდა ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი, მათ შორის გიორგი ნემსაძე და მიხეილ ყაველაშვილი.

„სერვეტი", „კანალ პლუსის" მიუხედავად, შედარებით ღარიბია. მისი ბიუჯეტი დაახლოებით 4 მილიონი დოლარია. შვეიცარიულ გუნდთა ნახევრის ბიუჯეტზე ნაკლები — არადა, ადრე კარლჰაინც რუმენიგეც კი ჰყავდათ ნაყიდი. 1989 წელს რუმენიგე 24 გოლით ქვეყნის ბომბარდირიც გახდა. ისე, „სერვეტი" უფრო ახალგაზრდა ტალანტთა აღმოჩენით არის ცნობილი. ამის მაგალითია სონი ანდერსონი, რომელმაც ჟენევაში 1993 წელს ითამაშა და 20 გოლი შეაგდო. შემდეგ ანდერსონი ფრანგულ „მარსელს" მიყიდეს.

— ჩვენ საკუთარი ფეხბურთელები უნდა აღვზარდოთ, ყოველ სეზონში პოკერის თამაში კი მავნებელია. გუნდის შექმნა ლატარია არ გეგონოთ — აღშფოთებით აცხადებს „კანალ პლუსის" მიერ კლუბის გენერალურ დირექტორად დანიშნული პატრიკ ტროტინიონი.

და მაინც, „კანალ პლუსთან" და „პარი სენ-ჟერმენთან" დაახლოებას უარყოფითი მხარეც ახლავს თან. საქმე ისაა, რომ რუმინეთის ნაკრების წევრი დან პოტოჩანუ, რომელიც ახალმა სპონსორმა უყიდა „სერვეტს", თუ შვეიცარიის პირველობაზე თავს გამოიჩენს, პარიზში გადავა. ასეთია პირობა. ასეთმა პირობამ „სერვეტის" ქომაგები, ბუნებრივია, ალაშფოთა, „კანალ პლუსმა" კი მათი დამშვიდება სცადა — ნუ გეშინიათ, „პარი სენ ჟერმენის" სამზარეულოდ არ გაქცევთო.

„კანალ პლუსის" სპონსორული ხელშეკრულებით სტადიონის აღორძინებაც ევალება. ამ საქმისთვის 68 მილიონი შვეიცარიული ფრანკია გამოყოფილი. დღეს არსებული სტადიონი 2000 წელს სულ სხვა სახისა იქნება და როგორც სპონსორი აცხადებს, ხალხს მისი შევსების სურვილი ყოველ თამაშში გაუჩნდება.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გასულ სეზონში „სერვეტი" გავარდნას ძლივს გადაურჩა, „გრასჰოპერი" კი კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოდა და მიზანს სულ ცოტა დააკლდა. დღეს ხვაგვარადაა საქმე, გუნდებს, ერთმანეთისგან ერთადერთი ქულა აშორებს. „სერვეტი" ციურიხში გვარიანად დასვენებული ჩავიდა. ახალი სეზონის ერთადერთი მარცხიდან (2:3 „ლოზანასთან") ორი კვირაა გასული და ჟენეველები ფრანგულ და გერმანულენოვან შვეიცარიელთა შორის ურთიერთობის გასარკვევად მზად არიან. „გრასჰოპერს" კი ამ ორ კვირაში ნებაზე არ დაუსვენია. ოთხშაბათს მან „სენტ გალენთან" გადატანილი თამაში ჩაატარა, რომელიც უგოლოდ დამთავრდა.

ლოზანაში მარცხამდე „სერვეტს" 13 შეხვედრა არ წაეგო, ამიტომაც პირველ წაგორხილებას ჟენეველთა ახალგაზრდა გუნდისთვის ერთგვარი გაკვეთილის მნიშვნელობაც ჰქონდა.

— ყოველი კვირის ბოლოს ვეკითხებოდით თავს, როდისღა უნდა დავმარცხდეთ? ვერ ვიტყვი რომ გულს მომეშვა, რადგან დამარცხება სასიამოვნო არასდროსაა მაგრამ... ჩვენ „გრასჰოპერის" მაგვარი გამოცდილება არ გვაქვს — თქვა „სერვეტის" მწვრთნელმა ჟერარ კასტელამ.

კასტელას გუნდში 25 წელს გადაბიჯებული სამად-სამი ფეხბურთელი ჰყავს და ამიტომაც სამკვირიანი მკურნალობის შემდეგ დაბრუნებული ფრანგი ვეტერანი ფრანკ დურიქსი მისი იმედთაგანია. და მაინც, „სერვეტს" ორი დისკვალიფიცირებული მცველი არ ეყოლება. ისინია ედი ბარეა და რუმინელი დან პოტოჩიანუ, რომლებიც ლოზანაში მოედნიდან გააძევეს. მათი არყოფნა სტუმართათვის ბუნებრივია დიდი დანაკლისი იქნება, მითუფრო, რომ „გრასჰოპერის" თავდასხმაში ვიორელ მოლდოვანისა და კუბილაი თურქილმაზის გამოჩენაა მოსალოდნელი.

„გრასჰოპერისა" და „სერვეტის" ბოლო ოთხ შეხვედრაში რვა გოლი გავიდა. დღეს, შეტევის მოყვარული მეტოქეებისგან ოპტიმისტები ამდენს მხოლოდ პირველ ტაიმში ელიან. უეფას თასზე ზაგრების „კროაციასთან" 0:5 მარცხი ციურიხელებმა, როგორც ჩანს, მოინელეს. გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ გამოფხიზლებული მოლდოვანი, ახალ სეზონში გატანილ 12 გოლს დღეს სულ მცირე მეცამეტეს დაამატებს. ძველებურ ფორმას იბრუნებს ტრავმებგამოვლილი თურქილმაზიც, რომელმაც, შვეიცარიის ნაკრების შემადგენლობაში, ამასწინათ, აზერბაიჯანელებს ჰეთ-თრიქი შეუსრულა.

## ინგლისი

### ლიგის თასი

თემურ ქეცბაიას „ნიუკასლმა" მესამე ეტაპზე იოლად სძლია მესამე დივიზიონელი „ჰალი" 2:0. ამ თამაშში იან რაშმა ლიგის თასზე 49-ე გოლი გაიტანა და ჯეფ ჰერსტის რეკორდი გაიმეორა.

„ჩელსიმ" „ბლექბერნს" უმასპინძლა. სტუმრები 47-ე წუთზე მაკკინლიმ დააწინაურა, მაგრამ 61-ზე დი მატეომ გააყაიმა. დამატებითის მე-15 წუთზე კი მასპინძლები ათნი დარჩნენ — ვიალი მეორედ გააფრთხილეს და გააძევეს. პენალტების სერიაში „ჩელსიმ" გაიმარჯვა. დამატებითი დრო „ლიდს" — „სტოკის" შეხვედრაშიც დაინიშნა. ძირითადის 1:1-ის შემდეგ მასპინძელთა ფორვარდმა უოლესმა ორჯერ შეაგდო და „ლიდსსაც" 3:1 მოაგებინა. „ლივერპულმა" ბერგერის და ფაულერის გოლებით 2:0 მოუგო „ვესტ ბრომს", „ვესტ ჰემმა" კი „ასტონ ვილა" დაამარცხა — 3:0. „ტოტენჰემმა" კრიზისს თავი ვერ დააღწია — შინ წააგო „დერბისთან". მასპინძლები ჟინოლამ დააწინაურა, მაგრამ კოსტარიკელმა ვენჩოპმა ორით უპასუხა. ეს „დერბის" მერვე გამარჯვებაა ბოლო ცხრა მატჩში. „ქოვენთრიმ" 4:1 დაჯაბნა „ევერტონი". ლიგის თასის ბოლო გათამაშების ფინალისტმა „მიდლსბრომ" კი „სანდერლენდს" 2:0 სძლია.

*მეოთხე წრეში ითამაშებენ: დერბი — ნიუკასლი, ლიდსი — რედინგი, მიდლსბრო — ბოლტონი, ჩელსი — საუთჰემპტონი, ვესტ ჰემი — უოლსოლი, ლივერპული — გრიმსბი, არსენალი — ქოვენთრი, ოქსფორდი — იფსვიჩი.*

# რუსეთი იტალიას ლაფში ამოსვრის

„...დარჩენილ დროში აღარაფერი იცვლება.
მეოთხედფინალში ჩეხეთი გადის!
იტალია ქვეჯგუფში რჩება და სამშობლოს უბრუნდება!
იტალია შოკშია!..“

ეს 20 ივნისით დათარიღებულ შარშანდელ „სარბიელში“ წერია. ზუსტად ერთი თვის შემდეგ კი, 17 ნოემბრის „სარბიელში“, ვფიქრობთ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა დატირება აღარ დაგვჭირდება. და თუ მაინც საჭირო გახდა... „ჩეზარე მალდინის ალბათ აუტოდაფე არ ასცდება“... მოკლედ, ოქტომბერ-ნოემბერში ევროპის შესარჩევ ზონაში ჩარჩენილი 8 „ოროსანი“ მსოფლიოს ჩემპიონატის 4 საგზურს გაითამაშებს. ჰოდა, წესით რა უნდა ესაქმებოდეს ამათთან იტალიას? ვაი, რომ ესაქმება. ეგ კი არა, კაცმა რუსეთ — იტალიის საერთო ბალანსს რომ გადახედოს, ეგებ გულიც შეუქანდეს: ტყუილად გარჯილა ბულგარეთი, ეს იტალიაც ან დაძლევს რუსეთს და ან არა, მაგრამ...

საერთო ბალანსი ამ შემთხვევაში ოდენ ხორვატია — უკრაინის თანაფარდობას თუ ასახავს ობიექტურად, რადგან აქ მხოლოდ უახლოესი წლების თანაფარდობაა ნაჩვენები, სხვა შემთხვევებში კი იგი ბევრს ვერ წაგვეშველება. განსაკუთრებით კი უნგრეთ — იუგოსლავიის წყვილში. დღესაც კარგად ჩანს, „დიდი გუნდის“ წყალობით რა დღე დაუყრია უნგრეთს იუგებისთვის, მაგრამ ახლა, ალბათ, მხოლოდ 11 უნგრელს თუ ეპარება ეჭვი, რომ მის გუნდს იუგოსლავია ძლევს.

და ისევ რუსეთი — იტალია. ამ წყვილის მიმართ საგანგებო ყურადღება გასაგებია. ეს ორი გუნდი მეტნაკლებად ტოლძალოვანიცაა და ტიტულოვანიც. თანაც რუსეთი აღმავლობის გზასაა შემდგარი, იტალიას კი სამწვრთნელო კრიზისი ღრღნის. ეს ყველაფერი ამათ ბრძოლას მეტ ინტერესს სძენს, ინტრიგას მატებს.

რუსული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ 29 ოქტომბერს ჩასატარებელი მატჩი „ლუჟნიკის“ სტადიონზე არ გაიმართება. მოგეხსენებათ, მოსკოვის მთავარი სარბიელი ამასწინათ 200 მილიონ დოლარად ისე გაარემონტეს, რომ ავ თვალს არ ენახვება, მაგრამ ერთი შეცდომა მოუვიდათ: სტადიონის მთავარი შემადგენელი ნაწილი, მოედანი, უვარგისია. ყოველ შემთხვევაში, 11 ოქტომბერს ბულგარეთის ნაკრებთან თამაშის დროს იგი ისეთ საშინელ დღეში გახლდათ, რომ უარესი ძნელი წარმოსადგენია.

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მატჩი „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება — განაცხადა რუსეთის საფეხბურთო ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრ ტუკმანოვმა.

ტუკმანოვმა აღნიშნა, რომ 51-ათასიანი „დინამოს“ სტადიონის გაზონი 82- ათასიანი „ლუჟნიკის“ საფართან შედარებით გაცილებით უკეთესადაა მოვლილი, რადგან გასულ გაზაფხულზე მას საგანგებო პროცედურა ჩაუტარეს, თუმცა, ისიც დასძინა, რომ იდეალური არც „დინამოს“ მოედანია.

„ლუჟნიკის“ საძაგელმა საფარმა ოთხშაბათს მოსკოვის „სპარტაკსაც“ სხვაგან, კერძოდ კი „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადაატანინა შვეიცარიულ „სიონთან“ თამაში.

საყოველთაო კრიტიკის მიუხედავად, „ლუჟნიკის“ პრესატაშემ სერგეი ბორისოვმა განაცხადა, რომ 29 ოქტომბრისთვის გაზონის მოწესრიგება სრულიად შესაძლებელია, თუმცა მაინც დააყოლა:

— ის ხუთიანზე ვერ იქნება მზად, ვერც ოთხიანზე და ალბათ ვერც პლუსიან სამიანზე, მაგრამ მასზე თამაში სრულიად შესაძლებელი იქნება.

— დიდი რეკონსტრუქციისას მხედველობიდან მოედანი გამოგვრჩა — თქვა მთავარმა ინჟინერმა ვლადიმერ სოროკინმა — ახლა ძვირადღირებული აღჭურვილობა უნდა შევიძინოთ, რათა გრუნტი ხარისხიანი გახდეს და ზედაც ახალი საფარი გვაქვს დასაგები.

მისი თქმით, ყველა სხვა პრობლემას ისიც დაემატა, რომ რეკონსტრუქციის დროს გამოყენებული ცემენტის მტვერი მოედანს დაეყარა, რამაც მისი მდგომარეობა ერთიორად სავალალო გახადა. სამომავლოდ დაგეგმილი სახურავი, ბალახს მზესაც დაუბინდავს და წვიმის შემდეგ გაზონის გაშრობა კიდევ უფრო ძნელ საქმედ იქცევა.

და მაინც, ლუჟნიკელი ბორისოვი იტალიელებთან მატჩის „დინამოზე“ გადატანის წინააღმდეგია:

— „დინამო“ — „ტორპედოს“ წვიმიანი თამაშის შემდეგ „დინამოს“ სტადიონის საფარიც ჩვენსავით იავარქმნილია და ამას „დინამო“ — „სპარტაკის“ მომავალი შეხვედრაც თავის დაღს დაასვამს.

შეგახსენებთ, რომ 40 წლის „ლუჟნიკის“ სტადიონი 1980 წლის ოლიმპიადის წინ ერთხელ უკვე გაარემონტეს.

სტადიონთან დაკავშირებულმა პრობლემამ გაანაწყენა უნგრელი და იუგოსლაველი გულშემატკივრებიც, მიზეზი: ბუდაპეშტის „ნეპშტადიონი“, რომელიც 76 ათას ქომაგს იტევს, რემონტის გამო დახურულია. იქ აყრილია პრეს-ლოჟა და გასახდელები, რამეთუ სარბიელს საგაისოდ, მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატისთვის ამზადებენ. სიტუაციიდან გამოსავლად უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის „ფერენცვაროშის“ სტადიონზე გადატანა მიიჩნია, მაგრამ ეს სტადიონი მხოლოდ და მხოლოდ 17 ათას გულშემატკივარს იტევს, 29 ოქტომბრის თამაშზე დასწრების მსურველები კი განუზომლად მეტნი არიან. მარტო იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ 10 ათასი თანამემამულის განაცხადი მიიღო, უნგრელებმა კი მაქსიმუმ 1350 სტუმარი გულშემატკივრის მიღებაზე განაცხადეს თანხმობა. ამ დღეებში იუგოსლაველები უნგრეთს ეწვივნენ ვითარების გასარკვევად.

თუკი სტადიონების ამბავი სავალალოა, წიგნის ამბავი გარკვეულია და კარგად მიდის. გაისად საფრანგეთში რომელი ქვეყნებიც გინდა ჩავიდნენ, მათ ჟურნალისტებს სულ მცირე 20 ენაზე გამოცემული ცნობარები დახვდებათ.

— მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტაილანდურ, იაპონურ და ჩინურ ენებზეც კი გამოვცემდით წიგნებს. გვქონდა 18-20 ენაზე დაბეჭდილი ცნობარები. ახლა საფრანგეთში საქმიანობის მეტად განვრცობას ვაპირებთ — განაცხადა ლონდონში არსებული „კარლტონ ბუქსლიმიტედის“ წარმომადგენელმა პირს მიურეიმ.

პაპუნა ძიძიგურის ნაცვლად: **პაპუნა ძიძია**

## ირლანდია - ბელგია

28 14 9 5 54:36

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.02.1928 | ლიეჟი | ბელგია — ირლანდია | 2:4 | |
| | ბრაიანი, ლედენტი; უაიტი (2), ლესი, სალივანი | | | |
| 20.04.1929 | დუბლინი | ირლანდია — ბელგია | 4:0 | |
| | ფლუდი (3), ბირნი | | | |
| 11.05.1930 | ბრიუსელი | ბელგია — ირლანდია | 1:3 | |
| | ბასტინი; დანი (2), ფლუდი | | | |
| 25.02.1934 | დუბლინი | ირლანდია — ბელგია | 4:4 | მჩშ |
| | მური (4); კაპელე, ს. ვანდენ ეინდე, ფ. ვანდენ ეინდე (2) | | | |
| 24.04.1949 | დუბლინი | ირლანდია — ბელგია | 0:2 | |
| | ლემბრეხტი, მერმანსი | | | |
| 10.05.1950 | ბრიუსელი | ბელგია — ირლანდია | 5:1 | |
| | მერმანსი (3), შავესი, დე ჰერტი; დაფი | | | |
| 24.03.1965 | დუბლინი | ირლანდია — ბელგია | 0:2 | |
| | მაკივოო (ს.კ.), ჟურიონი | | | |
| 25.05.1966 | ლიეჟი | ბელგია — ირლანდია | 2:3 | |
| | ვან ჰიმსტი, ვან დენ ბური; კენთველი (2), ფალამი | | | |
| 15.10.1980 | დუბლინი | ირლანდია — ბელგია | 1:1 | მჩშ |
| | გრილიში; კლუიტენსი | | | |
| 25.03.1981 | ბრიუსელი | ბელგია — ირლანდია | 1:0 | მჩშ |
| | კულემანსი | | | |
| 10.09.1986 | ბრიუსელი | ბელგია — ირლანდია | 2:2 | ევჩ |
| | კლაესენი, შიფო; სტეპლტონი, ბრეიდი | | | |
| 29.04.1987 | დუბლინი | ირლანდია — ბელგია | 0:0 | ევჩ |

## უნგრეთი - იუგოსლავია

28 14 9 5 54:36

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04.1927 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 3:0 | |
| | ორტი, შიკლოში, საბო | | | |
| 21.05.1931 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 3:2 | |
| | პიტრეცი, მარიანოვიჩი, ლემეშიჩი; ავარი (2) | | | |
| 09.05.1937 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 1:1 | |
| | ჩეჰი II; ლესნიკი | | | |
| 12.11.1939 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 0:2 | |
| | შაროში I, მ. ტოტი III | | | |
| 29.09.1940 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 0:0 | |
| 23.03.1941 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 1:1 | |
| | ვილიარევიჩი; დეტვაი | | | |
| 29.06.1947 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 2:3 | |
| | ჩიმერმანჩიჩი, მიჰაილოვიჩი; პუშკაში, სილადი, მიკე | | | |
| 02.08.1952 | ჰელსინკი | უნგრეთი — იუგოსლავია | 2:0 | |
| | პუშკაში, ციბორი | | | |
| 29.04.1956 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 2:2 | |
| | ფენივეში, ბოჟიკი; ვუკასი, ვესელინოვიჩი | | | |
| 16.09.1956 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 1:3 | |
| | პეტაკოვიჩი; პუშკაში, ციბორი, კოჩიში | | | |
| 20.04.1958 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 2:0 | |
| | ვაშაში, შანდორი | | | |
| 05.10.1958 | ზაგრები | იუგოსლავია — უნგრეთი | 4:4 | |
| | ზებეცი (2), პეტაკოვიჩი, ვესელინოვიჩი; შანდორი (3), ტიხი | | | |
| 19.04.1959 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 4:0 | |
| | ტიხი (2), შანდორი, პალი | | | |
| 11.10.1959 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 2:4 | |
| | მუიიჩი, კოსტიჩი; ალბერტი (3), ბუნდსაკი | | | |
| 09.10.1960 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 1:1 | |
| | დიორაში; კოსტიჩი | | | |
| 07.05.1961 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 2:4 | |
| | კოსტიჩი, მატუში; ტიხი (2), ალბერტი, ზებეცი (ს.კ.) | | | |
| 14.10.1962 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 0:1 | |
| | გალიჩი | | | |
| 06.10.1963 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 2:0 | |
| | სკობლარი, სამარჯიჩი | | | |
| 25.10.1964 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 2:1 | |
| | ალბერტი (2); სკობლარი | | | |
| 08.05.1966 | ზაგრები | იუგოსლავია — უნგრეთი | 2:0 | |
| | გულეტა, სკობლარი | | | |
| 23.04.1967 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 1:0 | |
| | ბენე | | | |
| 12.04.1970 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 2:2 | |
| | პანშიჩი (ს.კ.), გრაკანინი; ფაზეკაში, ბენე | | | |
| 01.09.1971 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 2:1 | |
| | სოკე, ჰოლცერი (ს.კ.); ობლაკი | | | |
| 26.09.1973 | ბელგრადი | იუგოსლავია — უნგრეთი | 1:1 | |
| | ბიეკოვიჩი; ბენე | | | |
| 29.05.1974 | სეკეშფეჰერი | უნგრეთი — იუგოსლავია | 3:2 | |
| | მატე (2), ფაზეკაში; პოპივოდა, იერკოვიჩი | | | |
| 17.04.1976 | ბანია ლუკა | იუგოსლავია — უნგრეთი | 0:0 | |
| 05.10.1977 | ბუდაპეშტი | უნგრეთი — იუგოსლავია | 4:3 | |
| | კერეკე, ტიოროჩიკი (2), ვარადი; სუშიჩი (2), ნიკოლიჩი | | | |
| 31.03.1984 | სუბოტიცა | იუგოსლავია — უნგრეთი | 2:1 | |
| | დუროვსკი, რადანოვიჩი; დიიმეში | | | |

## რუსეთი - იტალია

12 4 5 3 10:9

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13.10.1963 | მოსკოვი | სსრკ — იტალია | 2:0 | ევჩ |
| | პონედელნიკი, ჩისლენკო | | | |
| 10.11.1963 | რომი | იტალია — სსრკ | 1:1 | ევჩ |
| | რივერა; გუსაროვი | | | |
| 16.07.1966 | სანდერლენდი | იტალია — სსრკ | 0:1 | მჩ |
| | ჩისლენკო | | | |
| 01.11.1966 | მილანი | იტალია — სსრკ | 1:0 | |
| | ვუარნერი | | | |
| 05.06.1968 | ნეაპოლი | იტალია — სსრკ | 0:0 | ევჩ |
| 08.06.1975 | მოსკოვი | სსრკ — იტალია | 1:0 | |
| | კონკოვი | | | |
| 20.02.1988 | ბარი | იტალია — სსრკ | 4:1 | |
| | ბარეზი, ვიალი (2), ბერგომი; ლიტოვჩენკო | | | |
| 22.06.1988 | შტუტგარტი | იტალია — სსრკ | 0:2 | ევ |
| | ლიტოვჩენკო, პროტასოვი | | | |
| 03.11.1990 | რომი | იტალია — სსრკ | 0:0 | ევჩ |
| 16.06.1991 | სტოკჰოლმი | სსრკ — იტალია | 1:1 (პ3:4) | |
| | კორნეევი; ჯანინი | | | |
| 12.10.1991 | მოსკოვი | სსრკ — იტალია | 0:0 | ევჩ |
| 11.06.1996 | ლივერპული | იტალია — რუსეთი | 2:1 | ევ |
| | კაზირაგი (2); ციმბალარი | | | |

## ხორვატია - უკრაინა

2 1 0 1 4:1

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.03.1995 | ზაგრები | ხორვატია — უკრაინა | 4:0 | ევჩ |
| | ბობანი, შუკერი (2), პროსინეჩკი | | | |
| 11.06.1995 | კიევი | უკრაინა — ხორვატია | 1:0 | ევჩ |
| | კალიტვინცევი | | | |

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგმა** პატრის ლოკომ ოთხშაბათს ბოლო ორი თვის მანძილზე პირველად ივარჯიშა პსჟ-ს ბაზაზე. მარკო სიმონეს და ფლორიან მორისის გამო იგი გუნდის ძირითადში ვეღარ ხვდებოდა, დეპრესიები დაეწყო და საავადმყოფოში დააწვინეს. ახლა ფორვარდი გუნდს კი დაუბრუნდა, მაგრამ ჯერჯერობით ცალკე ვარჯიშობს ჟან კლოდ პერინის მეთვალყურეობით, დანარჩენ ფეხბურთელებთან კი რიკარდო და ჟოელ ბატსი მუშაობენ.

**იტალიის ორგზის ჩემპიონმა, მაგრამ ახლა დაჩაჩანაკებულმა „ნაპოლიმ“ ტურინის „იუვენტუსისგან“ ერთი წლით ითხოვა ცენტრალური მცველი მარკო ძამბონი. ნეაპოლელებმა ბოლო ორ თამაშში დედაქალაქელებისგან — „რომასა“ და „ლაციოსგან“ 10 გოლი გაუშვეს, კლუბმა მწვრთნელიც გამოცვალა, მაგრამ ბორტოლო მუტის ნაცვლად მისული კარლო მაძონის დებიუტი უიღბლო გამოდგა — კლუბმა თავის გათამაშებაში „ლაციოსთან“ 0:4 წააგო.**

**იამაიკა** შესაძლოა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად მოხვდეს. გულშემატკივრებს გადაუწყვეტიათ აღნიშნონ ეს მოვლენა, მაგრამ 9 ნოემბრის მატჩზე სალვადორში, სადაც საფრანგეთში მათი წასვლა ოფიციალურად უნდა გადაწყდეს, მასპინძლებმა მათ 30 ათასიან სტადიონზე მხოლოდ 100 ადგილი გამოუყვეს, რითაც იამაიკელები ერთობ გააწბილეს. სალვადორში იამაიკას ფრეც ჰყოფნის.

**შვეიცარიის ჩემპიონატის 14-ე ტურის ბოლო მატჩში „სენტ გალენმა“ ნემსაძის და ყაველაშვილის „გრასჰოპერს“ უმასპინძლა და 0:0 ითამაშა. ჩემპიონატს 31 ქულით „სერვეტი“ ლიდერობს, ქულით ნაკლები აქვს „გრასჰოპერს“, მესამეზე კი „ლოზანაა“ 27 ქულით.**

**გერმანელმა** მათიას ზამერმა შესაძლოა ნაადრევად დაასრულოს კარიერა. ოქტომბრის დასაწყისში მუხლის ტრავმისგან მორჩენილმა ევროპის შარშანდელმა საუკეთესო ფეხბურთელმა ბუნდესლიგის მორიგ ტურში იგივე მუხლი დაიზიანა და ახლა ახალ ოპერაციას საჭიროებს. ექიმების თქმით, ხელახალი ქირურგიული ჩარევის შემდეგ ზამერი როდის გააგრძელებს თამაშს, ამჟამად ამის დადგენა ძნელია და არც მისი ფეხბურთიდან საბოლოოდ წასვლაა გამორიცხული.

**საფრანგეთის მე-11 ტურის მატჩში „პარკ დე პრენსზე“ პსჟ-მ „გინგამს“ უმასპინძლა. ეს თამაში ომს უფრო ჰგავდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა პარიზელ პოლ ლეგუენს, რომელმაც ორთაბრძოლისას მეტოქეს ფეხი მოსტეხა, ერთი თვით მიუსაჯა დისკვალიფიკაცია, მასპინძელი ჟერომ ლერუა და გინგამელი ჟან ლუკ ვანუში კი ჩხუბისთვის ორი ტურით ჩამოაშორა ჩემპიონატს.**

**ინგლისის** „კრისტალ პალასმა“ იტალიელი ნახევარმცველი ივანო ბონეტი შეიძინა. 33 წლის აპენინელს კლუბის მწვრთნელი სტივ კოპელი ერთობ მოუხიბლავს ძლიერი თამაშით. კოპელმა არც ეს იკმარა და „ვულვერჰემპტონს“ ჯიმი სმიტის სანაცვლოდ შოტლანდიელი თავდამსხმელი ფრიდმენი და ავსტრალიელი მცველი მუსკეტი დაუთმო.

**ალბანეთის ჩემპიონატის მეხუთე ტური. ბესა — ტირანა 2:4, კორჩე — შკუმბინი 1:0, ტომორი — ბილიში 1:0, ვლაჟნია — შკიპონია 1:0, ელბასანი — ლუშნია 2:1, ალბპეტროლი — ოლიმპიკი 1:2, ლაჩი — ფლამურტარი 2:1. ჩემპიონატს 15 ქულით „ტირანა“ ლიდერობს, „ლაცი“ 12 ქულით მეორეა, „ვლაჟნია“ კი 10 ქულით მესამე.**

**ნორვეგიელი** ეგილ ოსტენსტადი, „საუთჰემპტონის“ ღირსებას რომ იცავს, ალბათ მთელი სეზონის მანძილზე ვეღარ ითამაშებს. ლიგის თასზე „ბარნსლისთან“ მატჩის 32-ე წუთზე მან კოჭი მძიმედ დაიზიანა და დარჩენილ სეზონს მკურნალობას მოანდომებს.

**შვედეთის დედაქალაქის კლუბმა აიკ-მა ხუთშაბათს მთავარი მწვრთნელი ერიკ ჰამრენი გაათავისუფლა. კლუბის პრეზიდენტ რუნე ჰელსტრერის [illegible] განცხადებით, ბოლო ხანებში გუნდი ცუდად თამაშობდა და გადამწყვეტი[illegible] ბინათ.**

**გერმანიის** ნაკრების რეკორდსმენმა ჩატარებული მატჩების მიხედვით — ლოთარ მათეუსმა განაცხადა, ვგონებ, ფორმაში შევდივარ და მომავალ წელს საფრანგეთში თამაშის ღირსი ვარო. მათეუსმა ნაკრებში ბოლოჯერ 1994 წლის დეკემბერში ითამაშა, მაგრამ შემდეგ წელს ზუსტად საქართველოსთან მატჩის წინ ქუსლის მყესი გაუწყდა და მას შემდეგ ნაკრების მაისური აღარ სცმია.

**ურუგვაელი გუსტავო პოიეტი მუხლის ტრავმის გამო დარჩენილი სეზონი ვეღარ ითამაშებს. „ჩელსის“ მწვრთნელმა რუუდ გულიტმა განაცხადა, პოიეტის სახით ძლიერი მოთამაშე კი დამაკლდა, მაგრამ მის ნაცვლად ვინმეს შეძენას სრულიადაც არ ვაპირებ, თადარიგში ძლიერი ფეხბურთელები მყავსო.**

**შვედეთის** ჩემპიონატის 25-ე ტურის მატჩში „ესტერმა“ 2:2 ითამაშა „მალმიოსთან“. ჩემპიონატს 49 ქულით „ჰალმშტადი“ ლიდერობს, ქულით ნაკლები აქვს „გიოტებორგს“, მესამეზე კი 45 ქულით „მალმიოა“.

**ინგლისის ჩემპიონებს კაპიტანი როი კინი კარგა ხნით გამოაკლდებათ. მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, გაწყვეტილი ჯვარედინი მყესების მორჩენა რამდენიმე თვეში სად გაგონილა, სეზონის ბოლომდე რომ დაგვაკლდებოდა, ვიცოდით, მაგრამ არაა გამორიცხული, კინმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შემთხვევაში იქაც ვერ ითამაშოსო.**

**ინგლისის** მეორე დივიზიონის კლუბმა „ფულემმა“, რომელსაც მუჰამედ ალ ფაიდის წყალობით სწრაფი პროგრესი განუზრახავს, ხუთშაბათს სარეკორდო ტრანსფერი განახორციელა. აქამდე კლუბმა ფეხბურთელში ყველაზე ბევრი — 92 ათასი დოლარი 1979 წელს პიტერ კიჩენში და ტედი მეიბენკში გადაიხადა, ახლა კი 811 ათასი დოლარი გაიღო ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველის იან სილას შესაძენად.

**ბრაზილიელი რაი, რომელიც თავის დროზე ნაკრებსაც კაპიტნობდა, სეზონის დასასრულისთანავე მშობლიურ „სან პაულუში“ გადავა, სადაც 1992 წელს ლიბერტადორესის და საკონტინენტთაშორისო თასები მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონს პარიზელებთან კონტრაქტი ზუსტად სეზონის ბოლოს უმთავრდება და მანაც გადაწყვიტა, სამშობლოში დაასრულოს კარიერა. პსჟ-ს თავკაცობამ განაცხადა, თუ იგი რიკარდოს დარად კლუბში დარჩენას მოისურვებს, რაიმე თანამდებობას შევთავაზებთო.**

**იტალიის** თასის გათამაშების მესამე წრის პირველ მატჩში „მილანმა“ გაჭირვებით სძლია „სამპდორია“ — 3:2. პირველ ნახევარში ტოვალიერის და ბოლოსიანის გოლებით გენუელები 2:0 იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ჯერ ვეამ, მერე კი მაინიმ გაათანაბრეს, არბიტრის მიერ წამატებულ დროში კი კლიუვერტმა მესამეც შეაგდო. სიხარული მან მაისურის გახდით გამოხატა, მსაჯმა კი თამაშში მეორედ გააფრთხილა და, ცხადია, გააძევა კიდეც.

**რუმინეთის ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური: დინამო — სტიაუა 1:3, ფორესტა — ნაციონალი 0:0, უნივერსიტატეა (კრაიოვა) — ოცელული 0:2, რაპიდი — ჟიული 5:0, ბაკაუ — რესიტა 0:1, არჯეში — უნივერსიტატეა (კლუჟი) 0:2, ფარული — ჩახლაული 1:0, პეტროლული — სპორტული 2:1, ხინდია — გლორია 1:1. ჩემპიონატს „ოცელული“ ლიდერობს 28 ქულით, დედაქალაქის „რაპიდს“ ორი ქულით ნაკლები აქვს, მესამე-მეოთხე ადგილებზე კი 23-23 ქულით „სტიაუა“ და „არჯეში“ არიან, თუმცა ბუქარესტელებს თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.**

**სლოვენიის** ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური: რუდარი — ვევჩე 2:0, პრიმორიე — ბელტინჩი 1:3, მარიბორი — კოროტანი 2:0, მურა — გორიცა 2:2, ოლიმპია — პროტონავტო 1:1. ჩემპიონატის ლიდერი 22 ქულით „პრიმორიეა“, 2 ქულით ნაკლებით მეორე-მესამე ადგილებზე „გორიცა“ და „მურა“ არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 ევროთასების ისტორიიდან

# ათი ბურთის გატანაც, ნუ გგონია...

ეს ჩვენი სერიალი მეტად საგანგებო რამაა — მას, ალბათ, მხოლოდ ფეხბურთის სტატისტიკოსები უკირკიტებენ და თავიანთ დავთრებს ადარებენ. ჰოდა, სწორედ მათ მივმართავთ — მოდით, ამჯერად, ქვემოთმოყვანილ ცხრილს ნუ ჩახედავთ და გამოიცანით ჩვენი დღევანდელი წერილის პირველი ანტიგმირი ანუ გუნდი, ვინც ევროთასების ისტორიაში პირველმა ერთ მატჩში ათი გოლი გაუშვა. „ქენესი"? „აპოელი"? „ფლორიანა"? თქვენ წარმოიდგინეთ, არა — ეს გუნდი თასების თასის ორგზის და უეფას თასის მფლობელი ბრიუსელის „ანდერლეხტია"!

საერთოდ, რაც არ უნდა იყოს, ერთ მატჩში ათი გოლის გატანა მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენაა. თუნდაც უსუსტეს გუნდთან მიღწეული ასეთი შედეგი დიდი წარმატებაა — ბოლო-ბოლო, ათი ბურთის შეგდებას მოსწრება სჭირდება ანუ გოლი ყოველ ცხრა წუთში უნდა გადიოდეს. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სუფთა დრო საშუალოდ 55-60 წუთს შეადგენს, გოლის გატანა ყოველ 5-6 წუთში უნდა მოესწროს, რაც, დაგვეთანხმებით, ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებასთან ერთად სათანადო განწყობასაც მოითხოვს.

დავუბრუნდეთ „ანდერლეხტს". ეს სახელგანთქმული კლუბი ევროთასების ისტორიაში ერთადერთია, ვინც ქვემოთმოყვანილი ცხრილის ორივე მხარეს ფიგურირებს — ერთხელ თავად წააგო ორნიშნა რიცხვით, თუმცა არც თავად დაინდო ერთი მეტოქე და 10 ბურთი გაუტანა. ამ ორ მატჩს შორის ზუსტად 10 წელი იყო გასული...

მოკლედ, 1956 წლის 26 სექტემბერს პირველად ევროპული ტურნირების ისტორიაში ერთმა გუნდმა მეორეს ათი გოლი გაუტანა. ეს მანჩესტერის „მეინ როუდზე" მოხდა, თუმცა გიო ქინქლაძის გუნდის მაშინდელი თაობა აქ არაფერ შუაშია — „ოლდ ტრეფორდის" რემონტის გამო „სიტის" სტადიონზე „მანჩესტერ იუნაიტედმა" ითამაშა. ეს მატჩი ორი რამითაა გამორჩეული: ჯერ ერთი, ზემოთმოყვანილი მიზეზის გამო და მეორეც — ეს ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი მატჩი გახლდათ, რომელიც ინგლისში ჩატარდა, ამიტომ მასზე საგანგებოდ შევჩერდებით და თამაშის მეორე დღეს გაზეთ „თაიმზში" დაბეჭდილ წერილს შემოგთავაზებთ:

„ორი კვირის წინ ბრიუსელში 2:0 მოგების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედმა" გუშინ დიდოსტატურად ითამაშა და ბელგიის ჩემპიონი შინ განადგურებული გაუშვა. ბრიტანეთში და შესაძლოა მთელს ევროპაში ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდულმა გუნდმა, რომლის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 22 წელია, წმინდა ბრიტანულ ამინდში მეტოქე უმთავრესად სწრაფი თამაშის წყალობით დაჩაგრა. არადა, „ანდერლეხტი" სუსტი გუნდი სულაც არაა — ბოლო ათ წელიწადში იგი შვიდჯერ იყო ბელგიის ჩემპიონი. არც ბელგიური ფეხბურთია ხელწამოსაკრავი — სწორედ ბელგიელებთან 4:5 მარცხით დაიწყო უნგრეთის დიდი გუნდის დალმასვლა.

ბუნებრივ წვიმას გოლების წვიმაც თან დაერთო. „მეინ როუდზე" გუშინ შეკრებილ ხალხს „იუნაიტედმა" დროებით დაავიწყა გაჭირვება (ნეტავ, რა გაჭირვებაზეა საუბარი? რედ.) და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ინგლისური ფეხბურთი დიდია. მანჩესტერელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს — ძლიერ ტემპში, მოკლე პასებით და თავისუფალ ზონებში უმალ გადანაცვლებით. ზოგ შემთხვევაში მათი თამაში მადრიდის „რეალს" ანაც ბუდაპეშტის „ჰონვედს" მოგაგონებდათ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი დანკან ედვარდსი, ტომი ტეილორი და დენის ვაიოლეტი იყვნენ. პირველი გოლი რვა წუთში მოვიდა — ტეილორმა თაურით ბურთი კარში ტყვიასავით შეჭედა".

ვფიქრობთ, დანარჩენი ცხრა გოლის აღწერა სრულიად ზედმეტია. მხოლოდ იმასღა ვიტყვით, რომ იმ მატჩში ყველაზე მეტი, 4 გოლი, დენის ვაიოლეტმა შეაგდო. ისე, ეს კაცი ორ წელიწადში თანაგუნდელებთან ერთად მიუნხენის ცნობილ ავიაკატასტროფაში კი მოჰყვა, მაგრამ ბობი ჩარლტონის დარად გადარჩა და საფეხბურთო კარიერაც, მათ შორის ევროპულიც, წარმატებით გააგრძელა. ასე



ჩელსელი პიტერ ჰაუსმანი სოფლელ ლუქსემბურგელებს მეათე გოლს უტანს

განსაჯეთ, ვაიოლეტს ევროთასების 11 მატჩში 12 გოლი აქვს გატანილი.

მოკლედ, ორნიშნა ანგარიშით მოგებას ევროტურნირებში სათავე „მანჩესტერ იუნაიტედმა" დაუდო და მართალია, ამ გუნდს მსგავსი შედეგის გამეორება მომავალში ველარ მოუხერხებია, ტრადიცია წარმატებით სხვა ინგლისურმა კლუბებმა განაგრძეს. ისინი ამ განხრით დღესაც ლიდერები არიან — 8 ასეთი გამარჯვება. მათ ერთი თამაშით ჩამორჩებიან ჰოლანდიელები, რომელთაც ბოლო ასეთ წარმატებას ორიოდ კვირის წინ მიაღწიეს, როცა „როდამ" ბერ შევას „ჰაპოელი" 10:0 გაანადგურა. ეს ორი ქვეყანა ამ მხრივ მართლაც ერთობ გამორჩეულია — თვით იტალიელებს 10 ბურთის ერთ მატჩში გატანა მხოლოდ ერთხელ მოუხერხებიათ, აი, ესპანელთათვის კი ეს ჯერ კიდევ მიუღწეველია.

რაც შეეხებათ კონკრეტულ კლუბებს, აქ „ლივერპული" ლიდერობს სამი მოგებით, ორ-ორჯერ კი „აიაქსსა" და „ფეიენოორდს" არ დაზარებიათ წამდაუწუმ გოლის გატანა. ისე, „აიაქსი" ორჯერვე უცნაურად „მოიქცა". პირველად, 1979-80 სეზონის ჩემპიონთა თასის მერვედფინალში, კვიპროსის „ომონიის" შინ 10:0 დამარცხების შემდეგ სტუმრად... 0:4 წააგო, თუმცა საპასუხო შეხვედრაზე ისეთი რამ მოხდა, ეს ანგარიში ალარ გაგაკვირვებთ: თურმე ნუ იტყვით და, ამსტერდამელ ფეხბურთელებს მწვრთნელისგან მალულად მოულაპარაკებიათ — მაინც 10:0 გვაქვს მოგებული და დღეს ცოტა ვიმასხროთო. შაყირი კი ის იყო, რომ „აიაქსის" ფეხბურთელებს ერთმანეთისთვის... პასი არ უნდა მიეცათ და თავად ეცადათ მეტოქის კარის აღება. თვით მეკარესაც კი. მოკლედ, „აიაქსი" გაერთო, თუმცა კლუბის თავკაცობამ ამგვარი საქციელისთვის ფეხბურთელები სოლიდური თანხით დააჯარიმა. მეორედ კი „აიაქსმა" ლუქსემბურგის „რედ ბოიზი" პირველ თამაშში დაინდო, შინ კი ერთბაშად 14 გაუტანა, აქედან ხუთი იმჟამად 20 წლის ვან ბასტენის ანგარიშზე იყო.

„ფეიენოორდი" კი სხვა მხრივაა გამორჩეული — მას ევროპის რეკორდი ეკუთვნის ორი მატჩის ჯამში გატანილი გოლების რაოდენობით და აქედან გამომდინარე, ერთ მეტოქესთან მიღწეული საუკეთესო სხვაობით — 21:0, თუმცა როტერდამელებმა ეს რეკორდი მხოლოდ გაიმეორეს, პირველად კი ეს ლონდონის „ჩელსიმ" შეძლო და ჩვენც სწორედ მის ორმატჩიან გასეირნებაზე შევჩერდეთ.

შეუძლებელია, ლუქსემბურგის 750 კაციანი სოფლის, უშარაჟის გუნდ „ქენესს" 1971-72 სეზონის თასების თასის გათამაშება არ ახსოვდეს. იმ წელს წილისყრამ მას თასების თასის იმჟამინდელი მფლობელი „ჩელსი" შეახვედრა. ლონდონელთა დარად, ის სეზონი სოფლის გუნდისთვისაც წარმატებული იყო — „ქენესი" ლუქსემბურგის მესამე დივიზიონის პირველი გუნდი გახდა, ქვეყნის თასი რომ მოიგო, თან, ამავდროულად, მეორე დივიზიონშიც ალზევდა. გუნდში ხუთი მეტალურგი, მეფუნთუშე, დალაქი, ბარმენი და კიდევ რამდენიმე პროფესიის კაცი თამაშობდა, ერთი ფეხბურთელი კი, 20 წლის გი ტილი, საერთოდ ცალხელა იყო. „ჩელსისთან" მატჩები, ცხადია, ამ გუნდისთვის უდიდესი მოვლენა გახლდათ. პირველი მატჩი სოფლის მაგივრად ქვეყნის დედაქალაქში შედგა და 13 ათასი კაცი დაესწრო, ლონდონის საპასუხო მატჩზე კი ორჯერ მეტი. გართობაც რიგიანი გამოდგა — „ჩელსიმ" უშარაჟელთა კარში 55-ჯერ (!) დაარტყა და 13 გოლი გაიტანა. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში სტუმართა 27 წლის ელექტრიკოსმა მეკარემ ლუსიენ ფუზელიემ ჩელსელ პიტერ ოსგუდთან შეჯახებისას წარბი გაიხეთქა, მაგრამ მოედნიდან მაინც არ გავიდა და მატჩის მერე გაკვირვებულ ინგლისელ ჟურნალისტებს უთხრა — რას ამბობთ, კაცმა არ იცის, ასეთ შეხვედრაში თამაში როდისღა მომიწევს, ამიტომ ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდიო.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 56-57 | ჩთ | 1/16 | ანდერლეხტი (ბელგია) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 0:2, 0:10 |
| 61-62 | უთ | 1/16 | სტრასბური (საფრანგეთი) — მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) | 1:3, 2:10 |
| 61-62 | თთ | 1/16 | ფლორიანა (მალტა) — უიპეშტ დოჟა (უნგრეთი) | 2:5, 2:10 |
| 62-63 | ჩთ | 1/16 | ფლორიანა (მალტა) — იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) | 1:4, 0:10 |
| 62-63 | უთ | 1/16 | ალთაი (იზმირი, თურქეთი) — რომა (იტალია) | 2:3, 1:10 |
| 63-64 | თთ | 1/8 | სპორტინგი (პორტუგალია) — აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) | 16:1, 2:0 |
| 64-65 | თთ | 1/16 | სპარტა (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — ანორთოსისი (კვიპროსი) | 10:0, 6:0 |
| 65-66 | ჩთ | 1/16 | სტად დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ბენფიკა (პორტუგალია) | 0:8, 0:10 |
| 65-66 | უთ | 1/32 | უნიონი (ლუქსემბურგი) — კიოლნი (გფრ) | 0:4, 0:13 |
| 65-66 | თთ | 1/16 | რეიპასი (ლაჰტი, ფინეთი) — ჰონვედი (უნგრეთი) | 2:10, 0:6 |
| 66-67 | ჩთ | 1/16 | ვალკეაკოსკი ჰაკა (ფინეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) | 1:10, 0:2 |
| 67-68 | თთ | 1/16 | აბერდინი (შოტლანდია) — რეიკიავიკი (ისლანდია) | 10:0, 4:1 |
| 68-69 | თთ | 1/16 | დანფერმლაინი (შოტლანდია) — აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) | 10:1, 2:0 |
| 69-70 | ჩთ | 1/16 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — რეიკიავიკი (ისლანდია) | 12:2, 4:0 |
| 69-70 | ჩთ | 1/16 | ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — ლინი (ნორვეგია) | 10:0, 6:0 |
| 69-70 | უთ | 1/32 | ლივერპული (ინგლისი) — დანდალკი (ირლანდია) | 10:0, 4:0 |
| 69-70 | თთ | 1/16 | ლიერსი (ბელგია) — აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) | 10:1, 1:0 |
| 70-71 | ჩთ | 1/16 | ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) — ეპა (კვიპროსი) | 6:0, 10:0 |
| 71-72 | თთ | 1/16 | ქენეს უშარაჟი (ლუქსემბურგი) — ჩელსი (ინგლისი) | 0:8, 0:13 |
| 72-73 | უთ | 1/32 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — რუმელანჟი (ლუქსემბურგი) | 9:0, 12:0 |
| 73-74 | ჩთ | 1/16 | კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) — დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) | 0:1, 0:11 |
| 73-74 | თთ | 1/16 | პეზოპორიკოსი (კვიპროსი) — მალმიო (შვედეთი) | 0:0, 0:11 |
| 74-75 | თთ | 1/16 | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — არდსი (ჩრდ. ირლანდია) | 10:0, 4:1 |
| 74-75 | თთ | 1/16 | ლივერპული (ინგლისი) — სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) | 11:0, 1:0 |
| 76-77 | უთ | 1/32 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) — ფინ ჰარპსი (ირლანდია) | 12:0, 4:1 |
| 76-77 | თთ | 1/16 | ლევსკი სპარტაკი (ბულგარეთი) — რეიპასი (ლაჰტი, ფინეთი) | 12:2, 7:1 |
| 77-78 | უთ | 1/32 | აზ 67 (ჰოლანდია) — რედ ბოიზი (ლუქსემბურგი) | 11:1, 5:0 |
| 79-80 | ჩთ | 1/8 | აიაქსი (ჰოლანდია) — ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) | 10:0, 0:4 |
| 80-81 | ჩთ | 1/16 | ოულუ (ფინეთი) — ლივერპული (ინგლისი) | 1:1, 1:10 |
| 82-83 | თთ | 1/16 | სუონსი სიტი (უელსი) — სლემა უონდერერზი (მალტა) | 12:0, 5:0 |
| 83-84 | უთ | 1/32 | ანორთოსისი (კვიპროსი) — ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) | 0:1, 0:10 |
| 83-84 | უთ | 1/32 | არისი (ლუქსემბურგი) — აუსტრია (ვენა, ავსტრია) | 0:5, 0:10 |
| 83-84 | უთ | 1/32 | რაბატ აიაქსი (მალტა) — ინტერი (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) | 0:10, 0:6 |
| 83-84 | თთ | 1/16 | ლა ვალეტა (მალტა) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) | 0:8, 0:10 |
| 84-85 | უთ | 1/32 | რედ ბოიზი (ლუქსემბურგი) — აიაქსი (ჰოლანდია) | 0:0, 0:14 |
| 94-95 | თთ | შ | ნორმა (ტალინი, ესტონეთი) — მარიბორი (სლოვენია) | 1:4, 0:10 |
| 97-98 | თთ | 1/16 | ჰაპოელი (ბერ შევა, ისრაელი) — როდა (კერკრადე, ჰოლანდია) | 0:4, 0:10 |

მონაცემები მოყვანილია წიგნიდან The Guiness Book of World Soccer

# დელ პიერო ერთხელ იბადება

რამდენიმე დღის წინ რედაქციაში მკითხველმა დაგვირეკა. ახალგაზრდა ქალბატონს იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" ვარსკვლავის, ალესანდრო დელ პიეროს დაბადების თარიღის დაზუსტება სურდა. ჩვენ ერთ-ერთ უახლეს უცხოურ ჟურნალში ჩავიხედეთ და მკითხველს იქ ამოკითხული ინფორმაცია მივაწოდეთ — 1974 წლის 7 ნოემბერი. მოგვიანებით, იმავე ჟურნალის ფურცვლისას, სხვა გვერდზე სხვა ცნობას წავაწყდით: დელ პიერო 9 ნოემბერს დაბადებულა. ვინაიდან აქამდე არასდროს გვსმენია ერთიდაიგივე ადამიანი ორ სხვადასხვა დღეს დაბადებულიყოს, ცნობისმოყვარეობამ სხვა ცნობარების გადაშლა გვაიძულა. ძიებას დამამშვიდებელი შედეგი მოჰყვა: დელ პიერო ერთხელ შობილა ამ ქვეყნად, ოღონდ 9 ნოემბერს და არა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავზე.

პინტურიჩოს დაბადების დღით დაინტერესებულ მკითხველს მცდარი ინფორმაციისთვის ბოდიშს ვუხდით და თან, ვინაიდან, აგერ უკვე მეორე აბზაცია, „იუვენტუსის" მეათე ნომერზე ვსაუბრობთ, ცოტას კიდევ ვიტყვით.



ალესანდრო დელ პიერო
დაიბადა: 1974 წლის 9 ნოემბერს კონელიანოში (ტრევიზო)
სიმაღლე: 173 სმ
წონა: 72 კგ
დებიუტი სერია A-ში: 1993 წლის 12 სექტემბერს. „ფოჯა" — „იუვენტუსი" (1:1)
სერია A-ში მატჩების რაოდენობა: 91
სერია A-ში გოლების რაოდენობა: 27
ევროთასებზე გოლების რაოდენობა: 14
ტიტულები: 1995, 1997 წლების იტალიის ჩემპიონი, 1996 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი, 1996 წლის საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი

პინტურიჩო მე-16 საუკუნის რენესანსის ეპოქის ხელოვანი გახლდათ. ალესანდროს მისი სახელი მეტსახელად შეარქვეს. დიახ, დელ პიეროსაც შემოქმედად, აღორძინების პერიოდის შემოქმედად მიიჩნევენ. გასულ ზაფხულს „ბებერ ქალბატონად" წოდებულმა „იუვენტუსმა" ახალი სეზონისთვის მზადებას მიჰყო ხელი. ალექსი საწვრთნელ ბაზაზე თითქოსდა დაბრძენებული მივიდა. მან განაცხადა, რომ მხრებზე უდიდესი პასუხისმგებლობის სიმძიმე აწევს, რადგან წინ როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო ორომტრიალი ელის:

— ყველაფერს თავიდან ვიწყებ, თითქმის თავიდან... ბუნებრივია, ხალხმა რომ იფიქრა, თითქოს ვავყოყოჩდი და ცხვირი ავიბზუე, მაგრამ, თუმც თავის ქება არ მინდა, ვიტყვი, რომ ჩემს მიერ მიღწეული შედეგები, გოლები და მოგებული თამაშები ყველას თვალწინაა. გასულ სეზონში სახელი შემერყა, რადგან ჩემი კონტრაქტის შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ. ახლა ყველაფერი რიგზეა, „იუვენტუსთან" სამწლიანი ხელშეკრულება დავდე და თავს საუცხოოდ ვგრძნობ.

დაახლოებით ერთი წლის წინ, ასე, დეკემბერსა თუ იანვარში, ალესანდრო დელ პიეროს შესახებ ბევრი ჭორი დადიოდა. საქმეში ჩახედული ხალხი ამბობდა, რომ ის პირწმინდა პლეიბოი გახდა, რომ სავარჯიშო მოედანზე მეტ დროს დისკოთეკებზე ატარებს. ამბობდნენ, როგორც კი სეზონი ჩამთავრდება, „იუვენტუსი" ხელად გაჰყიდისო. იმხანად დელ პიეროს თამაშში ტრავმებიც უშლიდა ხელს.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც პინტურიჩოს გაყიდვის წინასწარმეტყველთ ეჭვს უძლიერებდა. ეს გარემოება „იუვენტუსის" მიერ ბოლო წლებში დანერგილი და თითქმის ტრადიციად ქცეული



ჩვევა გახლდათ. კერძოდ, ორი წლის წინ, სეზონის ბოლოს, მთელი მსოფლიოსთვის მოულოდნელად, „ბებერმა ქალბატონმა" გაყიდა გუნდის ლიდერი რობერტო ბაჯო. შემდეგ წელიწადს იგივე ბედი ეწიათ ჯანლუკა ვიალისა და ფაბრიციო რავანელის, რომელთა წვლილი „იუვეს" წარმატებებში განუზომლად დიდი იყო. ახლოვდებოდა მორიგი სეზონის ბოლო...

„იუვენტუსმა" ალესანდრო არ გაყიდა. გაყიდეს ალენ ბოკშიჩი, ვლადიმერ იუგოვიჩი, კრისტიან ვიერი, დელ პიეროს გასხვისება კი ვერ გაბედეს.

არადა, გასულ სეზონს მისთვის საუკეთესოს ვერ უწოდებ. ჩემპიონთა თასის ფინალში დორტმუნდის „ბორუსიის" წინაამდეგ მარჩელო ლიპიმ მისი მოედანზე თავიდანვე გაყვანა მიზანშეწონილად არც კი მიიჩნია. ალექსს მოედანზე გასვლა შესვენებისას სთხოვეს, როდესაც გერმანელები 2:0-ს იგებდნენ. ცნობილი ამბავია — სასწაული არ მომხდარა, დელ პიერომ თამაში ვერ მოიგო, მაგრამ ანგარიში კი შეამცირა. მისი საგოლე დარტყმა ერთობ ეფექტური გახლდათ, მოულოდნელი. მან ტურინელებს გათანაბრების იმედი ჩაუსახა, თუმცა დროებით. შემდეგ დორტმუნდის გუნდმა მესამე შეაგდო, ოღონდ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

როგორც ვთქვით, „იუვემ" ბოკშიჩი, იუგოვიჩი და ვიერი გაყიდა, მათ სანაცვლოდ კი სხვები მოიყვანა. ახალწვეულთა შორის ყველაზე ძვირი ფილიპო ინძაგი ღირდა. ინძაგი გასულ სეზონში ბერგამოს „ატალანტაში" გამოდიოდა, სადაც 24 გოლი გაიტანა და სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ტურინის გუნდმა ინძაგიში თითქმის 15 მილიონი დოლარი გადაიხადა.

— ის, რომ ვიერის და ბოკშიჩის ნაცვლად ახლა ინძაგი და ფონსეკა გვყავს, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ გოლებს ველარ გავიტანთ. მართალია, ამიერიდან დაბლა თამაში მოგვიწევს და ვიერის მაღალ პასებს ველარ ჩავაწოდებთ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ შედარებით დაბალ ინძაგის თავით არცთუ ცოტა გოლი აქვს გატანილი — ამბობს დელ პიერო.

დელ პიეროს, ბუნებრივია, იტალიის ჩემპიონატის ახალ მონსტრზე, ბრაზილიელ რონალდოზეც ჰკითხეს აზრი.

— რონალდოს გახმაურებულმა გადასვლამ „ბარსელონადან" „ინტერში" დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მას ფეხბურთის თამაში ეხერხება, თუმცა ჯერ სანახავია, იტალიას შეეგუება თუ ვერა. დავიცადოთ, გამოჩნდება... ესპანეთის პირველობის თამაშებს ტელევიზიით ვუყურებ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ იქ იტალიისგან ძლიერ განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. რაც შემეხება მე, ჩემი ქვეყნის ჩემპიონატს საკმაოდ კარგად ვიცნობ — უპასუხა ალესანდრომ, რომელიც, როგორც ჩანს, რონალდოს ჩრდილში მოქცევას სულაც არ აპირებს.

**პაპუნა ძიძია**

# ლუისმანია ბასკეთში



ლუის ფერნანდესს გასული სეზონის დასაწყისში მდიდარი და წარმატებული პსჟ-ს მერე ბილბაოს შედარებით მოკრძალებულ „ატლეტიკში“ გადასვლას კაცი არ ურჩევდა. მაგრამ გავიდა ერთი წელი და შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა — ფერნანდესი არა მარტო კარგად შეეთვისა მდიდარი ტრადიციების მქონე ესპანურ გუნდს, არამედ თავისი ახალგაზრდული ენთუზიაზმითა და გამარჯვებულის ფსიქოლოგიით ჩაკეტილი ეთნოსის რეპუტაციის მქონე ბასკებს თავი ისე შეაყვარა, ახალ ფენომენზე — „ლუისმანიაზე“ დაიწყეს საუბარი.

ფერნანდესის მისია იოლი სულაც არ ყოფილა. მან საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში მყოფი გუნდი ჩაიბარა, თანაც ბოსმანის საქმემ „ატლეტიკს“ ახალი სირთულეებიც გაუჩინა — თუ ბასკებს ადრეც უჭირდათ მხოლოდ თავისიანებით დაკომპლექტებული გუნდით გრანდებთან ბრძოლა, რა მოხდებოდა საზღვრების გახსნის მერე? ესპანეთის თითქმის ყველა კლუბს უეცრად შემადგენლობაში შვიდ-რვა მოთამაშე სხვადასხვა ნაკრების წევრი გაუჩნდა, რომ აღარაფერი ვთქვათ „ბარსელონაზე“, „რეალზე“, „ატლეტიკოზე“, „ვალენსიასა“ და „დეპორტივოზე“. ფერნანდესს შეეძლო, დაეჩივლა, რომ მისგან ძალიან ბევრს მოითხოვდნენ, მაგრამ იგი წუწუნის გარეშე შეუდგა ძნელ საქმეს. ლუისმა თავიდანვე დაარწმუნა თავისი ფეხბურთელები, რომ შიში არავისი უნდა ჰქონოდათ. შედეგად გასულ წელს „ატლეტიკმა“ ყველა ესპანური გრანდი დაამარცხა და, გუნდის პრობლემებსა და შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, სასწაულით მოახერხა ევროთასებზე გამსვლელი ადგილის დაკავება.

მუშაობის ამგვარმა მანერამ ფერნანდესს ბასკთა გულში დაუმკვიდრა ადგილი — იგი თავისიანად მიიღეს. ერთი სანახავია, „ატლეტიკის“ ფანატები რომ წამოიშლებიან, როგორც კი მათი კერპი სათადარიგოთა სკამიდან გაავთრებული წამოხტება მსაჯების შესახურებლად. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ბასკები ფერნანდესს აღმერთებენ, მისი მოულოდნელობებით აღსავსე ხასიათია. რას არ მოაწყობს და გამოიგონებს. როდესაც მადრიდის „ატლეტიკო“ ბილბაოში მიდიოდა სათამაშოდ, დედაქალაქის გაზეთებმა პროვინციელებს ქარიშხალი უწინასწარმეტყველეს. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ბილბაოს მწვრთნელმა თანაქალაქელებს ფანჯრების დახურვა ურჩია, პროგნოზით ცუდი ამინდია გამოცხადებულიო და... ბილბაომ „ატლეტიკო“ დაამარცხა.

ფერნანდესმა გუნდს დინამიურობა და საკუთარი თავის რწმენა შემატა, რაც აქამდე ასე აკლდა. „ატლეტიკის“ უდიდეს პროგრესს უეფას თასზე „სამპდორიის“ დამარცხებაც ცხადყოფს. გენუაში გუნდი თავისი ვარსკვლავის — ხულენ გერეროსა და ალკორტას გარეშე ჩავიდა. მწვრთნელმა მეორე გუნდიდან აიყვანა ახალგაზრდა ფეხბურთელები და პირდაპირ ამ საპასუხისმგებლო მატჩში ანდო თამაში... სტუმრად ატლეტიკმა 2:1 მოიგო. ბასკ ფეხბურთის გულშემატკივრებს ამიერიდან ერთადერთი საწუხარი გაუჩნდათ — ხომ არსად აპირებს მათი ლუიდორი (ოქროს ლუისი) გადასვლას?

**— ლუის, რატომ გააგრძელეთ კონტრაქტი „ატლეტიკთან“ კიდევ ერთი სეზონით, როცა მისი ვადა ერთი წლის შემდეგ იწურებოდა?**

— აქ ხომ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ თავი კარგად ვიგრძნო. ასე სურდა ჩემს ოჯახსაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მე შესანიშნავი პირველი სეზონი გავატარე, ახლა კი საჭირო ცვლილებებიც გავაკეთეთ და მჯერა, ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს. კონტრაქტი რომ გავაგრძელე, ამით „ატლეტიკს“ უპირატესობა მივანიჭე.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა წინადადებებიც გქონდათ?**

— რამდენიმე. საფრანგეთში „ბორდოსა“ და „ლანსისგან“, ასევე ესპანური კლუბებისგან, მაგრამ აქ თავს თავისუფლად ვგრძნობ. მოთამაშეთა შერჩევა მე მევალება, სხვები კი მისმენენ, ჩემს საქმეებში არ ერევიან. გუნდის პატრონები კაბინეტებში მუშაობენ, მე — მოედანზე. მათთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და ახალი შეთანხმების მისაღწევად სულ ნახევარი საათი დაგვჭირდა.

**— გეტყობათ, გიყვართ „ატლეტიკო“.**

— კლუბში სულ ცოტა დროს გაატარებთ და მიხვდებით, რა უნიკალურ ატმოსფეროში მოხვედით...

**— ცოტა გამაღიზიანებელი ხომ არ არის, ბასკების გარდა არავის მიწვევა რომ არ შეგიძლიათ?**

— ეს წესია, ვერსად გაექცევი. თანაც, ბასკური სული კომპენსაციას ახდენს — ისინი მოწადინებულნი, წესიერნი და დამჯერნი არიან.

**— თანაც ბილბაო საკმაოდ გაძლიერდა...**

— ეს ყველა ესპანურ გუნდზე ითქმის. ამ სეზონში კიდევ უფრო მძაფრი კონკურენცია იქნება. ისევე როგორც გასულ ჩემპიონატში, მერვე-მეათე ადგილს ვეგმავთ, თუმცა, სიურპრიზებიც მოსალოდნელია.

**— თქვენ განსაკუთრებით დაცვის ხაზი გააძლიერეთ.**

— ხშირად მითქვამს, რომ გუნდი ძალიან ახალგაზრდული იყო. ამით აიხსნება ისეთი გამოცდილი მოთამაშეების მოწვევა, როგორებიც არიან ალკორტა, ლასა, ფერეირა, რომლებიც თავისუფლები იყვნენ. იგივე ითქმის რობერტო რიოსზე...

**— რომელშიც „ბეტისს“ 80 მილიონი ფრანკი გადაუხადეთ!**

— ეს მისი სატრანსფერო თანხა იყო და რას ვიზამდით. მაგრამ თუ იცით, რომ რიოსმა „მანჩესტერის“, „რეალისა“ და „ბარსას“ წინადადებები უარყო, რათა თავისი ოცნების გუნდში გადმოსულიყო? ეს მართლაც განსაცვიფრებელია.

**— სამაგიეროდ, თქვენ ლისარასუ დაკარგეთ...**

— დიახ...

**— იმედგაცრუება გეტყობათ.**

— მასზე ცუდს არაფერს ვიტყვი, მაგრამ ვერ მიიღო სწორი გადაწყვეტილება.

**— მან ხომ უბრალოდ სიტუაციით ისარგებლა. მის ადგილზე, ალბათ, თქვენც ასევე მოიქცეოდით.**

— თავადაც სწორედ ასე მითხრა, მაგრამ ის ის არის, მე კი — მე. რა საჭირო იყო თავის წარმოშობაზე, ბასკურ ფესვებზე ლაპარაკი და სიყვარულის ძეკიცება, თუ „ბაიერნში“ გაიქცეოდა. გასაგებია, აქ არც თუ სასიამოვნო სეზონი გაატარა, მაგრამ ყველა მის გვერდით იდგა, მისთვის ყველაფერს აკეთებდა, როცა თითქმის ექვსი თვე ტრავმირებული იყო. ვფიქრობ, გუნდი იმსახურებდა იმას, რომ ბისანს კიდევ ერთი წლით მაინც ეტარებინა მისი მაისური.



ტიპიური სურათი: ფერნანდესი და მისი თაყვანისმცემლები

**— შთაბეჭდილება ისეთია, თქვენ ესპანური გუნდის მწვრთნელად ხართ დაბადებული.**

— ეს კატეგორიული განცხადებაა. მე შემიძლია, ყველგან მწვრთნელად ვიმუშაო, მაგრამ ყველგან იგივედ დავრჩები. ჩემთან შეწყობა არც ისე ძნელია. მართალია, ზოგჯერ საკმაოდ ცუდ ხასიათზეც ვარ, მაგრამ მალე გადამივლის-ხოლმე.

**— ესპანეთში ისე გამოიყურებით, როგორც თევზი წყალში.**

— ჰო, მე კარგად ვიტან იმ ზეწოლას, რომელიც გაცილებით მძიმეა, ვიდრე საფრანგეთში, მაგრამ ესპანური ფეხბურთი ნაკლებ ფარისევლურია. აქ ხალხი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს და ეს ძალიან მომწონს.

**— ეს თქვენს ხასიათს მიესადაგება?**

— „ატლეტიკში“ წესებს დიდ პატივს სცემენ, მეც ყოველნაირად ვცდილობ ამის გაკეთებას, მაგრამ ჩემი ხასიათი არ შეცვლილა. ისეთს მაფასებენ, როგორიც ვარ.

**— ხალხს თქვენ უყვარხართ.**

— როგორც გითხარით, სხვაგანაც შემიძლია მუშაობა, ვთქვათ, იტალიაში ან იაპონიაში, მაგრამ აქაურობა განსაკუთრებით მიყვარს. აქ სტადიონებს ყველასგან განსხვავებული ფერები აქვთ და სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრობენ.

**— ხომ არ თვლით, რომ ლიგაში ახლა ზედმეტი ფული ტრიალებს?**

— გამოცდილებით ვიცი, ეს ორი-სამი წელი თუ გაგრძელდება. მსგავსი რამ საფრანგეთშიც მოხდა 1986 წლის მერე. მახსოვს, მაშინ ერთ ჟურნალშიც კი მოვხვდი ჩემი ხელფასის გამო. ახლა 500-600 ათას ფრანკს თვეში ბევრი ფეხბურთელი იღებს და ეს სავსებით ლოგიკურია.

**— საფრანგეთის ფეხბურთის ამბებს თვალყურს ადევნებთ?**

— პრესას ორი-სამი დღის დაგვიანებით ვიღებ და ძალიან მართობს ზოგიერთი მატჩისწინა განცხადება, როცა უკვე ვიცი ძედეგი.

**— საფრანგეთს რომ ევროთასებზე 10 გუნდი ჰყავდა, ეს დიდ მიღწევად არ მიგაჩნიათ?**

— ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, ესპანურ, იტალიურ და ინგლისურ გუნდებს რომ მიეღოთ მონაწილეობა ინტერტოტოს გათამაშებაში.

**— პსჟ რომ კინაღამ გავარდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან?**

— ჰო, საბედნიეროდ, გადარჩა. თამაში არ მინახავს, მაგრამ სამწუხარო იქნებოდა, გუნდი ადმინისტრაციული შეცდომისთვის ასე რომ დასჯილიყო.

**— ამ ამბავზე არ გაგეცინათ?**

— არა, სხვისი უიღბლობა არასოდეს მამხიარულებს. ხომ შეიძლება, მსგავსი რამ თავადაც გადამხდეს.

**— პსჟ-ს გამოსვლამ გაგაოცათ?**

— არა. გუნდი თავდასხმისთვისაა შექმნილი. წლეულს მან დიდი თანხები დახარჯა ახალი ფეხბურთელების შეძენაზე. პარიზი მართლაც იმსახურებს დიდ გუნდს. მე ასეთი შესაძლებლობები არ მქონია, როგორიც ახლაა რიკარდოს ხელთ. თუმცა, როდესაც ჩემი ხელმძღვანელობით გუნდის მიერ მოპოვებულ ტიტულებს ვიხსენებ — თასების თასი, საფრანგეთისა და ლიგის თასი — ვფიქრობ, ეს სულაც არ იყო ცუდი მიღწევები.

**— მიმდინარე სეზონში პსჟ გახდება ჩემპიონი?**

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. მას სხვაზე გაცილებით უკეთესი შემადგენლობაცა ჰყავს.

**— მონაკო?**

— მონაკოსაც დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ მისი გამოყენება უფრო გაუჭირდება. მარსელი ჯერ კიდევ ძალებს იკრებს. მე კარლო მოლინარის „მეცითაც“ და „ბასტიითაც“ ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ პსჟ-ს მეტოქე მაინც არ ჰყავს.

**— ეს ეროვნულ ჩემპიონატში.**

— ამ შემადგენლობით ევროპულ სარბიელზეც შეიძლება წარმატებებზე ფიქრი. ყოველთვის მოიძებნება გუნდი, რომელიც აღმოჩენა ხდება-ხოლმე. რატომ არ უნდა იყოს ეს პსჟ?

**— პსჟ-ს თქვენს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს?**

— პარიზსა და ჩემს შორის ნამდვილი სიყვარულია. თუ დავბრუნდები? რატომაც არა. ზოგიერთ ფეხბურთელთან მუშაობა ძალიან სასიამოვნო იყო. კარგ სეზონს ვუსურვებ ალენ როშს, ასევე ბერნარ ლამას. ისინი საჭირონი არიან საფრანგეთის ნაკრებისთვის.

**— სიტყვამ მოიტანა და, თქვენი აზრით, ვინ მოიგებს მსოფლიოს ჩემპიონატს?**

— ჩემი ფავორიტი საფრანგეთია.

**— ეს სუბიექტური აზრია, თუ ობიექტური?**

— ჩემი პროგნოზი სერიოზულია. ფავორიტად ყველას ბრაზილია მიაჩნია, ჩემი აზრით, ისინი ფინალშიც ვერ გავლენ. ამ წუთისთვის შთამბეჭდავად გამოიყურებიან, მაგრამ დიდ უპირატესობებთან ერთად ნაკლიც ბევრი აქვთ.

**— ჩემპიონატზე ბრაზილიის გარდა სხვა გუნდებიც იქნება...**

— მაგრამ ჩემპიონი საფრანგეთი გახდება. უბრალოდ, საჭიროა, ჟაკეს მუშაობა, ჩემპიონატისთვის წესიერად მომზადება აცალონ. მას აკრიტიკებენ, რომ გუნდი სანახაობრივ ფეხბურთს არ თამაშობს, მაგრამ ნაკრებისთვის ეს არც არის მთავარი. მთავარი კარგი შედეგებია. ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, კარგია, რომ პრესა და გულშემატკივრები ასე შოვინისტურად იქცევიან.

**— რატომ ხართ დარწმუნებული რომ „ლურჯები“ ჩემპიონები გახდებიან?**

— ძლიერი ნაკრებია. ჩვენ გვყავს შესანიშნავი დაცვა. მაგალითად, ტურამი ბრწყინვალე მოთამაშედ მიმაჩნია. გვყავს შესანიშნავი ნახევარდაცვა დიდი ლიდერით — ზინადინ ზიდანმა „იუვეში“ ძალიან მოუმატა და ახლა ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში მოედანზე ყველაფრის გაკეთება ძალუძს. თუ ბასაც ასეთივე პროგრესი ექნება, „მილანში“, ისიც დიდი ფეხბურთელი დადგება. ნუ დაივიწყებთ პირესსაც, რომელიც ძალიან მომწონს.

**— საფრანგეთს გოლები რომ არ გააქვს?**

— ეს დროც დადგება. საჭიროა, ვენდოთ მორისს, დუგარის, განსაკუთრებით ემეს. მათ პატივი უნდა ვცეთ და დავიცვათ უაზრო კრიტიკისგან. პირადად მე მათ სრულებით ვენდობი.

**— ფიქრობთ, უკვე სრულყოფილად შეისწავლეთ მწვრთნელის ხელობა.**

— არა, ორი-სამი წელი მაინც მჭირდება იმ დონის მისაღწევად, რომ აღარავის და აღარაფრის მეშინოდეს. ჯერ ახალგაზრდა ვარ და ფეხბურთიც საკმაოდ რთული მეცნიერებაა. უახლოესი ორი წელი კი ეს განსწავლა აქ, ბილბაოში მინდა გავაგრძელო.

**— მერე რის გაკეთებას აპირებთ?**

— ჯერჯერობით არანაირ გეგმებს არ ვაწყობ. ისე, მინდა, რომ ოდესმე ჩემი საკუთარი გუნდი მყავდეს, რომლის გაწვრთნაში თავისუფალი ვიქნები.

**— და ეს პარიზში?..**

— დიახ, ახალ სტადიონს ხომ პატრონი სჭირდება. ორ-სამ წელიწადში ალბათ, მზად ვიქნები, რომ ენერგიულ მოქმედებას შევუდგე. მინდა, დიდი გუნდი შევქმნა, როგორც ეს გი რუმ მოახერხა. ოდესმე მეც დიდი შეფი გავხდები.

FRANCE FOOTBALL

## აბდულ ჰამიდ მეორის საბედისწერო შეცდომა

სტამბოლს უწოდებენ მსოფლიოს ერთადერთ ქალაქს, რომელიც ორ კონტინენტზეა „გაშენებული.“ ბოსფორის სრუტით ორად გაყოფილი 11 მილიონიანი გიგანტი გალმა ნაწილით ევროპაშია, გამოღმით კი აზიაში. კიდევ, სტამბოლს უწოდებენ ქალაქს, რომელშიც საფეხბურთო ვნება მარად დუღილის პირასაა. უკიდურესი სამხრეთ გარეუბნიდან უკიდურეს ჩრდილო გარეუბნამდე იქ ყველა ფეხბურთზე ლაპარაკობს. ფეხბურთზე საუბარი თუ კამათი ერთნაირადაა მიღებული როგორც ქუჩაში, ისე არისტოკრატთა ფენაში.

სტამბოლში ყველაფერი თეთრად და შავადაა დაყოფილი, შუა ფერები არ არსებობს. გამარჯვებულები ცამდე აჰყავთ, დამარცხებულებს კი წყევლიან. ასე იყო ოდითგან, 1890-იანი წლების ბოლოდან, როდესაც ინგლისელებმა ჯეიმს ლეფონტენმა და ძმებმა რობინსონებმა თურქეთი მრგვალი ბურთის საოცრებას აზიარეს. მას მერე ყველაფერი აღწერილი და ჩანიშნულია.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20-ის დასაწყისში თურქეთში სულთანი აბდულ ჰამიდ მეორე მეფობდა. თურმე იგი სერნობისას სულ იმას ჩიოდა, ჩემს სამეფოს უცხოელთა გავლენა მოსძალებია, ზედაც ეს რაღაც ფუტბოლი დართვია და ის დროა, რაიმე ვიღონოო. იფიქრა სულთანმა და თურქთა შორის ფეხბურთის აკრძალვა ბრძანა, მაგრამ ერთი უარი ველარ თქვა — სანდო გენერალს, ოსმან ფაშას ნება მისცა, ქალაქის იმ ნაწილში, ბეშიქთაში რომ ჰქვია, ერთი კლუბი დაეარსებინა. ეს ამბავი 94 წლის წინ იყო. მას მერე ბოსფორის სრუტეში ბევრმა წყალმა და გემმა ჩაიარა, სულთანთან დაახლოებული გენერლის დაარსებული ბეშიქთაშის საფეხბურთო კლუბი კი სტამბოლელი მუშების სიყვარულის საგნად გადაიქცა. ვისაც არ სჯერა, „ინონუს“ სტადიონზე მივიდეს. 50 წელიწადია, „ბეშიქთაში“ იქ თამაშობს.

„გალათასარაი“ 1905 წელს დააარსეს. იყო მაშინდელ სტამბოლში გალათასარაის ლიცეუმი, ელჩებსა და პოლიტიკოს-დიპლომატებს ზრდიდა. იმ ლიცეუმში ფრანგები სწავლობდნენ და სწორედ მათ ჩაუყარეს მაღალი წრის წარმომადგენელთა საყვარელ გუნდს საფუძველი. „გალათასარაი“ „ბეშიქთაშის“ მეზობელია. დღეს რომ კლუბის სტადიონია და მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, ალი შამი იენის სახელს ატარებს, 1945 წელს აშენდა.

ეს, რაც შეეხებოდა ბოსფორის გაღმა, ევროპულ ნაწილს, ქვემოთ კი „ფენერბაჰჩე“ ბუდობს. ეს ფენერბაჰჩე სინათლის ბაღჩას ნიშნავს და 1907 წელს დაფუძნებული კლუბია. ამ საქმეშიც ფრანგების ხელი ურევია, წმინდა ჟოზეფის კოლეჯის სტუდენტთა ხელი. კიდევ „ფენერბაჰჩე“ საშუალო კლასის, ბიზნესმენ-მიზნესმენთა გუნდია, თუმცა მის ისტორიაში უდიდესი ქომაგი ბუმბერაზი პიროვნება, თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი ქემალ ათათურქი გახლავთ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც სტამბოლი ანტანტის ჯარებმა დაიპყრეს და მაშინ ათათურქის ჯარები კონტრაბანდულ იარაღს „ფენერბაჰჩეს“ სტადიონზე აგროვებდნენ. დღეს ამბიციური გუნდის პრეზიდენტი ალი შენი 80 ათასიანი სტადიონის აგებაზე ფიქრობს.

ესეც თურქული ფეხბურთის დიდი სამეული. მასთან ვერავინ მივა, მათ შორის კი მაინც „ბეშიქთაში“ ბეშიქთაშობს, რადგან ის სხვა ქალაქებშიც უყვართ, უყვართ სოფლადაც.

სტამბოლის გუნდებია „ისთანბულსფორი“, „სარიერი“ და „ზეითინბურნუც“. მათ არც ფული აქვთ იმდენი, რომ დიდ სამეულს გაეჯიბრონ, არც ლონე და თუ არ ვცდებით, არც სურვილი. ისინი ზედა ლიგიდან ქვედაში ჩადიან და მერე უკან ბრუნდებიან. „ისთანბულსფორსა“ და „სარიერს“ ასე, რვაცხრა ათასიანი სტადიონები აქვთ, „ზეითინბურნუს“ უფრო პატარა.

აი, კარგი მაგალითი: „ისთანბულსფორის“ პრეზიდენტი, საგამომცემლო საქმიანობის, ფინანსთა და საკუთრების მაგნატი ჩემ უზანი „გალათასარაის“ თავდადებული გულშემატკივარია. სტამბოლს სხვა გუნდებიც ჰყავს.

# ცბიერი აზია 5
# ტლუ ევროპა 3

ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელიწადს გამართული ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატები თავისებურნი არიან. აქ ძიუდოისტთა რამდენიმე თაობა იყრის ხოლმე თავს: სპორტში შემორჩენილები, ლიდერები და ახალგამოჩეკილები. სწორედ ამგვარ ჩემპიონატზე ხდება ერთგვარი გადარჩევა მომდევნო ოლიმპიადისთვის. ბევრი ვეტერანი ხვდება, რომ დროა, კიმანო გარდერობში შეინახოს, ახალგაზრდა კი იგებს, რომ მისი სისხლის დუღილი ჯერ ნაადრევია და მაღალ შედეგებთან შეთამაშებამდე ბევრი შრომა და ოფლისღვრა მოუწევს.

თუმცა, ოლიმპიადის მომდევნო წლის მსოფლიოებზე უეცრად რამდენიმე ახალი სახელი მაინც ჩნდება ხოლმე. პარიზში ასეთი რამ არ მომხდარა. მსოფლიო ძიუდოს ლიდერები იგივენი დარჩნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი სიდნეის ტატამზე გასასვლელადაც მოემზადებიან და მინიმუმ სამი წლით მაინც შემორჩებიან ძიუდოს. ამან თავისთავად მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიოს ძიუდო „დაბერდა“. დაბერებაში იმას ვგულისხმობთ, რომ თუკი ადრე მოჭიდავეები ადრეულ ასაკში ანებებდნენ თავს ტატამს, ახლა ცდილობენ დიდხანს იასპარეზონ და რაც შეიძლება მაქსიმალურად ამოწურონ თავიანთი შესაძლებლობები. ამგვარად, მსოფლიო სპორტის ბოლოდროინდელ ტენდენციას (გავიხსენოთ თუნდაც მძლეოსნობის „დაბერება“) ვერც ძიუდომ აუარა გვერდი.

ახლა კი ცოტა სტატისტიკას დავესესხოთ და ერთგვარი შედარებებიც გავაკეთოთ. თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ საუბარი ძირითადად კაცთა ტურნირზე გვექნება, რადგან ჩვენთვის იგია მთავარი. თუმცა, იმასაც დავძენთ, რომ ქალთა ძიუდო ძალიან განვითარდა. ქალთა მიერ შესრულებული ზოგიერთი ფანდი კაცებისას აღემატება, გნებვთ, სისწრაფით, ან გნებავთ, სირთულითაც.

პარიზში ატლანტის შვიდივე ჩემპიონმა იასპარეზა (სულ კი 8 ოლიმპიური ჩემპიონი იყო). იჭიდავა აგრეთვე მსოფლიოს 1995 წლის ექვსმა ჩემპიონმა. ამას დავუმატოთ ატლანტის 16 პრიზიორი და ევროპის წლევანდელი 8 ჩემპიონი. წინა წლების მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორების დასახელებისას კი შეიძლება სათვალავიც აგვერიოს. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 95-მა ქვეყანამ. კაცთა ტურნირში 345 მონაწილე იყო, ქალთაში — 240.

ატლანტის შვიდი ჩემპიონიდან ხუთმა პარიზშიც შეიძლო პირველობა (დუიე, ნასტულა, იონ კი იუნი, კენძო ნაკამურა, ნომურა). ერთი ჩემპიონი ოლიმპიადის მესამე პრიზიორი იყო, ჩვენი სოსო ლიპარტელიანის ატლანტაში მძლეველი კორეელი ჩო ინ ჩული. ერთიც — 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონი პოლონელი კუბაცკი. მხოლოდ 65 კგ-ში გამოჩნდა ახალი სახელი — კორეელი კიმ ჰიუკი. ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მსოფლიოს ძიუდოს ლიდერები იგივენი დარჩნენ. წინა მსოფლიოს სამმა გამარჯვებულმა ახლაც შეინარჩუნა ტიტული (დუიე, ნასტულა, იონ კი იუნი), ხოლო სამეულებს თუ გადავხედავთ, თითო-ოროლა ახალი გვარი თუ შეგვხვდება.

წონითი კატეგორიების უმრავლესობაში თითქმის ყველამ წინასწარ იცოდა, ვინ გახდებოდა ჩემპიონი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ფავორიტები აშკარად მაღლა იდგნენ დანარჩენებზე. თითქმის უსიტყვოდ იმარჯვეს ნომურამ და კენძო ნაკამურამ. ცალკე საუბრის თემაა კორეელი იონ კი იუნი. ეს კორეელი მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ფანდების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ რასაც აკეთებს, ლაზათიანად აკეთებს. როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, მისი ჭიდაობის სტილი ადვილად გასაშიფრია, საწინააღმდეგო ხერხებსაც უგონებენ, მაგრამ მაინც არაფერი ჭრის. განა სწორედ ამაში არ არის დიდი ოსტატობა, როცა თითქოს ყველამ იცის, როგორ უნდა მოუგერიოს, მაგრამ მაინც ვერავინ ვერაფერს გაკლებს?!

თუნდაც პაველ ნასტულა ავიღოთ. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მას ჩახტომილი კისრულის გარდა არაფერი გაუკეთებია. მაგრამ ვისთანაც კი გაუვიდოდა ეს ფანდი, იმას იპონი გარანტირებული ჰქონდა. ნასტულა ბევრს გულზე არ ეხატება თავისი სტილის გამო. იგი ის ძიუდოისტია, რომელსაც შეუძლია კიმანო და ქამარი სამი წუთის მანძილზე ისწოროს ისე, რომ მსაჯი დროის გაყვანაზე ვერ მიედავება. მას შეუძლია ჩოქბჯენში ერთი წუთი ჰყავდეს მეტოქე, აჩვენოს, რომ უტევს, სინამდვილეში კი დრო გაყავდეს და ისვენებდეს. ესეც ოსტატობაა. სადაც ღონით ბოლომდე არ შეგიძლია, იქ ხერხი უნდა გამოიყენო. ნასტულა ამას იდეალურად აკეთებს. ყოველ შემთხვევაში,. ფაქტი სახეზეა — რაც კი დედამიწაზე არსებობს, ყველა ტიტული მოგებული აქვს და ოთხი წელიწადია, არ წაუგია.

დავიდ დუიეს მასპინძლის კვალობაზე კი წაეხმარნენ და, პრაქტიკულად, ჩემპიონობა აჩუქეს, მაგრამ დღეს იგი რომ მძიმე წონის ლიდერია, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. მისი გამარჯვება უსახური იყო, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ზუსტად ერთი წლის წინ დუიე ისეთ ავტოავარიაში მოჰყვა, სიკვდილს ძლივს გადაურჩა და მერე მთასავით კაცი თითქმის ახლიდან ააწყვეს.


პაველ ნასტულა



იონ კი იუნი


დავიდ დუიე

თავის ძალებში ბოლომდე დარწმუნებული რომ არ იყო, ეს მაშინაც გამოჩნდა, როცა აბსოლუტურ კატეგორიაში არ იჭიდავა. არადა, წინათ, როცა დუიე მართლაც დუიე იყო, ყველა ჩემპიონატზე ორივე წონაში ასპარეზობდა. ახლა, შინ კი რაღა ღმერთი გაუწყრა?

ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის შემდეგ ძიუდოს ექსპერტებმა გამოთქვეს ვარაუდი (მაშინ ის ვარაუდი „სარბიელშიც“ გამოქვეყნდა), რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ევროპელებს მეტად გაუჭირდებათ ზედმეტად შემტევი სტილის ერთგულების გამო. ასე აგიხდეთ ყველაფერი. ევროპელთა გადამეტებული, ზოგჯერ უგონობის სადარ ბრმა შეტევას (ამის კარგი მაგალითია ფრანგი ჯამელ ბურა) აზიელთა პრაგმატულობამ, ცივსისხლიანობამ და ჩასაფრების, მეტოქის შეცდომაზე გამოჭერის ტაქტიკამ აჯობა. აზიელებს ხუთი ჩემპიონი გაუხდათ, ევროპელებს — სამი (იხილეთ ცხრილი). ამასთანავე, ხუთივე აზიელმა ფინალი იპონით მოიგო — ძირითადად თავდავიწყებით შემტევი ევროპელი მეტოქეების გაუფრთხილებლობის გამო. ამრიგად, აზიამ ატლანტის ოლიმპიადაზე განცდილი მარცხისთვის (ჩემპიონების მიხედვით 4:3 ევროპის სასარგებლოდ) სრულფასოვანი რევანში აიღო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძიუდოში ჯერ ტვინია მთავარი, მერე კი — დანარჩენი.

პან სონი, შინიჩი შინოჰარა, პატრიკ რაიტერი, გიორგი ვაზაგაშვილი, აბდელ მეროჯა, ულა ვერბრუკი... თითქოს რა საერთო აქვთ ამათ? ის, რომ შეჯიბრება საფრანგეთში რომ არ ყოფილიყო, უფრო კარგ შედეგებს მიაღწევდნენ. ამ უიღბლოთ რაღაც ეტაპზე ფრანგებთან მოუწიათ შეხვედრები. ცხადია, ჩვენ ყველაზე მეტად ჩვენებურისა გვტკივა, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ამ ხალხში გიორგი კიდევ ყველაზე ნაკლებად დაჩაგრე. შინოჰარამ, რაიტერმა და ვერბრუკმა თავი საგიჟეთში როგორ არ ამოყვეს, ჩემთვის დღემდე გაუგებარია. კაცმა რომ თქვას, მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა ჩვეულებრივ რამ გახლავთ, ამაში გასაოცარი არაფერია, მაგრამ ფრანგების შემთხვევაში ეს განსაკუთრებით გამოჩნდა. ამ ქვეყანას ისედაც უსაზღვრო გავლენა აქვს ძიუდოში, ხოლო შინ გამართულ შეჯიბრებაში ამას განსაკუთრებით გაესვა ხაზი. მსაჯებმაც შესანიშნავად იციან, რომ ფრანგებთან (თან, მასპინძლებთან) საქმის გაფუჭება არავის გამო არ ღირს, ჰოდა, ჭრიდნენ და კრავდნენ თავის გემოზე. არბიტრები, ძირითადა, მაღალი დონისანი იყვნენ.ასეთმა ხალხმა უფრო იცის, როდის და რა დროს უნდა მიიღოს სასურველი გადაწყვეტილება. უმეტეს შემთხვევაში ეს ისე ხდება, რომ სპეციალისტის გარდა ვერავინ ამჩნევს, მაგრამ „შეხვედრის გაფუჭებისთვის“ და ძიუდოისტის მორალური წახდენისთვის ეს სრულიად საკმარისია. მსაჯებს აქვთ ერთი გამოთქმა: „წესიერად მსაჯობა არაა აუცილებელი, მთავარია — წესების მიხედვით იმსაჯო“. თითქოს ხუმრობ, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. შედავება ძალზე ძნელია — ძიუდოს წესებისა და შეფასებების ერთობ მოუქნელი სისტემა არბიტრს დიდ გასაქანს აძლევს თავისუფლად სამოქმედოდ.

და სადა ვართ ამ დროს ქართველები? ჩავხედოთ ცხრილს და ყველაფერს კარგად მივხვდებით. გულშემატკივარი ძიუდოისტებისგან ყველაზე მეტს ითხოვს და სამართლიანადაც. არავის აინტერესებს, ვის, სად და რატომ წააგებინეს, ან ვინ და რატომ ვერ იჭიდავა. გულშემატკივარს უნდა მაქსიმუმი, ესე იგი, ჩემპიონი. გვერწმუნეთ, ნაკლები არც ჩვენ გვსურს, მაგრამ რეალობასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. არგუმენტების მოყვანა მრავლად შემიძლია, მაგრამ თანამდებობიდან გამომდინარე, ვინმემ შეიძლება ეს თავის მართლებაში ჩამომართვას. მხოლოდ ერთ კითხვას გავცემ პასუხს: საბჭოთა კავშირის დროს იმდენი ჩემპიონები გვყავდა და ახლა რაღა მოგვივიდაო? მართალია, ოღონდ იმ დროს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება ექვს ეტაპად მიმდინარეობდა, ახლა კი — ორ ეტაპად. თუ რატომ არის ახლა ასე, ვგონებ, დიდი ფიქრი არ სჭირდება: საკმარისია, ღამის თორმეტ საათზე ლამის მთლიანად ჩაბნელებულ თბილისში თითქმის უფულოდ მოარულ მოსახლეობას გადავხედოთ და ყველაფერი ნათელი გახდება. ასეთ სიტუაციაში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროზე პრეტენზიის გამოცხადება ძალზე ძნელია (ვგულისხმობ ნაღდ ჩემპიონატებს, სადაც მართლა მთელი მსოფლიო ჩამოდის და არა 20-გუნდიან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ანალოგიურ მსოფლიოს ჩემპიონატებს), თუმცა ჩვენი ძიუდოისტების დიდი ნიჭისა და მწვრთნელთა არაადამიანური შრომის წყალობით ჩვენს სათქმელს მაინც ვამბობთ.

მსოფლიოს ჩემპიონატი „პალე ომნისპორტ ბერსის“ დარბაზში მიმდინარეობდა. ეს გრანდიოზული სასახლე თანამედროვე არქიტექტურული სტილითაა ნაგები და ერთობ მდიდრულ შთაბეჭდილებასაც სტოვებს. დარბაზში 15 ათასი მაყურებელი ეტევა. ჩასვლისთანავე რომ გვითხრეს, ბილეთები სულ გაყიდულიაო, არ დავიჯერეთ. შეჯიბრება დაიწყო თუ არა, ჩვენი შეცდომა ვაღიარეთ. საღამოს პროგრამაზე, ანუ ნახევარფინალებსა და ფინალებზე, ცარიელ ადგილებს მხოლოდ მონაწილეთა სექტორში თუ აღმოაჩენდით. იქაური მაყურებელიც საკმაოდ გარკვეულია ძიუდოს ნიუანსებში, ნებისმიერ მოქმედებასა თუ შეფასებას ტრიბუნაზე სათანადოდ აღიქვამენ (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფრანგ მოჭიდავეებს ეხმარებოდნენ ხოლმე). რა გასაკვირია. როგორც იქაურებმა გვითხრეს, ბავშვებს არა მარტო სკოლაში, არამედ საბავშვო ბაღებშიც უტარდებათ ძიუდოს გაკვეთილები.

ჩემპიონატის ორგანიზაციას კი მთლად სანიმუშო ვერ ეთქმოდა. საქართველოს დელეგაციამ ვადაზე ადრე დაიჭირა თადარიგი და იმ სასტუმროში დაიჯავშნა ადგილები, სადაც ოფიციალური აწონვები და საორგანიზაციო კომიტეტი იყო მოთავსებული. დარბაზიც ხელის გაწვდენაზე იყო — სასტუმროს ეზოს გადაივლიდი თუ არა, პირდაპირ „ომნისპორტის“ ჰოლში იყავი. ზოგიერთი გუნდი კი საკმაოდ მოშორებით, მანქანით 10-15 წუთის სავალზე ცხოვრობდა. მათ დღეში სამჯერ-ოთხჯერ უხდებოდათ თავიანთი სასტუმროდან დარბაზში მიმოსვლა. ორგანიზატორები კი ავტობუსებს ორჯერ ნიშნავდნენ: დილით — აწონვისთვის და საღამოს — შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. ამიტომ სხვებს საქალაქო ავტობუსით უწევდათ მგზავრობა და ამაში ფულს იხდიდნენ. იყო შემთხვევები, როცა დოპინგ-კონტროლზე გასულ ძიუდოისტებს ავტობუსმა გაასწროთ. ასე დაემართა კორეელებს იონ კი იუნსა და ჩო ინ ჩულს. ეს ბიჭები ერთ დღეს გახდნენ ჩემპიონები, დოპინგ-კონტროლიც ერთად გაიარეს და გარეთ გამოსულებს არც ავტობუსი დახვდათ და ვერც ტაქსი გააჩერეს. რაღა უნდა ექნათ, ჩამოიკიდეს ოქროს მედლები, ხელი ხელს გადახვიეს და მთელი დღის ნაბრძოლ-ნაჩეჩქვებმა ფეხით გაუტიეს ხუთი კილომეტრით დაშორებულ სასტუმროსკენ.

სასტუმროების დონეც ვერ იყო კარგი. ყოველ შემთხვევაში, იმ ფასთან შედარებით, რასაც საორგანიზაციო კომიტეტი მონაწილეებს ახდევინებდა. საზოგადოდ, ორგკომიტეტი რამდენიმე ხნით ადრე უხდის ფულს სასტუმროს და ნომრები თავის გამგებლობაში გადააქვს. შემდეგ კი თავად აქირავებს ოთახებს მონაწილეებზე. წესით, სხვაობა ნორმალურია და ორგკომიტეტის ფასს შორის დიდი არ არის ხოლმე, აქ კი სამმაგი გამოდიოდა. თანაც, ლაპარაკი იყო ტურისტული კლასის ორვარსკვლავიან სასტუმროებზე. ამან არა მარტო ჩვენსავით ჯიბეგაფხეკილი, არამედ შეძლებული დელეგაციებიც კი განაცვიფრა. ორგკომიტეტს პასუხი ყველა შემთხვევაში ერთნაირი იყო: არ გნებავთ აქ, წაბრძანდით და რომელი სასტუმროც მოგეწონოთ, იქ დაიდეთ ბინაო. ეს არ გამოდიოდა, რადგან ჩემპიონატისთვის საჭირო ყველა შენობა ერთ უბანში (ბერსიში) იყო მოქცეული, ხოლო სხვაგან გადასვლა ტრანსპორტირების ხარჯების ზრდასა და მგზავრობაში დროის დაკარგვას გამოიწვევდა.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ ქართული პრესის, კერძოდ, გაზეთების „დრონისა“ და „საქართველოს სპორტის“ წარმომადგენლები. მათი თქმით, შეჯიბრების პრესცენტრი ერთობ გამართულად და ოპერატიულად მუშაობდა, ხოლო დარბაზის ყველაზე კარგ ადგილას განლაგებული პრეს-ლოჟა ყოველგვარი აუცილებელი ტექნიკით იყო აღჭურვილი. ეს, ცოტა არ იყოს, გასაკვირიცაა, რადგან ძიუდოს შეჯიბრებების ორგანიზატორები მედიას აქამდე არ სწყალობდნენ. ახლა კი სიტუაცია სასიკეთოდ შეცვლილა. იქნებ არაერთმა ჩვენებურმაც იფიქროს ამაზე და პრესას ნორმალური სამუშაო პირობები შეუქმნან.

ძიუდოს მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატი 1999 წელს გაიმართება ინგლისის ქალაქ ბირმინგემში. ამ ჩემპიონატზე სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიები დარიგდება, რაც მეტად მძიმე ბრძოლებს გვპირდება. იქამდე ზუსტად ორი წელიწადია, მაგრამ ბირმინგემ 99-ის ორგკომიტეტის თავმჯდომარე ჯორჯ კერი (თბილისში ნამყოფი ევროპის ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ტურნირისთვის „ა“ კატეგორიის მინიჭებაში) უკვე ულვაშებში იცინის და ამბობს, მსოფლიოს ჩემპიონატის მოწყობა როგორ უნდა, დაგანახებთ, ამისთანა შეცდომებს კი არ დავუშვებო...

**მერაბ რატიშვილი**
საქართველოს ძიუდოს ფედერაციის
გენერალური მდივანი
საგანგებოდ „სარბიელისთვის“
*პარიზი-თბილისი*

**გუნდური შედეგები**

**კაცები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | კორეა | 3 | - | - |
| 2. | იაპონია | 2 | 2 | 1 |
| 3. | პოლონეთი | 2 | - | - |
| 4. | საფრანგეთი | 1 | 3 | 1 |
| 5-6. | საქართველო | - | 1 | 1 |
| 5-6. | ბრაზილია | - | 1 | 1 |
| 7. | გერმანია | - | 1 | - |
| 8. | ბელგია | - | - | 2 |
| 9-18. | ავსტრია | - | - | 1 |
| 9-18. | აშშ | - | - | 1 |
| 9-18. | იტალია | - | - | 1 |
| 9-18. | ლატვია | - | - | 1 |
| 9-18. | მოლდოვა | - | - | 1 |
| 9-18. | პორტუგალია | - | - | 1 |
| 9-18. | რუსეთი | - | - | 1 |
| 9-18. | ჩინეთი | - | - | 1 |
| 9-18. | ჩრდ. კორეა | - | - | 1 |
| 9-18. | ჰოლანდია | - | - | 1 |

სამბო

# ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

## ჩემპიონატი ხელმეორედ ვეღარ ჩატარდება

გუშინ საქართველოს სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ კუხიანიძემ და სამბისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ პრესკონფერენცია გამართეს. ამ შეკრებას, როგორც ითქვა, საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ექვთიმიშვილი. თბილისში ახლახან დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებსა და ორგანიზაციულ საკითხებზე მოკლედ ისაუბრა ალბერტ კუხიანიძემ. ორგანიზატორთა მიერ ჩემპიონატის საერთო დონე დამაკმაყოფილებლად შეფასდა, თუმცა, სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, ჩემპიონატის ხელმეორედ ჩატარება რომ მომიხდეს, სხვაგვარად ჩავატარებდიო. გამოითქვა უკმაყოფილება მსოფლიოს ჩემპიონატის გაუბრალოების მცდელობის გამო, მთავარი მიზეზი კი მსოფლიოს ჩემპიონთათვის განკუთვნილ საპრიზო ფონდთან დაკავშირებული გაუგებრობები ყოფილა. როგორც შევიტყვეთ, ჩვენი ჩემპიონები უფრო სოლიდურ პრიზებს ელოდნენ. ოლეგ იაძემ აღნიშნა, ის თანხა, რომელიც სპორტის დეპარტამენტმა გამოყო ჩვენი ჩემპიონებისთვის, საკმარისი არ არისო.

იქვე წამოიჭრა საქართველოს სამბისტთა ნაკრების წევრის, 62 კილოში მსოფლიოს ჩემპიონის მამუკა კურდღელაშვილის თემაც. თავად კურდღელაშვილმა პრესას, კერძოდ, „სარბიელს“ თბილისში გამართული ჩემპიონატის ზოგიერთი მოვლენის არაობიექტური შეფასება დააბრალა. ჩემპიონს მიაჩნია, რომ 62 კილოშივე მსაჯთა მიერ მის მძლეველად აღიარებული აზერბაიჯანელი ნათიქ ბაგიროვი მასთან დამარცხდა ფინალური ორთაბრძოლისას და ჩემპიონატის ნაღდი გამარჯვებული მისი მეტოქე კი არა, თავად ისაა. ქომაგებს ეხსომებათ, რომ 52 კილოშიც ამგვარი რამ მოხდა — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორი ჩემპიონი ავიდა: აზერბაიჯანელი ჯეიჰუნ მამედოვი და სომეხი ერვანდ გრიგორიანი. ამიტომ საქართველოს სამბოს ფედერაციას მიუმართავს საერთაშორისო ფედერაციისთვის, რათა მან განიხილოს ეს საკითხები და ამ ორ წონაში ღირსეულ მიაკუთვნოს ჩემპიონობა, რაკი ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხერხდა. თუმცა, ვფიქრობ, ჩვენი ფედერაციის ამგვარი თხოვნა პრინციპული საქციელი კია, მაგრამ აუცილებელი არ იყო: 9 წონაში 11 ჩემპიონის ხილვით აღშფოთებული ფიას-ის თავკაცები ისედაც აპირებდნენ თბილისური შედეგების (52 და 62 კილოგრამ წონებში) გადახედვა-გადასინჯვას.

ალბერტ კუხიანიძემ პრესკონფერენციის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ჩემპიონატს ხარვეზები და ნაკლოვანებები ახლდა. „სარბიელსაც“ სხვა, უარესი არაფერი დაუწერია, ჩვენც სწორედ ჩემპიონატის ნაკლოვანებებზე დაგვწყდა გული, რომელთა დამალვის უფლება არც გვქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ჩემპიონატის თვითმხილველ სპორტის ქომაგთათვის თვალში ნაცრის შეყრა იქნებოდა. აბა, რა აზრი ჰქონდა იმის მიჩქმალვას, რაც საზოგადოებამ უჩვენოდაც კარგად იცოდა და რასაც ფაქტად აღიარებდა?

ქართველ სამბისტებს კი ღმერთმა ხელი მოუმართოს, ნაკლი და შეცდომა აშოროს, ხეირიანი საქმეები აკეთებინოს. ჩვენც გვერდით დავუდგებით და რითაც შეგვეძლება, დავეხმარებით.

**ხათუნა პაიჭაძე**

**იყიდება ან ქირავდება**
**პრივატიზებული მაღაზიის ფართი — 200 კვ. მეტრამდე**
**გურამიშვილის გამზირზე**
☎ 22-53-12

# ნონას თასი მსოფლიოსთვის

„ივერთბანკის“ საგამოფენო დარბაზში შედგა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის მსოფლიო თასის პრეზენტაცია.

საჭადრაკო ოლიმპიადებზე უკვე დიდი ხანია, ორი სახელობითი თასი თამაშდება — მენჩიკისა — ქალთა ტურნირში გამარჯვებულთათვის და რასელისა — მამაკაცებში საუკეთესოთათვის. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ვაჟა შუბლაძეს ორი წლის წინ გაუჩნდა იდეა — დაწესებულიყო ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი ვაჟთა და ქალთა გუნდების ერთობლივად საუკეთესო შედეგის მქონე ქვეყნის ნაკრებისთვის. იდეა მშვენიერი იყო, მაგრამ მის ხორცშესხმას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. ბატონმა ვაჟამ ბოლომდე მიიყვანა საქმე და კიშინიოვში გამართულ საჭადრაკო კონგრესზე ფიდემ ოფიციალურად სცნო ნონა გაფრინდაშვილის თასი.

**— ჰყავდა თუ არა თქვენს წინადადებას მოწინააღმდეგენი?— ვკითხეთ საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტს.**

— რა თქმა უნდა, ჰყავდა. ნონა გაფრინდაშვილის შესახებ ყველას ერთი აზრი ჰქონდა, ერთხმად აღიარებდნენ, რომ იგი უდიდესი მოჭადრაკე და ღირსეული პიროვნებაა, მაგრამ საწინააღმდეგო არგუმენტები ამ მოვლენის სხვა მხარეს ეხებოდა. ფედერაციაში ზოგნი ფიქრობდნენ და ამ აზრს ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი ბრაზილიელი დიდოსტატი სუნიე ნეტო იზიარებდა, რომ სხვა თასები გარდაცვლილი პიროვნებებისაა და ცოცხალი ადამიანის სახელობის პრიზი უხერხული იქნებოდა.

მეორე ფრთას, რომლის ყველაზე აქტიური წარმომადგენლებიც რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია იყო, მიაჩნდა, რომ ახალი თასი დანარჩენ ორს აკნინებს: „ჩვენ მამაკაცთა ოლიმპიადაზე თითქმის მუდმივად ვიმარჯვებთ. ჩასვლისას რუსეთის პრეზიდენტთან შევდივართ და თავი მოგვაქვს, რასელის თასი მოვიპოვეთო, ახლა კი ნონა გაფრინდაშვილის თასმა მნიშვნელობით ამ ორივეს გადააჭარბა და ჩვენ ვაჟთა წარმატებაც ისეთი ღირებული აღარ იქნება.“ იყო სხვა არგუმენტებიც.

**— რამ გადააწყვეტინათ თასის ოფიციალური დამტკიცება?**

— კონგრესი იმ დროს ტარდებოდა, როდესაც პრინცესა დაიანა დაიღუპა. ამან კონგრესის მონაწილეებზე დიდად იმოქმედა. ყველა კიდევ ერთხელ დააფიქრა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულმა თემამ. გამოსვლამ ემოციებით აღსავსე დარბაზის წინაშე მომიწია. მე ვთქვი: ნონა გაფრინდაშვილი 11-ჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ხუთჯერ მსოფლიო ჩემპიონი, ვაჟთა შორის პირველი დიდოსტატი ქალი, 16 წლის განმავლობაში მსოფლიოს სწორუპოვარი ჩემპიონი, გარდა ამისა, ყველა ადამიანური თვისებით შემკული. ჰოდა, ცოცხალმა ადამიანმა ამაზე მეტი რაღა უნდა გააკეთოს, უნდა ველოდოთ, როდის აღარ იქნება-მეთქი?

ამ გამოსვლამ შთამბეჭდავად იმოქმედა კონგრესის მონაწილეებზე და თასიც ოფიციალურად დაამტკიცეს.

თასი, რომელიც მოქანდაკე ირაკლი მეგრელიშვილმა შექმნა, მართლაც ღირსეული ნახელავია. იგი 3 კგ-სა და 90 გრამს იწონის. ვერცხლისაა, ოქროთია მოხატული ნონა გაფრინდაშვილის პორტრეტი და დედოფლის გვირგვინი.

**— ირაკლი, როგორ აგირჩიეს ავტორად?**

— კონკურსი გაიმართა. სამნი ვმონაწილეობდით — გრაფიკოსი, ოქრომჭედელი და მე. საბოლოოდ ჩემი ნამუშევარი სცნეს საუკეთესოდ.

**— ჭადრაკთან რამე გაკავშირებთ?**

— მოყვარული მოჭადრაკე ვარ და ძალიან მაინტერესებს ამ თამაშის ისტორიაც და დღევანდელი დღეც.

დაბოლოს, აზრს თავად ნონა გაფრინდაშვილს დავეკითხეთ:

— უსაზღვროდ მადლობელი ვარ ვაჟა შუბლაძისა. მან თავის იდეას, რომელსაც დიდ ხანს ატარებდა, ხორცი შეასხა, რაც არც ისე ადვილი იყო. დიდი მადლობელი ვარ ირაკლი მეგრელიშვილის, რომელმაც ისეთი თასი შექმნა, რომ მისი მოპოვება ესთეტიკურადაც გაგიხარდება. ჩვენ რამდენჯერ მოვიპოვეთ ვერა მენჩიკის თასი, რომელიც არანაირად არ ეკადრება არც მის სახელს და არც მსოფლიო ოლიმპიადიაზე ქალთა შორის გამარჯვებულ გუნდს. მოკლედ, ეს ჩემთვის ძალიან დიდი საჩუქარია.

**— ქალბატონო ნონა, ჩვენი ვაჟები შესამჩნევად მოძლიერდნენ, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენი სახელობის თასი თბილისსაც ეწვევა ხოლმე**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ახლა ვაჟთა საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს და სავსებით შესაძლებელია, ასეც მოხდეს. მთავარი კონკურენტები, რა თქმა უნდა, რუსები იქნებიან, რომელთაც ორივეგან ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ.

ამ თასის დაწესება ქალთა ჭადრაკის განვითარებას ძალიან წაადგება: ის ქვეყნები, რომელთაც მხოლოდ ძლიერი ვაჟთა გუნდი ჰყავდათ, ქალთა ჭადრაკსაც მიაქცევენ ყურადღებას, რადგან უამისოდ ახალ თასს ვერ მოიპოვებენ.

პრეზენტაცია შედგა. თასი ყველას ძალიან მოეწონა და ის ფაქტიც, რომ ნონა გაფრინდაშვილის სახელი მსოფლიო ოლიმპიადის უმნიშვნელოვანეს პრიზს მიენიჭა. 22 ოქტომბერს თასი შვეიცარიაში წარსდგება მსოფლიოს ჭადრაკის ფედერაციის მესვეურთა წინაშე და შემდეგ იქვე დაიდებს ბინას ფიდეს შტაბ-ბინაში. ვიმედოვნებთ, დროდადრო მშობლიურ თბილისსაც მოაკითხავს.

**ძოტე მგალობლიშვილი**



# მოვიძიოთ შენახული ციგურები



ირაკლი ჯაფარიძე

**ბოლო წლებში, როცა ქვეყანაში ასე თუ ისე სტაბილურობა [illegible]ბა, სპორტის ზოგმა ისეთმა სახეობამ შეგვახსენა თავი, რომლებიც ადრე ჩრდილში იყვნენ, რადგან მათთვის არავის ეცალა. ამჟამად კი სხვადასხვა სახეობათა სპეციალისტებმა, ძირითადად, ენთუზიასტებმა და სპორტით მოწამლულმა ხალხმა კვლავ დაიწყო საყვარელ სახეობათა აღორძინებაზე ოცნება. ჯერჯერობით ერთნი მხოლოდ ოცნებას სჯერდებიან, მეორენი კი უკვე რეალური საქმის კეთებას იწყებენ. მათ შორისაა ირაკლი ჯაფარიძე, ქართული საციგურაო სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, თავის დროზე კარგი, მაგრამ უიღბლო სპორტსმენი, ჩინებული მწვრთნელი. ბატონი ირაკლი მეტად მდიდარი ბიოგრაფიის კაცია, ქართული ფიგურული სრიალის ავ-კარგი თუკი ვინმეს მოეხსენება ჩვენში, უპირველესად მას. ირაკლი ჯაფარიძეს მტკიცედ გადაუწყვეტია საქართველოში საციგურაო სპორტის აღორძინება. თუმცა, სჯობს, ცოტა შორიდან დავიწყოთ და თავად მას მოვუსმინოთ:**

— ქართველი მოციგურავენი პირველად 1960 წელს შევდექით ციგურებზე, ეს თბილისში მოხდა. მაშინ თბილისში საქმიანობდა იმხანად ცნობილი მოსკოველი სპეციალისტი ედუარდ პლინერი, მან აქ ჩამოაყალიბა მოციგურავეთა ჯგუფი, რომელშიც რამდენიმე ქართველი მსურველი გავერთიანდით. 1964 წელს კი გაიხსნა თბილისის ფიგურული სრიალის სკოლა. თუმცა, მანამდე, 1962 წელს საქართველოს ნაკრებმა იასპარეზა საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაზე, სადაც მე და ირინა არხანგელსკაიამ ვერცხლის მედლები მოვიგეთ. ამ წარმატებას სხვებიც მოჰყვა და მალე ქართველი ფიგურისტები ანგარიშგასაწევ ძალად ვიქეცით. ჩემსა და ირინას გარდა პირველი თაობის ოსტატები იყვნენ მანანა წივწივაძე, თენგიზ ხანიაშვილი, იური კუკულაძე, ნანა მანჯგალაძე, ლეილა დოლიძე, თემურ ხიხაძე. მე 17 წლისამ ტრავმის გამო ნაადრევად დავასრულე სპორტული კარიერა, 1968 წლიდან თბილისში მწვრთნელად დავიწყე მუშაობა, შემდეგ კი, 1972-1985 წლებში საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვიყავი. ჩემი ხელმძღვანელობით მარინა ცერცვაძემ მოიგო საკავშირო ტურნირი, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში 1975 წელს ტაშკენტში პირველი იყო მარინა ცერცვაძე, მეორე — ლია გაბელაია, მესამე — მარინა სანაია. ვფიქრობ, ეს ფაქტი ბევრზე მეტყველებს. მომდევნო წელს კვლავ მარინა ცერცვაძემ მოიგო საკავშირო თასი, მარინაც და ლია გაბელაიაც ამ დროისთვის საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები იყვნენ. ჩემი მწვრთნელობისას კი ჭაბუკთა და ახალგაზრდათა შორის საკავშირო ტურნირებსა და ჩემპიონატებში პრიზიორთა შორის მუდამ იყვნენ ჩვენებურები, ხშირად კი ჩემპიონებიც ხდებოდნენ. ბევრმა არც კი იცის, რომ გია შანყულაშვილმა „მეგობრობის თასად“ წოდებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ვერცხლის მედალი მოიპოვა, აჯობა ოლიმპიურ პრიზიორს საბოვჩიკს — ესეც 1976 წელს მოხდა. მანამდე, 1975 წელს მიხეილ სიხარულიძემ ჭაბუკთა საკავშირო თასი მოიგო. სხვებს არ ჩამოუვარდებოდა ინგა ბუტიკაშვილი, ხოლო უნიჭიერესმა მოციგურავემ ონისე რუხაძემ 1976 წელს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა სამნახევარი ბრუნი შეასრულა. ამ ილეთის შესრულება კი, არა თუ მაშინ, დღესაც მეტად საძნელო საქმედ ითვლება. 1982 წელს კი ნელი დვალიშვილმა იყოჩაღა — იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე მე-4 ადგილი დაიკავა. საერთოდ, ის თაობა მეტად ტექნიკური, თუ შეიძლება ითქვას, მრავალბრუნიანი ილეთების სიუხვით გამოირჩეოდა. მარინა ცერცვაძემ კი ასევე პირველმა საბჭოელ ქალთაგან სამმაგი ბრუნი შეასრულა. ალბათ, საკმარისია — ეს ფაქტები უეჭველი დასტურია იმისა, რომ საქართველოში ფიგურულ სრიალს საკმაო ტრადიციები აქვს. ეს სპორტსმენები სპორტის სასახლესთან მდებარე ყინულზე გაიზარდნენ, ეს მოედანი არასტანდარტულია, მაშინაც ასეთი იყო, მაგრამ მონდომებამ და ქართველთა ნიჭიერებამ დიდი შედეგი გამოიღო.

**— ბატონო ირაკლი, კარგა ხანს უცხოეთში მუშაობდით. იქნებ თქვენი იქაური საქმიანობის შესახებ გვიამბოთ.**

— ჯერ გეტყვით, რატომ გადავწყვიტე უცხოეთში წასვლა. ჯერ ერთი, მაშინ არაერთხელ შეგვპირდნენ ამ არასტანდარტული ზომის საციგურაო მოედნის გაფართოებას, მაგრამ ამაოდ. ეს კი მუშაობის ნორმალურ საშუალებას არ გვაძლევდა. მეორე მიზეზი კი შორსაა საძიებელი — მართალია, ჩვენებური სპორტსმენები ხშირად იგებდნენ საკავშირო ტურნირებსა და ჩემპიონატებს, მაგრამ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე საკავშირო ნაკრების თავკაცები მეტწილად რუსებს უხსნიდნენ გზას. ასე არაერთი მოწაფე დამიჩაგრეს — ცერცვაძე, ტოროსიანი, დვალიშვილი, სხვებიც.. რატომღაც, რუსები ფიქრობდნენ, რომ ქართული ფიგურული სრიალი მეორეხარისხოვანი იყო და მიუხედავად ამდენი გამარჯვებისა, ჩვენ სკეპტიკურად გვიცქერდნენ. ცოტა ნაწყენმა და გულგატეხილმა თავი დავანებე მწვრთნელობას, ფიგურულ სრიალს კი შემოვრჩი და ერთხანს საქართველოს სპორტკომიტეტში ვმუშაობდი. კარგა ხანს სპორტის ზამთრის სახეობათა განყოფილებასაც ვხელმძღვანელობდი. ამ პერიოდისთვის არაერთი წინადადება მქონდა უცხოეთიდან, მიწვევდნენ იქაურ კლუბებში მწვრთნელად. ბულგარელებმა კლუბის კი არა, მათი ეროვნული გუნდის მწვრთნელობა შემომთავაზეს და დავთანხმდი. მალე ბულგარელი მოციგურავენი საერთაშორისო სარბიელზეც გამოჩნდნენ, ზოგიერთებმა კი რუსებსა და გერმანელებსაც მოუგეს. შემდეგ მიმიწვიეს ხორვატიაში, ოჯახთან ერთად ზაგრებში ჩაველი და ერთ-ერთ ხორვატულ კლუბს ჩავუდექი სათავეში. სხვათა შორის, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ მე ვიყავი ფიგურულ სრიალში დამოუკიდებელი ხორვატიის ნაკრების პირველი მწვრთნელი. იქაური ომის დასაწყისსაც შევესწარი და ოჯახთან ერთად არაერთი განსაცდელი გამოვიარე. მალე ოჯახი გამოვარიდე ომს, ჩამოვიყვანე თბილისში და თავად კვლავ დავბრუნდი ხორვატიაში. იქაც მოვილიე ჩემი საქმე, კარგის მეტი მათთვისაც არაფერი გამიკეთებია და ხორვატები მეტად მადლიერნი დამშორდნენ, ისევე, როგორც ბულგარელები. შემდეგ კი ავსტრიაში ვიმუშავე, ქალაქ ლინცის საციგურაო სკოლაში. ავსტრიაში ჩემმა მეუღლემ მარინა ცერცვაძემაც მეტად ნაყოფიერად იმუშავა. ჩემი იქაური მოწაფე დანიელ გრუბერი ჭაბუკთა შორის ავსტრიის ჩემპიონი გახდა, ხოლო ლუფტენშტაინერი 1995 წელს ავსტრიის ჩემპიონატზე მეორე იყო, თანაც მარტო მან შეასრულა სამმაგი ბრუნი. შემდეგ? შემდეგ მომენატრა სამშობლო, თბილისში ცხოვრება, გადავწყვიტე შინ დაბრუნება და აქ იმ საქმის კეთება, რაც დღემდე უკეთ მეხერხება.

**— დღეს ბევრს ლაპარაკობენ სპორტში „ხორვატულ ფენომენზე“. თქვენ ამ ქვეყანაში ცხოვრობდით, იქაურ სპორტში მოღვაწეობდით. რას იტყვით, არსებობს ამგვარი ფენომენი?**

— მსოფლიო სპორტში მართლაც არსებობს „ხორვატული ფენომენი“. ეს მარტო ხორვატთა ნიჭიერების გამოხატულება არ არის. ეს არის სპორტში სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი. მაშინაც კი, როცა ომი იყო, ხორვატები არ ივიწყებდნენ სპორტს, თუ ქვეყანაში რაღაც ინგრეოდა, სანაცვლოდ შენდებოდა სტადიონები, კორტები, სპორტული დარბაზები. ატლანტაში ხორვატმა ხელბურთელებმა ოლიმპიადა მოიგეს. ცალკე თემაა ხორვატთა ფეხბურთი, სპორტის ინდივიდუალურ სახეობებშიც ხომ არაერთი უძლიერესი სპორტსმენი ჰყავთ. მოკლედ, „ხორვატული ფენომენი“ სპორტში სხვა არაფერია, თუ არა ხორვატი ერის ნებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შერწყმა.

**— კარგი ანაზღაურება გქონდათ უცხოეთში?**

— იცით, ანაზღაურება იქ პირობითია. გააჩნია, რას და როგორ აკეთებ. მე ბულგარეთში, ხორვატიაში და ავსტრიაშიც კონტრაქტი მქონდა გაფორმებული იქაური კლუბებისა თუ ფედერაციების თავკაცებთან და ეს კონტრაქტი განსაზღვრავდა ჩემს ხელფასს. ისე, მუშაობის საუკეთესო პირობები და არა მარტო ხელფასი, ავსტრიაში მქონდა. ჯერ ერთი, ეს ქვეყანა დანარჩენ ორზე მაღალგანვითარებულია, მეორეც, იქ ბულგარეთზე და ხორვატიაზე დიდი და მყარი ტრადიციებია ფიგურული სრიალისა.

**— ნიჭიერებით თქვენი რომელი ქვეყნის მოწაფენი გამოირჩეოდნენ?**

— სიმართლე გითხრათ, ბულგარელები, თუმცა ხორვატებიც მეტად ხალისიანი და მონდომებული ბავშვები იყვნენ. თუმცა, რაც მე მინახავს, ფიგურულ სრიალში ქართველებზე უფრო ნიჭიერი ხალხი არ შემხვედრია.

**— ბატონო ირაკლი, ვიცი, რომ საბოლოოდ დამკვიდრდით საქართველოში და თბილისში თქვენი საყვარელი საქმის კეთებას აპირებთ. ამიტომ, მოდით, კონკრეტულად ვისაუბროთ თქვენს აქაურ გეგმებზე.**

— თბილისში 1964 წლიდან არსებობს მოციგურავეთა მოედანი, როგორც უკვე გითხარით, არასტანდარტული ზომისა. ამ ყინულზე ბევრი სახელოვანი ოსტატი აღიზარდა და ამ ტრადიციას აღორძინება უნდა. მე, თემურ ლომაძემ და გია იაშვილმა 1991 წლიდან მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს. თემურ ლომაძე ფირმა „შანსის“ პრეზიდენტი და საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტია, ყოფილი სპორტსმენი, 1991-დან 1995 წლამდე ამ კაცმა უანგაროდ შეინახა სკოლა, გია იაშვილი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია. მე უცხოეთში ყოფნისასაც არ გამიწყვეტია ურთიერთობა ჩვენებურებთან, 1993-94 წლებში კი იმხანად ჩვენი ერთ-ერთი უნიჭიერესი სპორტსმენი ბესო ცინცაძე ჩემთან ავსტრიაში, ლინცის სკოლაში ემზადებოდა, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საზღაურის გარეშე. სხვათა შორის, ლინცში მზადების მერე ბესომ იაპონიაში გამართელ მსოფლიოს ჩემპიონატზე 19 ადგილიც დაიკავა. აქვე ვიტყვი, რომ ბოლო ხანს გვახარებს ვახტანგ მურვანიძის წარმატებები — იგი წელს ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური დღეების ვიცე-ჩემპიონი გახდა. მოკლედ, ამ სამეულმა გადავწყვიტეთ ფიგურული სრიალის აღორძინება თბილისში. ეს გადაწყვეტილება დიდად განაპირობა, ასე ვთქვათ, მეორე სამეულის, ჯერჯერობით, მორალურმა მხარდაჭერამ და დაპირებებმა. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი და თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი თანადგომას შეგვპირდნენ. რა თქმა უნდა, დიდი იმედი მაქვს მერიის ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების გენერალური დირექტორის ვაჟა ჭკუასელისა, სწორედ ამ გაერთიანებას ეკუთვნის ჩვენი სკოლა და ვაჟა ჭკუასელიც მხარში გვიდგას.

**— რამდენად რეალურია ამ ხალხის დანაპირები?**

— ვფიქრობ, შეპირებები რეალურია. მესმის, რომ სადღეისოდ, როგორც მთლიანად ქვეყანას, ყველა ორგანიზაციას უჭირს, არარეალურს არც ჩვენ ვითხოვთ რაიმეს, სასიამოვნო ის არის, რომ კვლავ დღის წესრიგშია საციგურაო მოედნის გაფართოება და განახლება.

**— ღმერთმა ქნას, ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართოს. მაგრამ წმინდა სპორტული თვალსაზრისით რა შედეგს გამოიღებს სკოლის თუნდაც ახლებურად და ახალი ძალებით ამოქმედება?**

— მე და ჩემმა მეუღლემ დავიწყეთ სკოლაში მუშაობა — მე დირექტორად, მარინამ — მწვრთნელად. ჩვენს გარდა მრავლად არიან კვალიფიციური მწვრთნელები — ლეილა დოლიძე, მარინა ჯაიანი, ინგა ბუტიკაშვილი, გიული თავაძე, თამრიკო ანჯაფარიძე, ნელი დვალიშვილი, ლია სამხარაძე და სხვებიც. ეს ხალხი, ძველიც და ახალგაზრდა თაობაც, მეტად დიდი ენთუზიაზმით მუშაობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს სკოლაში ბავშვთა მეცადინეობის საფასური მოსახლეობის თითქმის ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომია. აუცილებელია, გამოინახოს ყველანაირი საშუალება, რომ რიგიანად შევინახოთ ეს სკოლა, ბავშვებს ვარჯიშის ნორმალური პირობები შევუქმნათ, რადგან ბავშვთა სპორტიდან იწყება დიდი სპორტი და სადღეისოდ გალეულს ეს ბავშვები ათმაგად დაგვიბრუნებენ ხვალ.

**— თავად თბილისელებს თუ აინტერესებთ ფიგურული სრიალი?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სკოლას არანაირი რეკლამა არ ჰქონია, 33 ჯგუფია გახსნილი, სულ კი 350 ბავშვი სწავლობს ჩვენთან. თბილისელი ბავშვები მეტად მოწადინებულნი არიან, ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმა საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ყინული მარგებელია ჯანმრთელობისთვის და მასზე სრიალით არაერთი დაავადების განკურნებაა შესაძლებელი. არ შემიძლია, აქვე მადლიერების გრძნობით არ აღვნიშნო ჩემი წინამორბედი — წლების მანძილზე საციგურაო სკოლის დირექტორი ბატონი ნოდარ ნათაძე.

**— არსებობს საქართველოს მოციგურავეთა ნაკრები?**

— კი, არსებობს. ახლახან ჩვენს ნაკრებს შეკრება ჰქონდა ცემში. კი, ბატონო, გვაქვს პრობლემები, მაგრამ ძირითადად გვეხმარება ფიგურული სრიალის საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც ჩვენს ფედერაციას საკმაოდ სოლიდური თანხა გამოუყო და ეს ფული ხმარდება სკოლასა და საქართველოს ნაკრებს.

**— შინაური ჩემპიონატების გამართვას არ აპირებთ?**

— კი, რა თქმა უნდა. წელს უკვე გავმართეთ საქართველოს ჩემპიონატი, საგაისოდაც უთუოდ ჩავატარებთ. როგორც ადრე იყო, ამჯერადაც საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ თბილისელი სპორტსმენები ასპარეზობდნენ.

**— თქვენ ევროპის სამ ქვეყანაში მუშაობდით. ბუნებრივია, იქაურ ფედერაციებთან გექნებოდათ ურთიერთობა, ბევრი ნაცნობ-მეგობარიც შემოგრჩებოდათ. არ ფიქრობთ, ეს ხალხი დაიხმაროთ, რათა ისინიც შეეწივნონ ქართულ საციგურაო სპორტს?**

— საერთაშორისო ფედერაცია, მოგახსენეთ, საკმაოდ ხელგაშლილად გვეხმარება, რა თქმა უნდა, ჩემს ხორვატ, ბულგარელ და ავსტრიელ ნაცნობ-მეგობრებსაც შევაწუხებ, როცა საქმე მოითხოვს და ამისი საჭიროება იქნება. ვეძებთ სპონსორსაც, რომელსაც სანაცვლოდ არანაკლებ ღირებულსა და ფასეულს შევთავაზებთ, ვიდრე ფულია.

**ლევან ჯავახიშვილი**

# სენსაციები და ზურგის ტკივილი

**ლიონი. საფრანგეთი. საჩოგბურთო „გრან პრი". ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 725 ათასი დოლარი.**

პირველი წრის უდიდესი სენსაცია ფრანგმა არნო კლემანმა მოახდინა. მსოფლიოს 136-ე ჩოგანმა, რომელმაც წინა ტურნირშიც იმსხვერპლა საუკეთესო ათეულის ერთი მოთამაშე — მოთიხნარე სერხი ბრუგერა, ამჯერად მსოფლიოს მესამე ჩოგანი, სწრაფ კორტებზე თამაშის ოსტატი, ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი გააგდო 6:3, 7:6 (7:5), რომელიც ლიონში პირველად იყო განთესილი. 19 წლის ჩოგბურთელი ამ ორი არცთუ სახუმარო წარმატების შემდეგ, ალბათ, საუკეთესოთა ასეულშიც მოახერხებს შეღწევას. პირველ წრეშივე გავარდა ხალიჩაზე ტრადიციულად სუსტად მოასპარეზე ესპანელი ალექს კორეჩაც (3). მას თანამემამულე ხულიან ალონსომ მოუგო 2:6, 6:4, 6:1, რომელიც ასევე 19 წლისაა.

**პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ბრეტ სტივენი (ახალი ზელანდია) 6:1, 6:2. მარკ ფილიპუსისი (7, ავსტრალია) — ნიკოლა ტომანი (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:3; ფელიქს მანტია (4, ესპანეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:3, 3:0 (მედვედევმა ტრავმა მიიღო); რიჩარდ კრაიჩეკი (6, ჰოლანდია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:3.**

მეორე წრის ყველაზე დაძაბული მატჩი უიმბლდონის შარშანდელ ჩემპიონ რიჩარდ კრაიჩეკსა და ფრანგ ფაბრის სანტოროს შორის შედგა. ჰოლანდიელს მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთი საკუთარი მოწოდებაც კი არ წაუგია, მაგრამ მეოთხედფინალის საგზური მაინც მეტოქეს გადაულოცა. პირველ ხელში ორივე მხრიდან ორი ხელით მოთამაშე სანტორო ძალზე უფერულად გამოიყურებოდა, იოლადაც დამარცხდა, მაგრამ მერე როგორღაც ორჯერ მაინც შეძლო ტაი-ბრეიკამდე საქმის გაჯანჯლება და ორივე დაძაბულ ბრძოლაში მოიგო 2:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:4). ამ ბოლო ხანებში გრეგ რუზეცკის უიღბლო მდევარი, ინგლისელი ტიმ ჰენმანი (8) გერმანელ მარკ-კევინ გელნერთან დამარცხდა 3:6, 4:6.

**მეორე წრე: სედრიკ პიოლინი — კლემანი 6:2, 6:2, ფილიპუსისი — რიჩი რენებერგი (აშშ) 4:6, 7:6 (8:6), 6:4; ენკვისტი — ტოდ მარტინი (აშშ) 7:5, 6:3; კაფელნიკოვი — ფერნონ ვიბიე (ჰოლანდია) 6:3, 6:4.**

**ოსტრავა. ჩეხეთის ღია პირველობა. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარი.**

პირველად განთესილი ესპანელი კარლოს მოია, მისივე თქმით, პირველ წრეში დამარცხებისგან „ღმერთის საჩუქარმა" იხსნა: მის მეტოქეს, მსოფლიოს 256-ე ჩოგან მიხაელ ტაბარას მესამე სეტში ბრეიკ-პოინტზე სრულიად უწყინარ სიტუაციაში ჩოგანი ხელიდან გაუვარდა და მეტოქეს დაწინაურების საშუალება მისცა. „დღეს მე გამარჯვებას არ ვიმსახურებდი, მაგრამ ცუდი თამაშის მიუხედავად ღმერთმა გადმომხედა და მომაგებინა" — თქვა 6:4, 6:7 (1:7), 6:4 მოგებული მატჩის შემდეგ მოიამ.

**პირველი წრე: გორან ივანიშევიჩი (3, ხორვატია) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 5:7, 6:3, 6:3; ტომას მუსტერი (4, ავსტრია) — პეტერ კრალერტი (ჩეხეთი) 6:1, 6:3; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — მარკ როსე (6, შვეიცარია) 6:3, 6:2.**

მეორე წრეში მორიგ ჩეხთან — ირჟი ნოვაკთან შეხვედრის დროს ღმერთმა კარლოს მოია, ეტყობა, ცოტა ხნით დაივიწყა და ობლად დარჩენილმა ესპანელმა მეტოქესთან ვერაფერი გააწყო 4:6, 4:6. გაუმართლა ხორვატ გორან ივანიშევიჩს, რომლის მეტოქემ მარტინ დამმა მეოთხედფინალის საგზური უბრძოლველად გადააბარა მეტოქეს. მასპინძელთა კერპმა, ოპერაციების შედეგად ლამის თავიდან აწყობილმა პეტერ კორდამ მესამე ხელში სამი მატჩ-პოინტი გაფლანგა და იტალიელ დიეგო ნარგიზოს გამარჯვებაც გადაულოცა 4:6, 6:2, 7:6 (7:4). ჩეხმა თამაშის შემდეგ განაცხადა, კოჭები მაწუხებს და, ალბათ, ისევ ქირურგებს ჩავუვარდები ხელშიო.

**მეორე წრე: სერხი ბრუგერა (2, ესპანეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 7:6 (7:1), 3:6, 6:4; მაგნუს ნორმანი (7, შვედეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია, შარშანდელი ჩემპიონი) 6:2, 6:4; მუსტერი — პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) 6:3, 7:6 (7:3); კაროლ კუჩერა (8, ჩეხეთი) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:3, 6:7 (4:7), 7:6 (7:5).**

**ციურიხი. შვეიცარია. ევროპის ღია ჩემპიონატი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 926 250 დოლარი.**

ციურიხში პირველი წრის ყველაზე დიდი მოულოდნელობა ძონძროხა ესპანელის — არანჩა სანჩეს-ვიკარიოს (8) მარცხი იყო ბელგიელ დომინიკ ვან რუსტთან 5:7, 7:5, 4:6. მეექვსედ განთესილმა გერმანელმა ანკე ჰუბერმა წინა კვირაში განცდილი მარცხისთვის შური იძია ამერიკელ მერი ჯო ფერნანდესზე 7:5, 6:0. აყლაყუდა ზანგმა ვინუს უილიამსმა კი საუკეთესოთა ოცეულში მყოფი რუმინელი რუქსანდრა დრაგომირი გაანადგურა 6:0, 6:3.

**პირველი წრე: ამანდა კუტცერი (5, სამხ. აფრიკა) — პატი შნაიდერი (შვეიცარია) 7:6, 6:3. ირინა სპირლეა (7, რუმინეთი) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:4, 3:6, 6:2; ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — კიმბერლი პო (აშშ) 6:3, 5:7, 7:5.**

მეორე წრე ტრავმებმა და სენსაციებმა წალეკა. მესამედ განთესილმა ხორვატმა ივა მაიოლიმ ბელგიელ საბინე აპელმანსთან შეხვედრის პირველ ხელში 5 სეტ-პოინტი გაანიავა და ამ წარუმატებლობის შემდეგ გონს ველარც მოვიდა 6:7, 3:6. ჩეხმა იანა ნოვოტნამ (2) პირველ ხელში აი სუგიამას ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა, მაგრამ მეორე სეტში ტაი-ბრეიკზე 6:2-ს რომ იგებდა, როგორც სჩვევია, ტუტუცურად ათამაშდა და ოთხივე მატჩპოინტი გაფლანგა, თუმცა, მაიოლისგან განსხვავებით, მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა მაინც მოახერხა 6:0, 6:7, 6:2.

**მეორე წრე: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) 6:3, 6:2; სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) — სპირლეა 3:6, 5:1 (სპირლეამ ზურგის ტკივილის გამო თამაშს თავი დაანება) ლინდსი დევენპორტი (4, აშშ) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:4, 2:2 (ზვერევამ მხრის ტკივილი მოიმიზეზა); ლაიზა რეიმონდი (აშშ) — კუტცერი 7:5, 6:3; ვინუს ვილიამსი — ჰუბერი (ეს უკანასკნელი ზურგის ტკივილის მიზეზით სათამაშოდ არ გამოცხადდა).**

**ავთანდილ სვანიძე**



**უილიამს გრან პრი ინჟინერინგ**

შეფი — ფრენკ უილიამსი
ტექნიკური დირექტორი — პატრიკ ჰედი
სპონსორები: „როტმანსი", „კასტროლი", „სანო"
დაარსდა 1968 წელს
დებიუტი ფორმულა 1-ში — *1975* (მანამდე გუნდი სხვადასხვა ფირმის ავტომობილებს ყიდულობდა და ისე მონაწილეობდა ჩემპიონატში)
**ჩემპიონის ტიტულები:** *გუნდური პირველობა — 1980, 1981, 1986, 1987, 1992, 1993, 1994, 1996, 1997*
*პირადი პირველობა: 1980 ჯონსი (ავსტრალია); 1982 როსბერგი (ფინეთი); 1987 პიკე (ბრაზილია); 1992 მენსელი (ბრიტანეთი); 1993 პროსტი (საფრანგეთი); 1996 ჰილი (ბრიტანეთი)*
ეტაპებზე მონაწილეობა — *378*; გამარჯვება — *103*; პოული — *107*
ქულები — *1919,5*

# „უილიამსი" — ჯიუტი და ცოდვიანი კაცის საჯინიბო



ფრენკ უილიამსი

ფრენკ უილიამსის გუნდმა წლეულს მეცხრედ მოიპოვა კონსტრუქტორთა შორის პირველობა და ამ შედეგით საუკეთესოა ფორმულა 1-ში მონაწილე გუნდებში. „რკინის ფრენკის" ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ მათ ბოლიდებს ჯერჯერობით ბადალი არ ჰყავთ და რომ არა გუნდის ტაქტიკური შეცდომები და ხანგრძლივი პიტ-სტოპები, შედეგები, შესაძლოა, უკეთესიც ყოფილიყო. გუნდის ეს სუსტი მხარე და ფრენკის სიჯიუტე მთელი არსებობის მანძილზე სდევს ამ საჯინიბოს და ხშირად დასანანი მარცხის მიზეზიც გამხდარა, თუმცა, ბოლო 18 წელია, უილიამსელები მოწინავეთა რიგებს არ აკლდებიან, რაზეც 103 გამარჯვებაც მეტყველებს. მაგრამ გამარჯვებები იოლად არ მოსულა, ფორმულა 1-ის გრანდთა შორის დამკვიდრებამდე „უილიამსი" მაჩანჩალა იყო, ხშირად გუნდს დაშლაც კი ემუქრებოდა.

გუნდის მეპატრონემ ფრენკ უილიამსმა ავტოსპორტში თავისი კარიერა მრბოლად და მექანიკოსად დაიწყო. 60-იანი წლების დასაწყისში იგი „ოსტინ-35"-ით ასპარეზობდა საგზატკეცილო რბოლებში და იმავდროულად ჩარლზ კრისტონ-სტიუარტისთვის ფორმულა-3-ის ავტოებს ამზადებდა. 1965 წელს კი თავად მიუჯდა ფორმულა 3-ის საჭეს. მისი „კუპერი" და „ბრებჰემი" ზოგჯერ ჩასათვლელ ექვსეულშიც ხვდებოდა ხოლმე. ტრასებზე გატარებული 5 წლისა და 2 ავარიის შემდეგ ფრენკი მიხვდა, რომ მისგან ჩემპიონი არ დადგებოდა და სხვა გზით სცადა ავტოსპორტის მწვერვალის დაპყრობა. 1968 წელს შემოიკრიბა თანამოაზრენი და საკუთარი გუნდი „ფრენკ უილიამს რეისინგ კარი" შექმნა. იყიდა ფორმულა 2-ის „ბრებჰემ-21" და საჭეს უახლოესი მეგობარი პირს კარიჯი მიუსვა, 1969 წელს კი ფორმულა 1-ში ასპარეზობაც გაბედა. ამ გუნდის დებიუტი ესპანეთის „დიდ პრიზზე" შედგა (გუნდის ოფიციალურ დებიუტად ფორმულა 1-ში 1975 წელი ითვლება, რადგან სწორედ მაშინ ეწოდათ გუნდის ბოლიდებს „უილიამსის" სახელი), მაგრამ კარიჯის „ბრებჰემ BT 26"-მა ფინიშამდე ვერ მიაღწია. მეორე სტარტი წარმატებული გამოდგა, მონტე კარლოში რბოლის მიწურულს კარიჯმა „ბრებჰემის" გუნდის პილოტის — ჯეკი იქსის შეცდომით ისარგებლა და ასპარეზობა მე-2 ადგილზე დაამთავრა. ამ მიღწევას ინგლისსა და იტალიაში მე-5, ხოლო აშშ-ში კვლავ მე-2 ადგილები მოჰყვა და დებიუტანტმა კონსტრუქტორთა პირველობაში მე-8 ადგილი დაიჭირა.

მომდევნო წელს გუნდმა პირველი მწარე დარტყმა იგემა. „ბრებჰემმა" ფრენკს უარი უთხრა ბოლიდების მიწოდებაზე და უილიამსს „დე ტომასოს" შეძენა მოუხდა. იტალიური მანქანები კი ჯიუტად უარობდნენ რბოლების დამთავრებას. ჩემპიონატის მეხუთე ეტაპზე, ჰოლანდიის „ზანდვოორტში" 250 კმ-სთ სიჩქარით მიმავალ კარიჯის მონოპოსტს წინა შეკიდულობის ბერკეტი გაუტყდა, ტრასის მიღმა ქვიშის ბორცვს შეეჯახა და აალდა. პილოტის გადარჩენა ვერ მოახერხეს.

შემდეგ წლებში გუნდი უიმედო აუტსაიდერად იქცა. იცვლებოდნენ პილოტები — პესკაროლო, რედმანი, პაჩე, ლაფიტი, ავტომობილები — „მარჩი", „იზო", „ჰესკეთი", „პოლიტოიზი", ფრენკის გვერდით ნიჭიერი კონსტრუქტორები — პოსთლუეიტი, დალარა, კლარკი მუშაობდნენ, მაგრამ წარმატებები არ ჩანდა.

1975 წელს ჟაკ ლაფიტმა რემ სტოკის მიერ შექმნილი ბოლიდით, რომელიც უკვე ატარებდა „უილიამსის" სახელს, „ნიურბურგრინგზე" მე-2 ადგილის დაკავება მოახერხა. წლის ბოლოს პილოტმაც და კონსტრუქტორმაც დატოვეს გუნდი. შედეგებით უკმაყოფილო სპონსორებმაც აქციეს ზურგი ფრენკს და ყველას ეგონა, რომ გუნდი დაიშლებოდა.

„რკინის ფრენკმა" ჩვეული სიჯიუტით განაგრძო სვლა. 1977 წელს საკუთარი ფულით შეიძინა „მარჩ 761 B" და ბელგიელ პილოტ პატრიკ ნევსესთან ერთად მონაწილეობდა ჩემპიონატში, თუმცა, „უილიამსი" კვლავაც მშრალზე რჩებოდა.

ამის შემდეგ იწყება გუნდის აღმავლობის გზა. არავინ უწყის, როდის და როგორ დაუკავშირდა უილიამსი სპონსორებს საუდის არაბეთიდან. ფაქტია, რომ არაბულმა მილიონებმა ფრენკს ტექნიკური პერსონალის, აღჭურვილობისა და ახალი ბოლიდის დაფინანსების საშუალება მისცა.

1978 წელს ახალგაზრდა კონსტრუქტორმა პატრიკ ჰედმა „უილიამს FW-06" შექმნა და ავსტრალიელმა ალან ჯონსმა აშშ-ში მე-2, სამხრეთ აფრიკაში მე-3, საფრანგეთში კი მე-5 ადგილებზე გასვლა შეძლო. ეს კი წინა წლებთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ.

1979 წელს გუნდის ახალ ბოლიდებს — „უილიამს FW-07"-ს უკვე ორი პილოტი, ჯონსი და შვეიცარელი კლეი რეგაცონი მართავდა. ბრიტანეთის „დიდ პრიზზე" შვეიცარელმა პილოტმა ფრენკს პირველი გამარჯვება მოუტანა. „ბედნიერებისგან ენა ჩამივარდა. როგორც იქნა, საუკეთესონი გავხდით — მე, პატრიკ ჰედი და ჩემი გუნდი" — განუცხადა ჟურნალისტებს უილიამსმა. ამას ჯონსის ჰეთ-თრიქი მოჰყვა: პირველობა გერმანიაში, ავსტრიასა და ჰოლანდიაში, სეზონის ბოლოს კი გამარჯვება კანადაში. მაგრამ ჯიუტმა ფრენკმა, მიუხედავად წარმატებებისა, კლეი რეგაცონი გუნდიდან დაითხოვა.

შერისხული პილოტი მძიმე ავარიაში მოჰყვა და ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა.

„უილიამსის" ტრიუმფი კი გრძელდებოდა. 1980 წელს ჯონსი ჩემპიონი გახდა, არგენტინელი რეუტმანი კი — მესამე. გუნდმა ძირითად კონკურენტზე — „ლიჟიეზე" ორჯერ მეტი ქულა მოაგროვა და პირველად გახდა უძლიერესი კონსტრუქტორთა შორის. „უილიამს FW 07"-ის მოდელი საუკეთესოა გუნდის ისტორიაში. ამ ბოლიდებით ჩატარებული 42 რბოლიდან პილოტებმა 17 „დიდი პრიზი" მოიგეს, ამდენჯერვე იყვნენ მე-2 და 11-ჯერ მე-3 საპრიზო ადგილის მფლობელნი.

1981 წელს, კვლავ ფრენკის სიჯიუტის გამო, გუნდმა პირველობა დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში გამარჯვების უკეთესი შანსი რეუტმანს ჰქონდა, უილიამსი კვლავ ჯონსის გაჩემპიონებას ცდილობდა. პილოტთა შორის წარმოქმნილმა დაძაბულობამ და გუნდის მცდარმა ტაქტიკამ არგენტინელს საბოლოოდ მხოლოდ მე-2 ადგილი არგუნა, იგი ერთი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ პიკეს. ამით განაწყენებულმა რეუტმანმა საერთოდ მიატოვა ფორმულა 1, ცოტა ხნით ადრე კი ჯონსმა გადაწყვიტა პენსიაზე გასვლა.

1982 წელს უილიამსი გუნდის ხელახალ დაკომპლექტებას შეუდგა და, ყველასთვის მოულოდნელად, პირველ პილოტად ფინელი კეკე როსბერგი მიიწვია, რომელსაც წინა ოთხი სეზონის განმავლობაში სულ 6 ქულა მოეგროვებინა. ექსპერიმენტმა გაამართლა. როსბერგმა ჩემპიონობა არავის დაუთმო. ამასობაში ფორმულა 1-ში ტურბო-ძრავების ერა დადგა, ფრენკმა დროზე ვერ მო დის პილოტები იაპონელ ინჟინერებთან ერთად მთელი სეზონი ძრავის მორჯულებას მოუნდნენ. „უილიამს-ჰონდამ" კი პირველი წარმატებები 1986 წელს მოიპოვა — მენსელი და პიკე ჩემპიონატის ფავორიტებს შორის გახლდნენ. ის სეზონი კვლავ მძიმე დარტყმით დაიწყო. გუნდის ტესტებზე დასასწრებად საფრანგეთის „ლე კასტელესკენ" მიმავალი ფრენკ უილიამსი ავტოკატასტროფაში მოხვდა და ბოქსებში მხოლოდ სეზონის მიწურულს, ინვალიდის ეტლით გამოჩნდა. ამ პერიოდში გუნდს ძირითადად პატრიკ ჰედი მართავდა. მენსელმა 5 ეტაპი მოიგო, პიკემ — 4, მაგრამ კვლავ იჩინა თავი გუნდის არასწორმა ტაქტიკამ. ამჯერად, 1981 წლის მწარე გაკვეთილის შემდეგ, ფრენკმა არც ერთ პილოტს არ მიანიჭა უპირატესობა. ეს გადაწყვეტილებაც მცდარი აღმოჩნდა. „შინაომებით" გართულ მენსელსა და პიკეს პირველობა პროსტმა მოჰპარა.

1987 წელს უილიამსელთა უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. პიკემ ჩემპიონის გვირგვინი მოირგო, მენსელი კი მე-2 იყო.

მომავალ წელს ფრენკს სასტიკად არ გაუმართლა: ვერ შეინარჩუნა კონტრაქტი „ჰონდასთან" და პიკემაც დატოვა გუნდი. „ჯადის" სუსტი ძრავით კი მენსელმა ვერაფერი გააწყო.

1989 წლისთვის „რკინის ფრენკმა" „რენოს" ძრავების ხელში ჩაგდება მოახერხა და შედეგმაც არ დააყოვნა. ბელგიელმა ტერი ბუტსენმა და იტალიელმა რიკარდო პატრეზემ გუნდს მე-2 ადგილი მოუტანეს კონსტრუქტორთა შორის, „უილიამსი" 1990 წელსაც ერთ-ერთი მოწინავე იყო. მაგრამ ეს პროსტისა და სენას დიდების დრო იყო და ფრენკსაც მათთან საპაექროდ უმაღლესი კლასის პილოტი სჭირდებოდა, ასეთად კი ნაიჯელ მენსელი მოევლინა. 1992 წელს „ბიგ ნაიჯმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „ბრაზილიელ ჯადოქარს" და ჩემპიონატზე მე-2 ადგილიც მოიპოვა, თუმცა, სენას საბოლოოდ 26 ქულით ჩამორჩა. ამ წელს კვლავ გამოჩნდა უილიამსელთა ძველი სენი — ბოქსებში დაყოვნება და ტაქტიკური შეცდომები. ეს რომ არა, სხვაობა იქნებ უფრო მცირეც ყოფილიყო.

1992 წელს კი მენსელ-პატრეზეს ტანდემს არ ჰყავდა ტოლი: ნაიჯელმა 9 გამარჯვებით ჩემპიონობას ფორმულა 1-ის რეკორდიც მიუმატა, პატრეზე კი ვიცე-ჩემპიონი გახდა და გუნდმა 164 ქულით კვლავ დაიბრუნა კონსტრუქტორთა შორის პირველობა.

1993 წელს მენსელმა ფორმულა 1 დატოვა და „ინდიკარში" გადაინაცვლა. ამას, შესაძლოა, ხელი შეუწყო ფრენკის გადაწყვეტილებამ — გუნდში პროსტი მიეწვია. ფრანგმა „პროფესორმა" უმაღლეს დონეზე ჩაატარა სეზონი და ძველ მეტოქეს სენას პირველობა არ დაუთმო, ახალწვეულმა ჰილმაც არ შეირცხვინა თავი და მე-3 ადგილზე დაამთავრა ჩემპიონატი. მომავალი სეზონისთვის უილიამსმა სენასთან გააფორმა კონტრაქტი, პროსტმა კი ფორმულა 1 მიატოვა.

1994 წელი „უილიამსმა" ახალი სპონსორის — „როტმანსის" ლურჯ-თეთრ ფერებში დაიწყო. მალე



**აირტონ სენა და კლეი რეგაცონი: ტრაგედია და დრამა „უილიამსისგან"**

საშინელი ტრაგედია მოხდა: იმოლაზე, ტამბურელოს მოსახვევში აირტონ სენა დაიღუპა. გუნდმა მაინც მოახერხა სეზონის ღირსეულად დამთავრება. ლიდერობა ჰილმა იტვირთა და სეზონი მე-2 ადგილზე დაამთავრა.

„უილიამსი" მომავალ წელსაც ითვლებოდა ფავორიტად, მაგრამ ჩემპიონობა კვლავ ბენეტონელ შუმახერს დარჩა. ჰილი და კულტჰარდი მე-2 — მე-3 ადგილებზე აღმოჩნდნენ.

1996 წელს ჰილი გაჩემპიონდა, ახალწვეული ვილნევიც საუკეთესოთა შორის იყო და გუნდი კვლავ პირველი გახდა კონსტრუქტორთა შორის. სეზონის ბოლოს ფრენკ უილიამსს ჰილი დაემშვიდობა და მისი წასვლით უკმაყოფილო კონსტრუქტორმა ნიუიმაც დატოვა გუნდი, თუმცა, ახალი სეზონისთვის ბოლიდი მაინც მან მოამზადა.

„უილიამსმა" წლევანდელი სეზონიც ფავორიტად დაიწყო, მგრამ კვლავ ახსენებს ხოლმე თავს ძველი სენი — ტაქტიკური შეცდომები და ბოქსებში მომსახურება. ყოველივე ამან ვილნევი და ფრენცენი მაინც ვერ შეაფერხა და მათი 8 გამარჯვების წყალობით „უილიამსმა" ფინიშამდე 1 ეტაპით ადრე გაინაღდა გუნდური პირველობა. სეზონი ფრენკისთვის ერთი უსიამოვნო ამბით დასრულდა: ვილნევს პირად პირველობაში ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა ემუქრება, სიძნელეებს შეჩვეული შეფი კი მედგრად იბრძვის, რათა პილოტი არ დაეჩაგროს. როგორც უნდა დასრულდეს ეს სეზონი, „უილიამსისთვის" ის მაინც წარმატებულია, თუმცა კი მისი უპირატესობა ნელ-ნელა დნება. მომავალ წელს ბოლიდები ახალი მოთხოვნების მიხედვით მზადდება და არავინ იცის, შეძლებს თუ არა ფრენკის გუნდი საუკეთესო ავტოს დამზადებას.

**ალეკო ბაგუაშვილი**

# ფლორიდას მეკარე გაუშავდა

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ლოს ანჯელესი — ბოსტონი 3:5**

**შაიბები: დონატო 1 (0:1), პერო 4 (1:1), ხრისტიჩი 3 (1:2), ელისონი 2 (1:3), სალივანი 1 (1:4), ოდონელი 1 (2:4), მიურეი 3 (3:4), ტეილორი 4 (3:5)**

ამ არცთუ ხეირიანად მოთამაშე გუნდების შეხვედრა მხოლოდ იმით იყო საინტერესო, რომ სეზონის წინ მათ შორის მომხდარმა დიდმა გაცვლამ ეს კლუბები პრინციპულ მეტოქეებად აქცია. ამ ცვლილებების შედეგად ბოსტონში ფორვარდი ხრისტიჩი და გოლკიპერი დაფო გადაბარგდნენ, მათ ნაცვლად კი კალიფორნიაში ორი თავდამსხმელი — შტუმპელი და მოგერი გაემგზავრა. თანაც ეს მეტოქეთა ბოლო, მეორე შეხვედრა იყო ამ სეზონში, მასპინძლებს კი ჩემპიონატის სასტარტო მატჩში წაგების მერე რევანში სწყუროდათ. მაგრამ „მეფეები“ ვერაფერს გახდნენ, სწორედ მათმა ყოფილმა პარტნიორებმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი. ჯერ ხრისტიჩმა იძალა და ბოსტონელებს გადამწყვეტი უპირატესობა მოაპოვებინა. ლოსანჯელესელები ბევრს ეცადნენ და მიურეის გოლის შემდეგ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს კიდეც, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ბოსტონელმა ტეილორმა (1+1, 4) თქვა. რაც შეეხება დაფოს, მან 38 დარტყმა მოიგერია და ლომის წილი დაიდო თავისიანების წარმატებაში.

**15 ოქტომბერი. კაროლინა — ბუფალო 3:3, ოტავა — რეინჯერსი 5:1, მონრეალი — პიტსბურგი 1:1, ფლორიდა — ტამპა 2:1, დეტროიტი — ტორონტო 3:4, ჩიკაგო — ვაშინგტონი 0:2, ედმონტონი — კოლორადო 2:6, ანაჰაიმი — ფილადელფია 2:2.**

**16 ოქტომბერი. დალასი — ფლორიდა 4:0, სან ხოსე — აილენდერსი 2:5.**

მორიგი ორი დღის მატჩების შემდეგ ლიგაში დაუმარცხებელი მხოლოდ კოლორადო დარჩა. ოთხშაბათს ედმონტონში „ეველანშმა“ სეზონში პირველად გამოავლინა თავისი უდიდესი პოტენციალი. თუ აქამდე კლუბის ლიდერები რიგრიგობით გამოირჩეოდნენ, ახლა წამყვან მოთამაშეთა მთელი ანსამბლი ჩაება ბრძოლაში. მათ შორისაც იყო საუკეთესო: შვედმა პეტერ ფორსბერგმა პირველსავე 12 წუთში მიითვალა 1 გოლი და 2 პასი, საერთოდ კი 6 (1+5) ქულა დააგროვა, რაც ჯერჯერობით ჩემპიონატის რეკორდია. მას მშვენივრად აუბეს მხარი საკიკმა (1+1,4) და კურიმ (1+1,2). ამ მატჩმა, სეზონში პირველად, დასავლეთის საუკეთესო შემტევი მცველის, ლატვიელი სანდის ოზოლინშის კლასიც გამოაჩინა. არც ედმონტონმა დააკლო ცდა — კოლორადოს 19 დარტყმას თითქმის სამჯერ მეტით — 50-ით უპასუხა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა მეორე ფავორიტს — დეტროიტმა პირველი მარცხი იწვნია. „ფრთებმა“ ვერაფერი მოუხერხეს ტორონტოს, რომელმაც სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. თუმცა, ერთ მომენტში სტუმრების გამარჯვება საეჭვო გახდა: დეტროიტელმა ლიდსტრიომმა (3) უმცირესობაში მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა და დარჩენილ ათ წუთში მასპინძლებმა აიკლეს ტორონტო. „ფოთლებმა“ კი, გოლკიპერ პოტვინის საუცხოო თამაშის წყალობით, მოგება შეინარჩუნეს.

ანაჰაიმისა და ფილადელფიის შეხვედრაში ყურადღების ცენტრში ისევ ლინდროსი (1+1,6) იყო. მან კვლავ არ დაიზარა გოლების გატანა: ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი თავისი გუნდი დააწინაურა, მაგრამ „იხვები“ ექს-დეტროიტელმა სანდსტრიომმა იხსნა. ლინდროსმა შაიბებს წაკინკლავებაც დაუმატა და საჯარიმო ანგარიში კიდევ უფრო გაზარდა.

ფრედ დასრულდა მონრეალ — პიტსბურგისა და კაროლინა — ბუფალოს შეხვედრებიც.

პიტსბურგი, როგორც ჩანს, ეგუება მისთვის უჩვეულო, კონტრშეტევებზე აგებულ თამაშს და ლამისაა, წესად აქციოს ყოველ მატჩში მხოლოდ 1-2 გოლის გატანა. ამიტომაცაა, რომ მისი საუკეთესო ბომბარდირი 8 შეხვედრაში 6 (2+4) ქულაზე მეტს ვერ დაიკეხნის.

ბუფალომ სამჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა და თითქოსდა სოლიდურად დაწინაურდა 3:1, მაგრამ არც მასპინძლებმა დაუდეს ტოლი მეტოქეს და გაათანაბრეს. პირველი შაიბით კი კაროლინამ უმცირესობაში დასაჯა მეტოქე.

ოტაველმა დანიელ ალფრედსონმა ორი პასით აღნიშნა თავისი დაბრუნება კლუბში. რაც მთავარია, მისმა პარტნიორებმა ლამაზი გამარჯვება მოიპოვეს. რეინჯერსთან შეხვედრაში გადამწყვეტი მეორე პერიოდი გახდა: ნიუიორკელები ინიციატივას ფლობდნენ, მაგრამ „სენატორებმა“ ჩინებულად გამოიყენეს თავიანთი მცირე შესაძლებლობები. მასპინძელთა გამარჯვებას მათი წამყვანი ფორვარდის ალექსეი იაშინის წარმატებაც დაემატა — მან სეზონში პირველი ორი გოლი გაიტანა და, როგორც იქნა, ნავსი გატეხა. ნიუიორკელთათვის კი ეს ზედიზედ მეორე მარცხია.

სან ხოსესთან გატანილი 3 შაიბისა და 1 პასის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ აილენდერსის სახელოვანი თავდამსხმელი პალფი შეუდგა თავისი ბომბარდირული მოვალეობის შესრულებას. პალფის მუდმივმა პარტნიორმა, ჩეხმა რაიხელმაც (1+2) გამოიდო თავი და ნიუიორკელებმა მეორე გამარჯვება იზეიმეს.

არც თუ შთამბეჭდავი სტარტის შემდეგ ათამაშდა დალასი, რომელმაც ზედიზედ მესამედ მოიგო. მისმა მორიგმა მსხვერპლმა — ფლორიდამ ვერც ერთი აშკარა საგოლე მომენტი ვერ შექმნა, ასე რომ, დალასის მეკარე დე ბელფორს სეზონში მეორე (კარიერაში — 33-ე) „მშრალი“ მატჩის ჩატარება არ გასჭირვებია. „პანტერების“ უნიათო თამაშზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: მათ მხოლოდ 12-ჯერ დაარტყეს და ახალი პირადი ანტირეკორდი დაამყარეს. აღსანიშნავია, რომ 4:0-ზე ფლორიდელთა კარში შავკანიანი გოლკიპერი კევინ უიკსი ჩადგა. დებიუტანტ მეკარეს დიდი ჯაფა დაადგა, თავისი გუნდი უფრო დიდი სირცხვილისგან რომ ეხსნა. დალასელმა მოდანომ 3 მატჩში 9 (4+5) ქულა დააგროვა.

ჩიკაგომ კვლავ გააწბილა გულშემატკივრები, ამჯერად — ზედიზედ მეექვსე წაგებით. 30 დარტყმული შაიბიდან ვერც ერთმა შეარხია გერმანელი ოლაფ კოლციგის კარის ბადე, რომელმაც თავისი კარგი თამაშით თავად ბილ რენფორდს ჩამოართვა პირველი გოლკიპერობა. ვაშინგტონმა კი 7 მატჩში მეექვსე გამარჯვება მოიპოვა და ერთპიროვნულად ლიდერობს აღმოსავლეთში.



სახელოვანი ზიგმუნდ პალფი (მარჯვნივ) ისევ ხეირშია

### სამველ ლარიბიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბოსტონი | 7 | 4 | 0 | 3 | 22:22 | 8 |
| ოტავა | 7 | 3 | 2 | 2 | 19:18 | 8 |
| პიტსბურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 17:19 | 8 |
| მონრეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:10 | 6 |
| ბუფალო | 7 | 2 | 2 | 3 | 18:20 | 6 |
| კაროლინა | 8 | 1 | 2 | 5 | 17:25 | 4 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 7 | 6 | 0 | 1 | 27:13 | 12 |
| ფილადელფია | 8 | 5 | 1 | 2 | 24:17 | 11 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 3 | 0 | 2 | 13:12 | 6 |
| აილენდერსი | 6 | 2 | 2 | 2 | 16:15 | 6 |
| რეინჯერსი | 7 | 1 | 4 | 2 | 15:17 | 6 |
| ტამპა | 6 | 2 | 1 | 3 | 13:13 | 5 |
| ფლორიდა | 6 | 2 | 1 | 3 | 13:18 | 5 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 7 | 5 | 1 | 1 | 27:14 | 11 |
| სენტ ლუისი | 6 | 5 | 0 | 1 | 21:12 | 10 |
| დალასი | 7 | 4 | 1 | 2 | 24:13 | 9 |
| ფინიქსი | 6 | 3 | 1 | 2 | 17:17 | 7 |
| ტორონტო | 7 | 2 | 1 | 4 | 12:18 | 5 |
| ჩიკაგო | 6 | 0 | 0 | 6 | 6:24 | 0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 7 | 5 | 2 | 0 | 24:12 | 12 |
| ვანკუვერი | 5 | 2 | 1 | 2 | 13:13 | 5 |
| ედმონტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 14:27 | 5 |
| ლოს ანჯელესი | 7 | 1 | 3 | 3 | 25:26 | 5 |
| სან ხოსე | 7 | 2 | 0 | 5 | 17:21 | 4 |
| ანაჰაიმი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:11 | 4 |
| კალგარი | 6 | 0 | 2 | 4 | 12:19 | 2 |

ჩათავდა ნჰლ-ს რეგულარული ჩემპიონატის სტარტი. წლევანდელი პირველობა საკმაოდ მშვიდად, დიდი მოულოდნელობების გარეშე დაიწყო. არადა, ამ დროს გუნდები მუდამ სიურპრიზს გვთავაზობენ ხოლმე, რადგან სეზონის წინ შემადგენლობას იცვლიან და შეთამაშებისთვის დრო სჭირდებათ. ახლა კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ორმა კლუბმა გააოცა ლიგა — ვაშინგტონმა და ჩიკაგომ.

კონკურენტის — კოლორადოს დამარცხებამ და თასის მოგებამ შემატა. გოლკიპერმა [illegible] კი, რომლის არასტაბილური თამაში [illegible] უმთავრესი საწუხარი იყო, საგრძნობლად მოუმატა.

ჯერჯერობით არ[illegible] ითქმის უხეირო, თუმცა [illegible] დიდი ძალისხმევის შედეგია. ამის მიზეზი კი თავდასხმის დაბალშედეგიანობა გახლავთ. რა შეეხება

# ქორები დაბეჩავებულან

სოლიდური, მაგრამ მაინც საშუალო დონის „კეპიტალსი“ ყოველთვის იყო ანგარიშგასაწევი ძალა და ნებისმიერი გუნდისთვის მოუხერხებელი მეტოქე. ეს ბოლო ორი წელი კი ვაშინგტონი მეტად გაძლიერდა და მისი ფლეი-ოფის მიღმა დარჩენა ყველამ მოულოდნელობად აღიქვა.

და მაინც, წელს ვაშინგტონი სულ სხვაა. კონსერვატიულ, დაცვით თამაშს მან აგრესიული, შემტევი ჰოკეი ამჯობინა. ასეთი სახეცვლა კი გუნდში ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეთა თავმოყრამ გამოიწვია. უმეტესად ევროპელებით დაკომპლექტებულ კლუბში ახლა იმხელა კონკურენციაა, რომ სახელოვან მცველ ფილ ჰაუსლისა და გოლკიპერ ბილ რენფორდს იქ ადგილი არ მოეძებნათ. სამაგიეროდ, თუ 19 წლის ჩეხმა იან ბულისმა და მისმა 21 წლის თანამემამულემ იაროსლავ შვეიკოვსკიმ ასე გააგრძელეს, სეზონის მთავარი აღმოჩენა გახდებიან.

რა თქმა უნდა, ასეთ სერიოზულ წინსვლას ვაშინგტონი თავის ახალ მწვრთნელ რონ უილსონს უნდა უმადლოდეს, რომელმაც უკვე დიდი ხანია დაიმკვიდრა კარგი სპეციალისტის სახელი.

რაც შეეხება ჩიკაგოს, „ქორების“ უსუსური თამაში ყველასთვის უსიამოვნო სიურპრიზია. გუნდი ისევ უქულოდაა, თანაც არც ერთ ჩატარებულ შეხვედრაზე არ ითქმის, რომ ჩიკაგო მეტს იმსახურებდა. განსაკუთრებით „გამოირჩევა“ დაცვა გამოცდილი ჩელიოსის თავკაცობით. ჩიკაგოს უნიათობა მით უფრო გასაკვირია, რომ იგი ჩემპიონატისთვის ნაყოფიერად მოემზადა და „საგამოფენო“ მატჩებშიც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, ძირითადი ბირთვიც შეინარჩუნა და არც მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განუცდია.

საკადრისად დაიწყეს სეზონი მთავარმა ფავორიტებმა — ფილადელფიამ, დეტროიტმა და კოლორადომ.

ქების ღირსი მეტადრე დეტროიტია, რომელმაც ღირსეულად დაძლია სეზონისწინა უსიამოვნებანი. „წითელფრთიანებს“ სოლიდურობა და საკუთარი ძალების რწმენა, როგორც ჩანს, თავიანთი ძირითადი ფილადელფიას, მის თამაშს ისევ და ისევ ლინდროსი განსაზღვრავს და მთავარი „მფრინავიც“ ამართლებს გულშემატკივართა იმედს. ერიკმა ისე ენერგიულად დაიწყო ჩემპიონატი, რომ ბომბარდირთა სიაში დაწინაურებაც მოასწრო და ჩხუბისთავობაც. ერთ-ერთი მისი მეტოქე, ფლორიდელი რობ ნიდერმაიერი კი ფილადელფიელის წყალობით სერიოზულად დაშავდა.

კარგ ფორმაში მყოფმა დალასმა ბოლო მატჩებში დაადასტურა, რომ მისი შარშანდელი წარმატება შემთხვევითი არ იყო. წელს გუნდს კვლავ დიდი მიზნები დაუსახავს. განსაკუთრებით კარგად მუშაობს „ვარსკვლავთა“ დაცვის სისტემა, უმცირესობაში კი გუნდი ბრწყინვალედ თამაშობს. ამიტომაცაა, გოლკიპერებს იშვიათად რომ უხდებათ თავიანთი ოსტატობის ჩვენება. დალასი ლიგაში ყველაზე ნაკლები დარტყმის საშუალებას აძლევს მეტოქეებს — საშუალოდ 19 ერთ მატჩში.

აღსანიშნავია ერთი ტენდენცია: მცველთა გააქტიურება და შედეგიანობის ზრდა. მათ ისარგებლეს ბოლო ორი წლის ლიდერების — რეინჯერსელი ლიჩისა და კოლორადოელი ოზოლინშის შეფერხებით და ბომბარდირთა სიის ზედა საფეხურებზე დამკვიდრდნენ. ყველას მაინც მაკინისისა და დიუშენის სენტლუისური დუეტი სჯობნის, რომლის ძირითადი დამსახურებაცაა „ბლუზმენთა“ სასტარტო წარმატება. ოტავიდან გადასული სტივ დიუშენი ისე კარგად მოერგო კლუბს, რომ პირადი მოვალეობის გარდა ფლეიმეიკერობასაც მშვენივრად გაართვა თავი და კლუბის მთავარი სნაიპერი ჰალი მთავარი მეპასის — ტარჯონის არყოფნას სულაც არ გრძნობს.

რაკი კლუბგამოცვლილებზე ჩამოვარდა სიტყვა, აღვნიშნავთ ლოს ანჯელესის ახალი ლიდერების, ფორვარდ შტუმპელისა და გამოცდილი მცველის — გელის კარგ თამაშს. „რეინჯერ“ პეტ ლაფონტენზე კი სულაც არ ითქმის, რომ ჰოკეისტს ტრავმის გამო ერთი წელი შეუსვენია. ლაფონტენის ყოფილი კლუბის — ბუფალოს მეპატრონეებიც, უეჭველია, ნანობენ ათამაშებული პეტის გუნდიდან გაშვებას.

სასტარტო პერიოდის სიმბოლური ნაკრები: ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი); ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი) — სტივ დიუშენი (სენტ ლუისი); ბრეტ ჰალი (სენტ ლუისი) — ერიკ ლინდროსი (ფილადელფია) — მაიკ მოდანო (დალასი).


# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი. I წრე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **21 ოქტომბერი** | | | | |
| აიაქსი (ჰოლანდია) — უდინეზე (იტალია) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ბრაგა (პორტუგალია) — დინამო (თბილისი) | ანგარიში 4,5 | | | |
| მეცი (საფრანგეთი) — კარლსრუე (გერმანია) | (1,5-2,0) | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| სტრასბური (საფრანგეთი) — ლივერპული (ინგლისი) | (3,1-1,25) | 2,2 | 2,8 | 2,7 |
| ინტერი (იტალია) — ლიონი (საფრანგეთი) | (1,1-5,0) | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| მტკ (უნგრეთი) — კროაცია (ხორვატია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,8 | 2,3 |
| სპარტაკი (რუსეთი) — ვალიადოლიდი (ესპანეთი) | (1,7-1,7) | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| შალკე 04 (გერმანია) — ანდერლეხტი (ბელგია) | (1,15-4,0) | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| ორჰუსი (დანია) — ტვენტე (ჰოლანდია) | (2,8-1,3) | 2,1 | 2,9 | 2,8 |
| ბილბაო (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) | (1,5-2,0) | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ოსერი (საფრანგეთი) — ოფი (საბერძნეთი) | (1,15-4,0) | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| სტიაუა (რუმინეთი) — ბასტია (საფრანგეთი) | (2,0-1,5) | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| როტორი (ვოლგოგრადი) — ლაციო (იტალია) | (7,5-1,05) | 2,5 | 2,9 | 2,2 |
| ატლეტიკო (ესპანეთი) — პაოკი (საბერძნეთი) | (1,1-5,0) | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ბრიუგე (ბელგია) — ბოხუმი (გერმანია) | (1,8-1,6) | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| **22 ოქტომბერი** | | | | |
| რაპიდი (ავსტრია) — მიუნხენ 1860 (გერმანია) | (4,0-1,15) | 2,2 | 2,9 | 2,5 |

### ჩემპიონთა ლიგა. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **22 ოქტომბერი** | | | |
| პარმა (იტალია) — დორტმუნდი (გერმანია) | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| სპარტა (ჩეხეთი) — გალათასარაი (თურქეთი) | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| მანჩესტერი (ინგლისი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 9,0 | 4,7 | 1,15 |
| დინამო (კიევი, უკრაინა) — ბარსელონა (ესპანეთი) | 3,6 | 3,1 | 1,7 |
| ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ნიუკასლი (ინგლისი) | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — პორტუ (პორტუგალია) | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| რეალი (ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) — გიოტებორგი (შვედეთი) | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ბაიერნი (გერმანია) — პსჟ (საფრანგეთი) | 1,4 | 3,2 | 5,6 |
| მონაკო (საფრანგეთი) — ლიერსი (ბელგია) | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| სპორტინგი (პორტუგალია) — ლევერკუზენი (გერმანია) | 1,7 | 2,9 | 4,0 |

### თასების თასი. მერვედფინალი. I წრე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **23 ოქტომბერი** | | | | |
| ტრომსო (ნორვეგია) — ჩელსი (ინგლისი) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ეკერენი (ბელგია) — შტუტგარტი (გერმანია) | (4,0-1,15) | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| ლოკომოტივი (რუსეთი) — ქოჯაელი (თურქეთი) | (1,3-2,8) | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| შახტიორი (უკრაინა) — ვიჩენცა (იტალია) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ბეტისი (ესპანეთი) — კოპენჰაგენი (დანია) | (1,05-7,5) | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| აეკ (საბერძნეთი) — შტურმი (ავსტრია) | (1,55-1,9) | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ნიცა (საფრანგეთი) — სლავია (ჩეხეთი) | (2,5-1,35) | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| პრიმორიე (სლოვენია) — როდა (ჰოლანდია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,8 | 2,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## რალი

# ლიატი მაკრეის გადაავეს

რალი მკაცრი სპორტია. გამარჯვება, აბა, რომელ მძღოლს არ წყურია, მაგრამ ხანდახან გუნდის ინტერესები უნდა ანაცვალო პირადს და თუ შეფი გიბრძანებს, ყველა ჩვენგანისთვის ასე ჯობსო, თანაგუნდელს უნდა დაუთმო პირველობა.

მსოფლიო ჩემპიონატის ბოლოსწინისწინა რალში ასე მოუვიდა იტალიელ ლიატის, ვისაც შინ, სან-რემოში გამარჯვება ყველაფერს ერჩია, მაგრამ ვაი, რომ ჩემპიონობის შანსი აღარ დარჩენოდა, შოტლანდიელ თანაგუნდელ მაკრეის კი თეორიულად კიდევ შეეძლო ლიდერისა და შარშანდელი ჩემპიონის, ფინელი მაკინენის ჯობნა. ჰოდა, ლიატის მიერ მოგებული რალიდან 10 ქულა მას კი არ ერგო, არამედ მაკრეის, შარშანწინდელი ჩემპიონი და სან-რემოს შარშანდელი გამარჯვებულიც რომაა.

წინა, ინდონეზიის რალში „ფორდის" ესპანელმა ჯილა საინსმა მაკინენს 8 ქულამდე შეუმცირა სხვაობა. იტალიის ასფალტოვან, ოღონდაც შემოდგომის ფოთლებით მოლიპულ გზებზე საინსს, ვინაც გაისად დისკვალიფიკაცია მოხდილ „ტოიოტას" უბრუნდება, აქამდე არასოდეს გაემარჯვა.

რალი კვირას, მოკლე, სუპერ-ჩქაროსნული ეტაპით უნდა გახსნილიყო, მაგრამ ორგანიზატორებმა იფრთხილეს და გააუქმეს. ჩაიშალა ორშაბათის პირველი ეტაპიც, რაკი მაყურებლები გზებზე უშნოდ გაეფინენ.

IV ეტაპიდან ბელგიელი ლუა დაწინაურდა. V-ზე მაკრეის საბურავი დაეშვა და იმდენი იზარალა, რომ მე-9 ადგილზე აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ლიატი (ფოტოზე) დღის ბოლო ეტაპის შემდეგ დაწინაურდა. ლუა მასთან 2 წამს აგებდა, მაკინენი, ვინაც შარშან პირველსავე დღეს გავარდა, 27 წამს, საინსი — 29-ს, მაკრეი კი — ერთბაშად 40 წამს.

სქოთმა სამშაბათს გადასარევად ირალავა: რვა ეტაპიდან მოიგო საწყისი ხუთი და კიდევ ბოლო და ლიატის სხვაობა 6 წამამდე შეუმცირა. ლუა ჯერ მანქანის გადაცემამ დაღალატა, მერე — საჭის ღერძმა, მაგრამ დღის VI და VII ეტაპები მაინც მოიგო და მე-6 ადგილამდე ჩამოქვეითდა, მაკინენი კი საინსს მაინც უსწრებდა 3 წამით.

ფინელმა ბოლო დღეს პოზიცია შეინარჩუნა და ესპანელს ახლა 9 ქულით უსწრებს. ლიატი ბოლო ეტაპს რომ მორჩა, მაკრეის 4 წამს უგებდა, მაგრამ გუნდის ბრძანება ისმინა, ბოლო საკონტროლო პუნქტში განგებ დააგვიანა, 10-წამიანი ჯარიმა აიღო და პირველობა მაკრეის დაუთმო.

ჩემპიონატის ბოლომდე ორი რალიღაა — ავსტრალიის (30. 10 - 3. 11) და ბრიტანეთის (21 - 24. 11).

თენგიზ არტამონოვი



### მსოფლიო პირველობის XII — იტალიის რალი

13-15. 10. სან-რემოს 39-ე რალი: 1. ქოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, სუბარუ) 4 საათი: 08 წუთი: 25 წამი; 2. პიერო ლიატი (იტალია, სუბარუ) წააგო .06; 3. თომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) .12; 4. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) .14; 5. ფრედი ლუა (ბელგია, ტოიოტა) .50; 6. იუპა კანკუნენი (ფინეთი, ფორდი) .53

საჩემპიონატო მონაგარი. პირადი: მაკინენი 56 ქულა; საინსი 47; მაკრეი 42; კენეთ ერიქსონი (შვედეთი, სუბარუ) 28; ლიატი 24; კანკუნენი 23. გუნდური: სუბარუ 94; ფორდი 81; მიცუბიში 73

## კრივი



ვინიცობაა მუჰამედის ამ ხელთათმანებმაც მავანის კერძო კოლექციაში დაიჭირონ საპატიო ადგილი

ალი სიბერეშიც ანგლობს — აზერბაიჯანელ ბიჭუნა ლადირ ალი-ევს ეგლახავება

# ურცხვად გამძარცვესო!

ხვალ ლოს-ანჯელესში ფრიადი მოვლენაა: „ქრისთიზი" აწყობს ლეგენდარული მუჰამედ ალის სახსოვრისების საჯარო გაყიდვას.

თავად 55 წლის დაჩაჩანაკებული მოკრივე ამ წამოწყებაში არათუ არ მონაწილეობს, ერთობ გულნატკენიცაა, ესაო და ხალხმა წლობით მპარა ნივთები, ახლა კი აუქციონით უნდა დაინაწილონო. მუჰამედი და მისი მეუღლე ლონი ასევე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან წინადადებას, შემოსავლის 10 პროცენტი ალის მკურნალობას მოხმარდესო — დიდ ჩემპიონს ხომ ძნელად მოსარჩენი პარკინსონის სენი ჭირს.

მაინც რაა გამოტანილი გასაყიდად? კოლექციაში სულ სამი ათასამდე საგანია, რომლებიც 393 ერთეულადაა დაჯგუფებული. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ალის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ნივთი: იმდროინდელი ფოტო, კასიუს კლეი ოთხი წლის ლლაპი რომ იყო; პირველი პრიზები; ხელთათმანები, „ხალხის ჩემპიონს" სხვადასხვა საჩემპიონო შებმაში რომ ეცვა; მისივე ნიფხვები; ხალათები, რომელთაგან ერთში, ალის ფორმენთან 1974 წელს ზაირში შებმისას რომ ესხა, ასტროლოგიური ნახაზიც კია საიდუმლოდ ჩაკერებული; აფიშები, რომელთაგან ზოგიერთი ზაირის განსვენებულ დიქტატორ მობუტუ სესე-სეკოს განადიდებს; დამთვლელ მსაჯთა ბარათები; შოკოლადის ფილები და შებრაწული კარტოფილის პარკები, რომლებიც ან მუჰამედმა იყიდა, მაგრამ აღარ მიირთვა, ანაც მისი სახელი ამშვენებთ; ალის მიერ შესრულებულ სიმღერათა ჩანაწერები და სხვაც მრავალი.

ყოველივე ეს მოუგროვებია კალიფორნიელ რონი პალოგერს, ვინაც პროფესიით ქალთა ტანისამოსის დიდ-ვაჭარია, მოწოდებით კი — ალის თავგადაკლული ქომაგი. პალოგერს მუჰამედის ჩხუბი თვალდათვალ არასოდეს უნახავს, მაგრამ კერპს რამდენჯერმე პირადად შეხვედრია. კოლექციონერი ამბობს, დიდი ხნის წინ ავიღე ხელი იმის ანგარიშზე, თუ მუჰამედის სახსოვრისების შეგროვება რა მიჯდებოდაო.

პალოგერს ექსპონატების ბითუმად შესყიდვა შეუთავაზებია ალის მშობლიურ ქალაქ ლუივილში დაარსებული მუზეუმისთვის, მაგრამ უარი რომ მიუღია, მერეღა გაუტანია აუქციონზე. მის კოლექციას ფრიად აფასებენ ექსპერტები — სემიონ ლიპმანი და ფრედი ლიცმანი, თუმცა ბავშვივით ბუტია მოკრივე ამტკიცებს, 3 000 ნივთიდან მხოლოდ ოცდაათია (!) ნაღდი, დანარჩენი კი ნაყალბევიაო.

ვალერი ჯიქია

## აფროსნობა

# კაიარდი გაფრინდა!

თუ რას ნიშნავს კარგი მარკშეიდერი, უკაცრავად ... ნავიგატორი (საბჭოურად — შტურმანი), თვალნათლივ გამოჩნდა გარსაქვეყნო ნაოსნობის პირველი სტადიის ბოლო კვირაში. შვედური „ი-ეფ ლენგვიჯის" გეზის შემრჩევმა მარკ რუდიგერმა გამოთვალა, რომ თუ ქეიფთაუნისაკენ სხვებზე 10 მილით სამხრეთით გაუტევდა, ფრიად იხეირებდა და მართალიც გამოდგა.

ამერიკელი სკიპერი პოლ კაიარდის ნავი რუდიგერის წყალობით დაბალი ატმოსფერული წნევის ზოლში მოხვდა და ფინიშისკენ კი არ გაცურდა, გაფრინდა. სიჩქარე 35 კვანძს აღწევს, რისი გამოისობითაც ბოლო დღე-ღამის განმავლობაში სხვაობა შვედურ იახტასა და მდევრებს შორის გაორმაგდა და 100 მილს გადააჭარბა.

ზღვის მგელი კაიარდი აღტაცებულია. ნავები ნაოსნობის შტაბ-ბინას ყოველდღიურად უპატაკებენ თავიანთ მდებარეობასა და ცხელ-ცხელ შთაბეჭდილებებს. ჰოდა, პოლი ელექტრო-ფოსტით იწერება, რომ ეკიპაჟს 24 საათი არ ძინებია. ნავი კი არ ირწევა, არამედ ზანზარებს. გემბანი ერთიანად დატბორილია. ტალღების სიმაღლე 5 მეტრს აღწევს. ზღვაოსნებს წყალი ლამისაა მკერდამდე მიწვდეთ. თავად სკიპერს იახტა ოთხი საათი უმართავს და ისე გალუმპულა, თითქო მავანი წყალს სახანძრო მანქანის ქობინით ასხამდა.

საჭმელად ვისლა ცალია. მდევრები კი ჩამორჩნენ, მაგრამ გულხელი როდი დაუკრეფიათ. ორი კვირა მოლიდერე ფროსტადმა „ინოვეიშენს" სწორი კურსი ველარ შეურჩია, „მერით ქაფმა" კი მთავარი აფრა ადრიანად ამართა და მთლად წაახდინა, ახლა კი ახალთახალმა სა-



„ი-ეფ ლენგვიჯი" (შვედეთი)

კერავმა მანქანამაც უმტყუნა. და მაინც, სამეული გამალებით მიექანება ქეიფთაუნისკენ, რადგან ეს ნაოსნობა დროზე კი არა, ქულებზეა — მოწინავე ტრიოს პრემია ელის.

მიხო ნინუა

### ვითბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

I სტადია. საუთჰემპთონი — ქეიფთაუნი

21 სექტემბერი — 22 ოქტომბერი (7350 მილი)

ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | პოლ კაიარდი (აშშ) | 1263.1 |
| მერით ქაფ | მონაკო | გრანთ დოლთონი (ახ. ზელ) | +103.6 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | კნუტ ფროსტადი | +113.8 |
| სილქ ქათ | ბრიტანეთი | ლორი სმითი | +407.3 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | ჯიმ ოლსოპი | +629.6 |
| ემერიქაზ ჩელენჯ | აშშ | როს ფილდი (ახ. ზელ) | +745.7 |
| ტოშიბა | აშშ | ქრის დიქსონი (ახ. ზელ) | +753.2 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | გუნარ კრანცი | +852 |
| ი-ეფ ედუქეიშენ | შვედეთი | კრისტინ გიუ (ქალი) (საფრ) | +985.6 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | ჰანს ბუსხოლცი | +1082.6 |

## პაკისტანური ტელეგრაფი

გუშინ ყარაჩიდან შეგვეხმიანა ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ხელოვნებათმცოდნე, ქველ-მოქმედი და უცხო ხილთა ტრფიალი

ყაფლან ჯანდიერი

მოგეხსენებათ, პაკისტანური სპორტი კრიკეტი, ჰოკეი (ბალახისა) და სქვოშია. აქაური ჰოკეისტი ვაჟები ამ კვირაში ადელაიდაში, ყოველწლიურ ჩემპიონთა თასზე ასპარეზობენ და საკმაოდ წარუმატებლადაც, თუმცა დიდი შაბაზ აჰმედი თანა ყავთ. აი, მოკრიკეტეებსა და მესქვოშეებს კი ბოლო ხანებში არა უშავთ — „პაკისტანის სპორტ-კომიტეტი" კმაყოფილი უნდა იყოს „ისლამური რესპუბლიკის" „სპორტულ ყულაბაში" მათ მიერ შეტანილი „ჩასათვლელი ქულებით".

ახლახან პაკისტანის დამოუკიდებლობის 50 წლისთავი ვიზეიმეთ. ასეთივე იუბილე ქონდა მეზობელ ინდოეთსაც. მუსლიმი ალი ჯინასა და ინდუსი მაჰათმა განდის დაწყებული ქველი საქმე მათმა მიმდევრებმა ჩააფლავეს — ორი დიდი ქვეყანა ნახევარი საუკუნე დიდ ურთიერთ-შუღლშია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ინდოეთის კრიკეტის ნაკრები პაკისტანს 1989 წლის შემდეგ აღარ ჩამოსულა. და ეს მაშინ, როცა შარშან და წელსაც გათამაშდა ინდოეთ — პაკისტანის „ძმობის თასი".

ახლა არ იკითხავთ, სად? — სადა და ტორონტოში (ონტარიო, კანადა). იქ მძლავრი ჰინდუსტანური დიასპორაა და გუნდებს ქომაგებიც არ მოკლებიათ, მაგრამ აზიიდან გაყოლილმა ბოღმამ ჩრდილოეთ ამერიკაშიც იჩინა თავი.

არა, მოთამაშეებს არ უჩხუბიათ. როგორც ჭეშმარიტი ჯენთლმენები, ისინი კარგა ხანია ძმობენ ერთმანეთს და ტორონტოს სუპერ-მარკეტებშიც ერთად დაიარებიან. ერთი ეგაა, რომ თითო გონჯი ყველგან გამოერევა, მეტადრე — გულისგარეთ მაყურებლებში.

ინზამამ ულ-ჰაყი ბრგე, დინჯი კაცია. 27 წლის მოკრიკეტის ტესტ-კარიერა უკვე ათ წელს ითვლის, მაგრამ ტორონტოში ეს ვაჟკაციც კი წონასწორობიდან გამოიყვანა ვიღაც ვიგინდარამ, ტრიბუნაზე რომ მოკალათებულიყო, მეგაფონი მიეტანა და ინზამამს მთელი თამაში უშვერად აგინებდა — უძახდა, კარტოფილი ხარო.



ინზამამ ულ-ჰაყმა შინ ნახტომითლა მიასწრო

ამდენი შეურაცხყოფა ვერ აიტანა პაკისტანელმა ტაფელოსანმა, აბეზარს მიუხდა და ერთი ჯოგრიანად ჩაცხო. კანადის პოლიცია უმალ შემთხვევის ადგილას გაჩნდა და ჩხუბისთავები ალაგმა.





ცოლიყოფილის მოშიში ჯანშერი მსოფლიო პირველობას დააკლდება

რაკი კრიკეტის ოლრაშთა თვალში ულ-ჰაყმა თამაშს საჯაროდ გაუტეხა სახელი, კაცს ორი თითოდღიანი მატჩით მიცეს დისკვალიფიკაცია. უმისოდ ინდოეთი ხუთ-მატჩა სერიალში 4-0 დაწინაურდა და „ქლინ-სვიფსაც" უპირებდა ჩვენებურებს, მაგრამ ბოლო მატჩში ინზამამი დაბრუნდა და პაკისტანიც შერცხვენას გადაარჩინა. არადა, შარშან „ძმობის თასი" ჩვენებმა 3-2 მოიგეს.

### მსოფლიო სპორტის შორეველი ქომაგის ელექტრო-ბარათები

E-mail

ჯანშერმა წელს, აპრილში, შოტლანდიელ პიტერ ნიქოლს რის ვაი-ნაჩრობით, ხუთ ხელში მოუგო ბრიტანეთის პირველობის ფინალი, მაგრამ ივნისში მასთანვე, ოთხ ხელში წააგო „ალ-აჰრამის" ტურნირის გადამწყვეტი მატჩი. ეს შეჯიბრი კაიროს მახლობლად, გიზას პირამიდებთან გაიმართა. ხალხი ბინდ-ბუნდში ჭვრეტდა განათებულ შუშის კამერაში გამომწყვდეულ სქვოშის დიდოსტატთა ძიძგილაობას.

მერე იყო ჰონკონგის პირველობა, რომლის ფინალშიც ხანს მომავალი დიდი ჩემპიონი, კანადელი ჯონათან პაუერი გადაეყარა. ამ თამაშშიც ბლომად იყო ბლოკირება და ურთიერთ-შელაპარაკება. პაკისტანელმა ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვა ოთხ ხელში, ამ კვირაში კი ისევ ეგვიპტეშია — ისქანდარიაში (ალექსანდრია) ასპარეზობს ქვეყნის ღია პირველობაზე და ნახევარფინალში ოთხ ხელში ძლია ნიქოლი.

თუ ასე გაგრძელდა, საეჭვოა, რომ ჯანშერმა გააუმჯობესოს ყველა დროის ჩემპიონთა-ჩემპიონის, პაკისტანელივე ჯაჰანგირ ჯანის რეკორდი — ამას ბრიტანეთის პირველობა ხომ ათჯერ (!) მოუგია.

მოჰამედ ელ-დახახნის ფოტოები §აპ)

# ინზამამი და ჯანშერი

ახლა სქვოში — კამერული, უბადო ჩოგბურთიც მიმოვიხილოთ. ქვეყნის სიამაყე ჯანშერ ხანი დაგვიბერდა — 28 წლისა მოიყარა და ძველებურად რომ ვეღარა მძლავრობს, ჭინჭყლობს: თამაშისას არა-ჯენთლმენურად იქცევა, სქვოშის საორჭოფო წესებსაც არად დაგიდებთ, მაგრამ რაკი მსაჯებში დიდი ავტორიტეტი აქვს, ესენი ყველაფერზე თვალს ხუჭავენ.

ჯანშერი მსოფლიოს 8-გზის ჩემპიონია, მაგრამ წელს 9-გზისა ვეღარ გახდება, რადგან პირველობის გამართვის ადგილას — კუალა-ლუმპურში არ ჩაესვლება.

მიზეზი ოჯახურია — ხანს მალაიზიაში რომ შეუცდეს ფეხი, მისი ცოლყოფილი რუქშანა სოჰი უმალ გვარიან ალიმენტს ააფრცქვნის, ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ერთი მილიონი რინგიტი ანუ 320 ათასი გირვანქაა. დიდი მექსვოშის 7 წლის ვაჟის 18 წლამდე გაზრდა სოჰს ამდენი ულირს, რინგიტი კი ბოლო ხანს ძლიერ გაუფასურდა.



ასეთია „ალ-აჰრამი": დიდი სქვოში პირამიდების ფონზე!


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩზეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29